ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№296 (12667) 17 დეკემბერი ოთხშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი

# ვულოცავთ!



ანონსი: სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით, რუსთავი 2008 წლის საუკეთესო სპორტულ ქალაქად გამოცხადდა. საგანგებო დაჯილდოების ცერემონიალი რუსთავში დღეს გაიმართება (დაწვრილებით ხვალინდელ ნომერში).

# ქუპერის დემოკრატია



კუპერმა სეზონი დახურა და მცირე ხნით დაგვემშვიდობა

» 2-3

ძიუდო უფრო გაძლიერდება - შეიქმნა მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფედერაცია თავკაცად თამაზ ცოფურიშვილი აირჩიეს.



## სკუადრა აძურა ახალი სახეების მოლოდინში

მაესტრომ გვარები ჩაინიშნა

» 8



## ქართველებმა სეზონი გახსნეს

» 13



» 16



## ოქროს ბიჭს კრივი აუკრძალეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები. სამშაბათობა

# კუპერი წავიდა

**გუშინ** ექტორ რაულ კუპერმა 2008 წელს ბოლო „სამშაბათობა“ ჩაატარა, ბოლო და გამორჩეული. საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა პირველად მიიწვია ლეგიონერები, რომელთაც სეზონი დაუმთავრდათ და უმრავლესობა, უვარჯიშებელი იყო.

საგურამოში, "ლოკომოტივისა" და სფფ-ის ტექნიკურ ცენტრში კუპერმა ჩვიდმეტი ფეხბურთელი შეკრიბა:

**მეკარეები:** როინ კვასხვაძე ("ზესტაფონი"), რევაზ თევდორაძე ("გაგრა"), ზურაბ მამალაძე ("მგლები").

**მცველები:** უჩა ლობჟანიძე ("ზესტაფონი"), გიორგი სეთურიძე ("ოლიმპი"), ალექსანდრე კვახაძე ("ვიტ ჯორჯია"), დავით გამეზარდაშვილი ("სკონტო", ლატვია), გიორგი ფოფხაძე ("ვიბორგი",დანია), ნუკრი მანჩხავა ("კაუნასი", ლიტვა).

**ნახევარმცველები:** ირაკლი კლიმიაშვილი, ლუკა რაზმაძე (ორივე "ვიტ ჯორჯია"), მურთაზ დაუშვილი ("ზესტაფონი"), მირზა ბჟალავა ("ლუშტენაუ", ავსტრია), დავით დევდარიანი ("ორჰუსი", დანია), გია კვარაცხელია ("მტზ-რიპო", ბელარუსი), გიორგი განუგრავა ("მლადა", ჩეხეთი).

**თავდამსხმელები:** გიორგი გაბედავა ("გაგრა"), დავით სირაძე (ნალჩიკის "სპარტაკი", რუსეთი), დიმიტრი ტატანაშვილი ("ვიქტორია", ჩეხეთი).

გამოძახებული მოთამაშეებიდან ვარჯიშზე მხოლოდ დათო მუჯირი არ გამოცხადდა, რომელიც ტრავმირებული ყოფილა.

კუპერმა არ გამოიძახა მეკარე **გიორგი ლომაია**, მცველები **დათო გიგაური** და **გურამ კაშია**, ნახევარმცველები **დათო ოდიკაძე, ლევან ხმალაძე** და **ზაზა ჭელიძე**, თავდამსხმელები **რატი ალექსიძე, ბექა გოცირიძე** და **მათე ვაწაძე**. თუმცა გოცირიძე და ვაწაძე ტრავმირებულები არიან. შესაძლოა, კუპერმა დანარჩენების შესაძლებლობები რომ იცის, მათი მიწვევა ამიტომაც არ ჩათვალა საჭიროდ.

მიუხედავად სუსხისა და სიცივისა, ვარჯიში ხალისიანად წარიმართა, კუპერის ასისტენტი **ხოსე ფანტაგუცი** ხშირად იძახდა - „კარგია! კარგია!“.

კვლავ ტექნიკურ-ტაქტიკური ვარჯიში ჩატარდა: კვადრატი ორი და თითო შეხებით, შეტევების და დაცვის ორგანიზება, პრესინგით მეტოქის შევიწროება, ფლანგებიდან შეტევების განვითარება, პარალელურად, ამ დროს დაცვის სინქრონიზაცია და ა.შ.

კუპერს ყველაზე გამორჩეული რეაქცია გიორგი ფოფხაძის გატანილ გოლზე ჰქონდა, რაც მისმა თარჯიმანმა თარგმნა - „მაგარი გოლი იყო“.

ვარჯიში კარში დარტყმებით დასრულდა - ზოგმა კარგად დაუმიზნა, ერთი დარტყმა კი ნაკრების ავტობუსს მოხვდა, რომელიც ამ დროს ადგილიდან დაიძრა და ამას დიდი ხალისი მოჰყვა, აქაოდა, დარტყმის გამო წავიდაო.

კუპერმა ტრადიცია დაარღვია და ვარჯიშის შემდეგ, მედიას გაესაუბრა და გულთბილად დაემშვიდობა:

*„ფეხბურთელთა უმეტესობას კარგად არ ვიცნობ და დროც არ მაქვს, ბოლომდე კარგად შევაფასო თითოეულის კონდიციები და მდგომარეობა. მთავარი, რასაც ვამჩნევ და რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია, არის ის განწყობა, ენთუზიაზმი და მონდომება, რომლითაც ფეხბურთელები ვარჯიშზე მოდიან. მუშაობის პროცესში კი უკეთ გამოჩნდება ვის რა პოტენციალი გააჩნია. ვისარგებლებ შემთხვევით და მთელ საქართველოს დამდეგი შობა-ახალ წელს მივულოცავ!“*

ამით კუპერმა სეზონი დახურა. საქართველოს ნაკრების არგენტინელი მთავარი მწვრთნელი დილაუთენია სამშობლოში დაბრუნდა. ის საქართველოში მხოლოდ ახალი წლის შემდეგ დაბრუნდება.

ახალი წლიდან კი ახალი საზრუნავი გააჩნია - 11 თებერვალს "ჯვაროსნებს" დუბლინში ირლანდიასთან შეხვედრა ელით.

**მერაბ მამულაშვილი**





ლეგიონერი



# რამდენად ფასობს ასათიანი

**უკრაინულმა** „იზვესტიამ“ ამ ქვეყნის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ძვირადღირებული ფეხბურთელები გამოავლინა. ჩამონათვალში სამ ათეულზე მეტი ფეხბურთელია, მათ შორის მხოლოდ ერთია ქართველი - **მალხაზ ასათიანი.** სიაში ფეხბურთელთა ორი ფასია დასახელებული, ერთი გერმანულ ვებგვერდ transfermarkt.de-სი და მეორე ხსენებული უკრაინული გამოცემის.

ჩამონათვალს დონეცკის „შახტიორის“ ბრაზილიელი ლეგიონერი **ფერნანდინიო** ლიდერობს. გერმანელები სამხრეთამერიკელს 13.5 მილიონად აფასებენ, უკრაინული გამოცემა კი 8 მილიონზე მეტს არ უწერს. რაც შეეხება ასათიანს, ქართველი მცველი 30-ე ადგილზეა უკრაინული საიტის სიით. transfermarkt – ის მიხედვით მალხაზის სატრანსფერო ფასი 3 მილიონი ევროა, უკრაინული „იზვესტია“ კი ქართველს 1.5 მილიონზე მეტად არ აფასებს.

*„3 მილიონი ევრო ასათიანის სანაცვლოდ? აშკარად მომატებული ფასია. თუმცა გასაკვირი რა არის, როცა ერთი თვის გერმანელები ქართველს 4.5 მილიონ ევროდაც კი აფასებდნენ“*, - ასეთია უკრაინელთა განმარტება.

**დავით ცაბაძე**

# მაკარიძე ლე მანშია

**მოგეხსენებათ**, 18 წლის მეკარე **გიორგი მაკარიძე**, რომელსაც **კლაუს ტოპმიოლერის** ფორმაციის ნაკრებშიც არაერთხელ უთამაშია გერმანიაში ტესტირებაზე იმყოფებოდა. მაკარიძე ერთი კვირის განმავლობაში დორტმუნდის „ბორუსიის“ მეორე გუნდში ვარჯიშობდა და სამშობლოში დაბრუნდა. მაკარიძეს გერმანელები აღარ, მაგრამ ფრანგები კი დაუკავშირდნენ და უკვე რამდენიმე დღეა, რაც ქართველი მეკარე „ლე მანის“ სარეზერვო გუნდშია ტესტირებაზე. შეგახსენებთ, რომ „ლე მანში“ ორი ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი ირიცხება, **ამირან სანაია** და **ვახტანგ ფანცხავა.**



**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ

**კუპერმა მათთვისაც მოიცალა, ვისაც ეროვნულ ნაკრებში მიწვევის იმედი გადაწურული ჰქონდა. მათ შორის გიორგი ფოფხაძეც არის, დანიის პირველი ლიგის ლიდერ „ვიბორგის“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე.**

**გიორგისთვის კუპერის ინტერესი მოულოდნელი აღმოჩნდა. თუმცა ბედნიერება ცუდ დროს ეწვია.**

- კუპერის ინტერესმა ძალიან გამახარა, მაგრამ რა დასამალია და ახლა ფორმაში არ ვარ. ბოლო ტურში, 23 ნოემბერს, ფეხი ვიტკინე და მას შემდეგ ვისვენებდი, სამი კვირაა, არც მივარჯიშია, სამკურნალოდ ასე იყო უკეთესი, თუმცა, იმედია, კუპერზე მაინც მოვახდინე ნორმალური შთაბეჭდილება. მისმა საქმისადმი დამოკიდებულებამ იმედი გამიჩინა, მსგავსი შეკრებები ფეხბურთელებისთვის ბევრს ნიშნავს. კუპერი ერთი შეხედვით ცნობს სასურველ მოთამაშეს და იმედია, მეც ასეთ სიაში შემიყვანს.

გიორგი ფოფხაძე

# ვიბორგის ყველაზე მებრძოლი ქართველია

## ფოფხაძეს პირველ ლიგაში გაჩერება აღარ სურს

**- ორი წელი ელოდი ეროვნული გუნდის მწვრთნელის დაინტერესებას. ალბათ, იმედგადაწურულიც იყავი.**

- ასე ნამდვილად ვერ ვიტყვი. ვიცოდი, როგორ დაიწყო კუპერმა მუშაობა, რომ საქმეს გულით ეკიდებოდა. თუმცა „სამშაბათობაზე“ ადგილობრივი ჩემპიონატიდან იწვევდა ხალხს და ამის გამო მიწვევა სიურპრიზი გამოდგა. კლაუს ტოპმიოლერი რატომღაც განაწყენებული იყო ჩემზე და აღარ მიწვევდა. კუპერი კი მართლა ყველას აძლევს შანსს.

**- საკლუბო საქმეები როგორ გაქვს?**

- ბოლო დროს, „ვიბორგის“ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობები გამირთულდა. კონტრაქტის გაგრძელებას მთხოვენ. ამაზე ცივი უარი ვუთხარი და არ ესიამოვნათ. ახლახან ელექტრონული ფოსტით წერილი გამომიგზავნეს, სადაც საკითხი ასე დამოსვეს - ან კონტრაქტს გააფორმებ, ან კიდევ ახალ მოთამაშეს მოვძებნითო. არ მინდა 24 წლამდე „ვიბორგში“ ვითამაშო. ეს არის ფეხბურთელისთვის საუკეთესო წლები და გაცილებით უკეთეს დონეზე გამოსვლა მსურს.

სხვა მხრივ, ყველაფერი კარგად არის, გულშემატკივრებს ვუყვარვარ, გუნდი პირველ ადგილზეა და უმაღლეს დივიზიონში გადასვლის მშვენიერი შანსი გვაქვს.

**- როგორც შევიტყვეთ, ამჟამად „ვიბორგის“ გულშემატკივრებში 2008 წლის საუკეთესო მოთამაშის გამოკითხვა ტარდება, სადაც შენ ლიდერობ.**

- გამოკითხვა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ გამარჯვების დიდი იმედი გამაჩნია. მეორე ადგილზე ისლანდიელი ფეხბურთელია და წესით, მას უნდა გავასწრო. სეზონის შემდეგ ორი პრიზი ისედაც გადმომცეს - საუკეთესო მცველის და გუნდის ყველაზე ბრძოლისუნარიანი ფეხბურთელის. ვგრძნობ გულშემატკივართა სიყვარულს და ეს ძალიან მახარებს. თუმცა, ხომ გითხარით, უკმაყოფილო ვარ დღევანდელი მდგომარეობით. 22 წლის ვარ, გაცილებით მაღალ დონეზე თამაშის სურვილიც გამაჩნია და სათანადო შემოთავაზებებიც მქონდა.

„ვიბორგში“ დიდი ფული არ აქვთ. ვერც წარმოიდგენთ, რამხელა ხელფასი მაქვს. ან რა მინდა პირველ ლიგაში? კი, საკმაოდ მძიმე თამაშები გვაქვს, მაგრამ უმაღლესი დივიზიონი მაინც ათი თავით აღემატება.

სხვა მხრივ კი, პირველ ლიგაში ისეთივე კომფორტული მოედნები და სტადიონებია, რაც სასლიგაში (უმაღლესი ლიგა).

სხვათა შორის, გონებაში სულ პარალელებს ვავლებ - ამათი მსგავსი პირობები რომ გვქონდეს, რომელი გუნდი შეგვედარება? დანიელებზე ბევრად ნიჭიერი საფეხბურთო ერი ვართ, მაგრამ გადახედეთ, რა მოედნები და სტადიონები გვაქვს. საგურამოს ბაზა ჩემთვის აღმოჩენა იყო .

**- ადრე უკეთესი გუნდები გიწვევდნენ - ახლა როგორი მდგომარეობაა?**

- კონკრეტულად არაფერი ვიცი. სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება და ალბათ, დაინტერესებული გუნდები დამიკავშირდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე-(1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

2005 წლის 9 თებერვალს საქართველოს ნაკრებმა ლიტვასთან ამხანაგური მატჩი გამართა. ეს დღე გია კვარაცხელიას კარგად ახსოვს - მას შემდეგ თითქმის ოთხი წელი გავიდა და ეროვნულ ნაკრებში არ მიუწვევიათ. არადა, წავიდა ლიტვაში, იქაური ჩემპიონატის საუკეთესო ლეგიონერი გახდა, იყო „კაუნასის“ კაპიტანი, ზაფხულში „მტზ-რიპოში“ გადავიდა, სადაც რამდენჯერმე თვის მოთამაშედ აღიარეს. ანუ, ჰქონდა გამონათებები, თუმცა ნაკრების მწვრთნელებისთვის უინტერესო მოთამაშედ რჩებოდა.
ექტონ რაულ კუპერი კი მისით დაინტერესდა. მართლია, გია კვარაცხელია სანაკრებო შეკრებაზე არ მიუწვევია, მაგრამ „სამშაბათობაზე“ გადაწყვიტა მასზე დაკვირვება.




# გია კვარაცხელიას ევროპაში იწვევენ

## კუპერმა ნაკრებში დემოკრატია დაამკვიდრა

**- გია, ბოლო სანაკრებო მატჩის შემდეგ, დიდი დრო გავიდა.**

- ეს დღე კარგად მახსოვს. ამ მატჩის შემდეგ წავედი ლიტვაში. თუმცა, „კაუნასს“, მანამდე,“თანამეგობრობის თასზე“ მოვეწონე.

**- ლიტვის შემდეგ შენი თამაში არავის უნახავს. მას შემდეგ მოუმატე თუ არა, ამის თქმაც ძნელია.**

- წასვლის დროს, 25 წლის ვიყავი. ტყუილი არავინ თქვას, ამ ასაკში ვერავინ მოუმატებს. უფრო ფიზიკური მომზადების, ტაქტიკური ცოდნის, სათამაშო დისციპლინის დახვეწაა შესაძლებელი. ლიტვაში ფიზიკურად ნამდვილად მოვუმატე, მაგრამ ამ კუთხით ბელორუსში გამორჩეული ვითარებაა. ეს პატარა რუსეთია. არ ვნანობ, რომ გადავედი. ბელორუსი განსაკუთრებით კარგია ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის, ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაზე ისეთი ყურადღება აქვთ გადატანილი, ამის შემდეგ გაცილებით ძლიერ ლიგაში იოლად ითამაშებ. მთავარია, ახალგაზრდა ფეხბურთელი ქალებს არ გამოედევნოს და ცდუნებას არ აჰყვეს. თუ ცდუნებას აჰყევი, წლებს დაკარგავ. ფეხბურთელს კი 15-16 წლიანი კარიერა აქვს და აქედან ერთი წლის დაკარგვაც ბევრს ნიშნავს.

საქართველოს კლუბებშიც, ბელორუსის მსგავსი ფიზიკური მომზადების სისტემა რომ მუშაობდეს, ბევრად ძლიერი კლუბები და ჩემპიონატი გვეყოლებოდა.

**- შენი აზრით, ნაკრებში რატომ გიწუნებდნენ? გამორიცხავ, რომ შენი კლასი იყო ტოპმიოლერისთვის მიუღებელი?**

- მე ვიეირა არ ვარ, მაგრამ კაცს არც ვუნახივარ და ისე მიწუნებდა. ვფიქრობ, შანსი ჩემთვისაც უნდა მოეცა. სიმართლე გითხრათ, აღარც მეგონა, თუ გამომიძახებდნენ.

პირველი რეაქცია გაოცება და უზომო სიხარული იყო. გამიდის, ჩემი ცოტატი მაინც სჯერათ. სხვათა შორის, რასაც ვუყურებ, სწორი გეზი აქვს აღებული. ამას ჩემი მიწვევის გამო არ ვამბობ. უბრალოდ „სამშაბათობა“ მაგარი გამოგონებაა. ტოპმიოლერის დროს ნაკრების კარი ყველასთვის ღია ნაღდად არ ყოფილა და შანსიც არ მქონია. კუპერმა კი ყველას დაანახა, რომ ნაკრებში ნამდვილი დემოკრატიაა. მოაწონებ თავს, აგიყვანს, თუ არა და კარგად იყავი. ის მაინც მეცოდინება, რომ კუპერი წესიერი კაცია და ხალხს წმინდა სპორტულ პრინციპით არჩევს.

**- დღევანდელ ვარჯიშზე რას იტყვი?**

- ეს ტექნიკურ-ტაქტიკური ვარჯიშია. კუპერი რასაც გვავალებდა, ასე ევროპაში თამაშობენ. მცველები ნახევარდაცვის ზონებს კეტავენ და პირიქით. თანაც, თუ დააკვირდით, ყურადღებას აქცევდა პრესინგს და მოთამაშეთა სინქრონულ გადაადგილებას. სხვათა შორის, ასეთი ვარჯიშები ადრე ნაკრებში არ მახსენდება. ჟირესი უფრო სტანდარტულ მდგომარეობებზე ამახვილებდა ყურადღებას. შეიძლება იმიტომ, რომ არველაძე, ჯამარაული, კალაძე, კობიაშვილი, ხიზანიშვილი და იაშვილი ტექნიკურ-ტაქტიკურ ვარჯიშებს არ საჭიროებდნენ. მათ ეს ისედაც იცოდნენ.

**- ახლა რაც შეეხება შენს საკლუბო საქმეებს. თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღე თუ ისევ „მტზ-რიპოს“ ეკუთვნი?**

- თავისუფალი აგენტი არ გავმხდარვარ. არადა, ამის კანონიერი უფლება მქონდა. უბრალოდ კლუბის პრეზიდენტ რომანოვს ჯერ კიდევ ლიტვიდან ვიცნობ, ის „კაუნასის“ პრეზიდენტიც არის და ადამიანურად ვთხოვე, რომ არ მინდოდა სასამართლომდე საქმის მიყვანა. მან მითხრა, რომ სანერვიულო არაფერი მაქვს, ჩავალ და ერთ-ერთ ევროპულ კლუბთან კონტრაქტს დამახვედრებენ. მეტი აღარ დაუკონკრეტებია. იმედია, სიტყვას შეასრულებს. ევროპაში თამაში კი ყოველთვის ჩემი ოცნება იყო.

მერაბ მამულაშვილი

# გვაზავამ ლუჩი დატოვა

„ლელომ“ უკვე გამცნოთ, ნახევარმცველ **ლევან გვაზავას** ვლადივოსტოკის „ლუჩიდან“ სხვა გუნდში გადასვლა რომ სურდა. ამ რამდენიმე კვირის წინ, რუსულმა ვებგვერდებმა გვაზავას გვარი ყაზანი „რუბინსაც“ კი დაუკავშირეს. თუმცა თავად ფეხბურთელმა ინტერვიუში განაცხადა, რომ „რუბინის“ ინტერესის შესახებ პირველად ესმის, მაგრამ ის კი იცის, რომ მისი გადაბირება პირველი დივიზიონიდან პრემიერ-ლიგაში აღზევებულ „როსტოვსა“ და კრასნოდარის „ყუბანს“ სურთ.

გვაზავაზე რუსულ პრესაში გუშინ მორიგი ცნობა გავრცელდა, რომლის მიხედვითაც ლევანს უკვე ჰქონდა კლუბის ხელმძღვანელობასთან ლაპარაკი და ვლადივოსტოკიდან მისი წასვლის საკითხი გადაწყვეტილია. მიუხედავად იმისა, რომ ლევან გვაზავას „ლუჩთან“ 2009 წლის ბოლომდე ჰქონდა კონტრაქტი, ორმხრივი შეთანხმებით ეს ხელშეკრულება შეწყდება და ნახევარმცველი სხვა კლუბთან გააფორმებს კონტრაქტს.

„ლევან გვაზავას „ლუჩიდან“ წასვლა უკვე გადაწყვეტილია. ვლადივოსტოკელთა გუნდისთვის ეს ფეხბურთელი იგივე იყო, რაც „დინამოსთვის“ დანი, მაგრამ ფეხბურთელი უკვე ელაპარაკა კლუბის ხელმძღვანელობას და ის მალე სხვა გუნდის წევრი გახდება. გვაზავას გადასვლა „ყუბანში“, „ხიმკიში“ ან „რუბინშია“ მოსალოდნელი“- წერენ რუსი მიმომხილველები.

დავით ცაბაძე



ინტერვიუ

მირზა ბუალავა

# კუპერი ნაკრებს კარგ გუნდად აქცევს

## გადავა მირზა ბუალავა ლინცერში?

ავსტრიული „ლუშტენაუს“ ნახევარმცველი მირზა ბუალავა ახალგაზრდულ ნაკრებში სტაბილურად ასპარეზობდა. უფრო მეტიც, რამდენიმე შეხვედრაში ის 21-წლამდელთა გუნდის კაპიტანიც კი იყო. ბუალავას ახალგაზრდულში მომდევნო შესარჩევშიც შეუძლია თამაში. ასაკი ამის საშუალებას აძლევს. ეროვნულის თავკაცმა ექტორ კუპერმა ნახევარმცველს სამშაბათობაზე უხმო.

მირზა ბუალავა



**- საუბარი კუპერის ვარჯიშით დავიწყოთ.**

- საინტერესო ვარჯიში იყო. არგენტინელი მწვრთნელი ძალზე მონდომებული და შრომისმოყვარეა. მაღალი კლასის სპეციალისტი რომაა, ამაზე აღარ ვლაპარაკობ და მჯერა, ჩვენს ნაკრებს კარგ გუნდად აქცევს. საამისოდ მას სათანადო კადრებიც ჰყავს.

**- მაინც რა სახის ვარჯიში იყო და რა შეგძინა?**

- ჩემი აზრით, უმთავრესად ეს გაცნობითი ხასიათის ვარჯიში იყო. კუპერმა ტაქტიკურადაც გვავარჯიშა და წვრთნაში ტექნიკური კომპონენტებიც იყო. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ კუპერს უნდოდა ჩვენთვის გაეცნო, თუ რა ტაქტიკით ავარჯიშებს ნაკრებს. ამ შემადგენლობიდან ვინმე თუ გამოგვიძახეს, ყველამ უნდა ვიცოდეთ, რა სქემას უნდა მოვერგო. რაც ვნახე, კუპერი 4-3-2-1 განლაგებას ირჩევს.

**- ვარჯიშზე კუპერმა ნახევარმცველები დაცვითი და შემტევი ფუნქციების მიხედვით დაყო. შენ რომელ ნაწილში იყავი?**

- უფრო შეტევა მევალებოდა, მაგრამ დაცვის ფუნქციებიც შევასრულე. კუპერმა აგვიხსნა, თუ სად უნდა ვიყოთ და რა უნდა გავაკეთოთ შეტევისა და დაცვის დროს. მსგავსი რამ სხვა მწვრთნელებისგანაც მომისმენია, მაგრამ კუპერისგან ამის მოსმენა საინტერესო და უფრო მეტიც, საერთო საქმისთვის აუცილებელი იყო.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში მუდმივად გიწევდა თამაში. ზოგ მატჩებში კაპიტანიც იყავი. რამდენად შეძელი კუპერისთვის თავის მოწონება?**

- ერთი ვარჯიშით ძნელია დასკვნის გაკეთება. კუპერმა რაც დაგვავალა, კარგად შევასრულე და რა შთაბეჭდილება დავტოვე, ამას ნაკრების თავკაცზე უკეთ ვერავინ გეტყვით. თუ კუპერი გამომიძახებს, ძალიან გამეხარდება. ამ დროისთვის კი ოპტიმალურ ფორმაში არ ვარ. ჯერ ერთი, თითქმის 3-4 კვირაა უვარჯიშებელი ვარ და მეორეც, “ლუშტენაუს” მწვრთნელთან დაძაბული ურთიერთობის გამო კლუბში სათამაშო პრაქტიკა არ მქონია.

**- კუპერის ამ ვარჯიშს კახა ცხადაძეც ესწრებოდა. თითქმის გადაწყვეტილია, რომ 21-წლამდელთა ნაკრებს სწორედ ცხადაძე ჩაიბარებს...**

- ცხადაძე კარგი მწვრთნელია, მას ეს „ლოკომოტივში“, „სიონსა“ და „დინამოში“ დაუმტკიცებია. მჯერა, ის ახალგაზრდულ ნაკრებში ძლიერ გუნდს ჩამოაყალიბებს. კახა ცხადაძემ კუპერზე გაცილებით მეტი იცის ქართულ ფეხბურთზე და მათი თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება.

**- ახლა საკლუბო თემაზე გადავიდეთ. „ლუშტენაუს“ თავკაცთან რატომ გაქვს დაძაბული ურთიერთობა?**

- არ მინდა ამაზე საუბარი. ჩავლილი ამბავია...

**- სასტარტო შემადგენლობიდან ამოგაგდო?**

- კი და თავისი მოყვანილ ფეხბურთელებს ათამაშებდა. როცა ხედავ რომ სხვებს აშკარად ჯობიხარ და მაინც სხვას ათამაშებენ, ძნელია ამისი მოთმენა.

**- შენც ვერ მოითმინე და...**

- ცხარე საუბარი გვქონდა, საქმეში კლუბის პრეზიდენტი ჩაერია. თუმცა ვინ ითამაშებს და ვინ არა, ეს მთავარი მწვრთნელის გადასაწყვეტია და ამ კონფლიქტის გამო გუნდის განაცხადში ბოლო თვეებში არ ვიყავი. მართალი გითხრათ, აღარ მინდა ამ გუნდში დარჩენა და ვნახოთ რა იქნება.

**- როგორც გავიგე, შვეიცარიაში გადასვლას გთავაზობენ.**

- შვეიცარიის ვარიანტი ადრე იყო. ახლა სხვა ვარიანტი მაქვს.

**- იქნებ კლუბი დაგვისახელო.**

- „ლინცერზეა“ საუბარი.

**- „ლუშტენაუსთან“ კონტრაქტი დაგიმთავრდა?**

- არა, კიდევ წლინახევრიანი ხელშეკრულება მაქვს, მაგრამ კლუბის პრეზიდენტს უკვე ვესაუბრე და როგორც მითხრა, არ უნდა შემაფერხონ.

**- შენი ტრანსფერის საკითხი როდის გადაწყდება?**

- წესით ყველაფერი ამ 2-3 კვირაში უნდა გაირკვეს და ვნახოთ.

დავით ცაბაძე

ლეგიონერი

# საბურთალოში ბევრი ფეხბურთელია, ბარსელონაში რომ ითამაშებდა

## გიორგი ჭანტურიამ კატალონიურ გრანდში დუბლი შეასრულა

**გიორგი ჭანტურია „ბარსელონის“ საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობს. ჭაბუკთა ლიგის კლუბის, „საბურთალოს“, საქართველოს 16 და 17-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელმა კატალონიური გრანდის ასაკობრივ გუნდში კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. 15 წლის თავდამსხმელს გუშინ დავუკავშირდით.**

**- გიორგი, როგორც ვიცი, შენი დატოვება გვარდიოლას ასისტენტმა გადაწყვიტა.**

- დიახ, მეც ასე მითხრეს. ის თამაშს დაესწრო და მოვეწონე. მგონი, "ბარსელონაში" ჩემ მიმართ სხვებიც კარგად განწყობილნი არიან.

**- საერთოდ, "ბარსელონაში" როგორ აღმოჩნდი?**

- "საბურთალოს" პრეზიდენტ ტარიელ ხეჩიკაშვილს ესპანეთში საქმიანი კავშირები აქვს და ჩვენი კლუბით დააინტერესა. თორემ, "ბარსელონაში" გასინჯვაზე ჩამოსვლაც კი ძალიან რთულია. აქ ერთადერთი უცხოელი მე ვარ.

**- სულ რამდენი მატჩი გამართე?**

- სამი შეხვედრა - სამი ბურთი გავიტანე და ორი საგოლე პასი გავაკეთე. გუშინ ბულგარეთის ჩემპიონს, ხრისტო სტოიჩკოვის გუნდს შევხვდით და 4:1 მოვუგეთ. აქედან ორი გოლი მე გავიტანე.

**- რა პოზიციაზე გათამაშებენ?**

- 4-3-3 განლაგებაში, მარცხენა ფორვარდად დამაყენეს.

**- ფიზიკურად არ ჯაგიჭირდა?**

- ნაღდად არ გამჭირვებია. როგორც ვხედავ, ფიზიკურად არავისზე ნაკლებად მომზადებული არ ვარ.

**- საერთოდ, კატალონიურ გრანდამდე რა გზა გაიარე?**

- 6-7 წლისა რომ ვიყავი, მამუკა ფანცულაიასთან და სოსო მუხიგულაშვილთან დავდიოდი, შემდეგ კი, 14 წლამდე საფეხბურთო აკადემია "ოლიმპში" თემურ ფოცხვერიასთან ვვარჯიშობდი, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა. ფოცხვერია და გიორგი დევდარიანი კი "ოლიმპშიც" ერთად იყვნენ და დღემდე ასე არიან. 2007 წელს მთელი გუნდი ფოცხვერიასთან ერთად „საბურთალოში“ გადავედით, სადაც მთავარი მწვრთნელი გიორგი დევდარიანია. ბუნებრივია, მასთანაც ბევრი რამ შევიძინე. სხვაგვარად "ბარსელონაში" არავინ გამაჩერებდა.

**- „ბარსელონაში“ როდემდე ივარჯიშებ?**

- 21 დეკემბერს თბილისში უნდა დავბრუნდე, 7 იანვარს კი გუნდში დამიბარეს – ამ დღეს ვარჯიშზე უნდა ვიყო. ახლა „ბარსელონის“ ბაზაზე ვვარჯიშობ, რომელიც „კამპ ნოუდან“ 15 წუთის სავალზეა.

**- შენი აზრით, „ბარსელონის“ ძირითად გუნდში ქართველის მოხვედრა რეალურია?**

- დიახ, რეალურია. „საბურთალოში“ და ჩვენს 16 და 17-წლამდელთა ნაკრებში რამდენიმე ისეთი მოთამაშე მეგულება, რომლებიც აქ თავისუფლად ითამაშებდა.

**მერაბ მამულაშვილი**



ბორჯომი. ინტერვიუ ვახტანგ მაისურაძესთან

# 300 ათასი გამოგვიყონ და უმაღლესიდან არ გავვარდებით

## იქნება თუ არა ბორჯომში გუნდი?



**მიმდინარე სეზონში „ბორჯომი“ ზოგისთვის „კერკეტი კაკალი“ გამოდგა, მაგალითად, „ზესტაფონმა“, "პლომპმა" და "სიონმა" ამ გუნდთან დაუგეგმავი ქულები დაკარგეს. „გაგრასთან“ ბოლოს ჩატარებულ შეხვედრაში კი "ბორჯომი" 0:2 ისე დამარცხდა, ძალიან უფერულად ითამაშა. მიზეზი რომ ვიკითხე, მითხრეს, კლუბში ფინანსური კრიზისია, ფეხბურთელებს უკვე მეოთხე თვეა, ფული არ აულიათ და ეს შედეგებსაც დაეტყოო. უფრო მეტიც, თუ დავალიანება არ იქნება გასტუმრებული, „ბორჯომი“ ჩემპიონატს საერთოდ გამოეთიშებაო. ვითარებაში უკეთ გარკვევის მიზნით კლუბის დირექტორ ვახტანგ მაისურაძეს გავესაუბრეთ.**

- ჯამში თანხა დიდი და საგანგაშო არაა, მაგრამ გასასტუმრებელია. გარდა ამისა, წინა სეზონის დავალიანებაც გადასახდელია.

**- ჯამში რამდენია ეს თანხა?**

- მიმდინარე სეზონში ორი მოგებისა და ხუთი ფრის პრემიალურები, გარდა ამისა, ხელფასებია გასასტუმრებელი. ეს თანხა ჯამში 100 ათასი ლარია.

**- ეს თანხა ვინ უნდა გადაიხადოს? საერთოდ ვინ დაგპირდათ ამ თანხის დაფარვას?**

- ჯერჯერობით თანხა არ ჩანს, მაგრამ გვპირდებიან...

**- მიმდინარე სეზონის დასაწყისში ეროვნულ ჩემპიონატში „ბორჯომის“ სამონაწილეო თანხა ბორჯომის გამგეობამ გადაიხადა. ვალებსაც ისინი დაფარავენ?**

- დიახ, ასე იყო. 8 ათასი „ბორჯომი 2“-ისთვის, ხოლო 30 ათასი ლარი მთავარი გუნდისთვის გადაიხადეს. მას მერე ვწვალობთ და დღემდე კლუბს ფეხბურთელების დავალიანება დაუგროვდა. ენთუზიაზმის ხარჯზე ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ამ სეზონის პირველი ნახევარი ჩავამთავროთ, ზამთრის პაუზამდე მივიდეთ და იმედია, მერე დაგვეხმარებიან. თუ ასე გაგრძელდა, მაშინ კარგს ვერაფერს ვხედავ, მით უმეტეს, ბოლო მატჩებში ქულები დავკარგეთ და სატურნირო მდგომარეობის მიხედვით მართლაც კატასტროფულ მდგომარეობაში ვართ. თუ მდგომარეობა სასიკეთოდ არ შეიცვალა, მაშინ პირველ ლიგაში დაქვეითებას ვერ ავცდებით.

**- გუნდში რა დონის მოსამზადებელი პირობებია?**

- გუნდი სასტუმროში გვყავს და ნორმალურად ვამზადებთ, მაგრამ ფეხბურთელების დავალიანების გამო ძნელია, მოთამაშეებს შედეგი მოსთხოვო. ასეთ პირობებში 11 ქულა რომ ავიღეთ, ფეხბურთელების მადლობელი ვართ. მომდევნო მატჩი ცხინვალის „სპარტაკთან“ გვაქვს. ეს გუნდი ჩვენი უშუალო კონკურენტია, ყველანირად შევეცდებით, რომ ეს თამაში მოვიგოთ და სეზონის პირველი ნახევარი 14 ქულით ჩავამთავროთ.

**- გამგეობა ველარ გეხმარებათ?**

- გამგეობას დიდი სურვილი კი აქვს, ჩვენს კლუბს დაეხმაროს, მაგრამ საშუალება არ გააჩნია. გამგეობის წლევანდელ ბიუჯეტში არ ვართ, გაისად კი ვნახოთ...გამგეობის გარდა სპონსორიც გვყავდა, მაგრამ აგვისტოს ცნობილი მოვლენების მერე საქმეები აერია და ჯერჯერობით ველარ გვაფინანსებს.

**- ვინაა ეს სპონსორი?**

- ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიაა, რომელსაც სამშენებლო ობიექტები ბორჯომშიც აქვს და საქართველოს სხვა ქალაქებშიც. მომიტევეთ, მაგრამ თავად არ უნდა ვინაობის დასახელება და ვერც მე გეტყვით.

**- „ბორჯომის“ მწარმოებელი კომპანია არ ეხმარება ბორჯომის გუნდს?**

- ქალაქის ბიუჯეტს უმეტესად სწორედ ეს კომპანია ავსებს და გამგეობა სწორედ იმ თანხას გვიყოფდა, როცა საშუალება იყო. თუმცა ბორჯომში ფეხბურთის გუნდის გარდა სხვა პროექტებიც ხორციელდება და ჩვენთვის ყოველთვის ვერ იცლიან. სხვათა შორის, „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ“ წინა სეზონის წინ გუნდს ორი ეკიპირება გვიყიდა... ამ ბოლო ხანს ეს კომპანია არც შეგვიწუხებია... მართალი გითხრათ, სახელმწიფო სტრუქტურები თუ არ დაგვეხმარნენ, ისე არაფერი გამოვა.

**- სახელმწიფო სტრუქტურებს საფეხბურთო კლუბების დაფინანსებაზე „ზემოთ“ უარი უთხრესო, მართალია?**

- მეც ასე გავიგე, მაგრამ მათი დახმარების გარეშე არაფერი გამოვა.

**- კლუბი და სტადიონი ვისი საკუთრებაა?**

- მართალია ჩვენი კლუბი შპს-ა, მაგრამ სტადიონიც და კლუბიც სახელმწიფო საკუთრებაა...

**- შესაბამისად სახელმწიფო სტრუქტურები უნდა დაგეხმარონ..**

- ასე გამოდის...

**- ჯერჯერობით ვერ გეხმარებიან, დაპირება თუ მაინც მიიღეთ?**

- დაპირებები არის და ჩვენც ამისი იმედი გვაქვს. „ბორჯომი“ უმაღლესი ლიგიდან რომ გავარდეს, ალბათ კარგა ხანს ვერ დავბრუნდებით მთავარ დივიზიონში. ჩვენი სტადიონიც არაა დამთავრებული. შესაბამისად ჩვენ, გუნდმა და მთელმა ბორჯომმაც ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ გუნდი არ დაქვეითდეს.

**- უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად გუნდს გაძლიერება დასჭირდება...**

- კი ასეა. ფეხბურთელების დამატება მართლაც დაგვჭირდება...

**- პლუს დავალიანების გასტუმრება და თანხა მიმდინარე სეზონის ბოლომდე. მაინც რამდენია ჯამში საჭირო?**

- სხვა კლუბებში სეზონის განმავლობაში მილიონებს ხარჯავენ, ღმერთმა ყველას მისცეს. ჩვენ დიდ ფინანსებს არ ვითხოვთ, მთლიანობაში, გამგეობამ 300 ათასი ლარი რომ გამოგვიყოს, ამ სეზონის ბოლომდე გვეყოფა. ეს თანხა გამონახოს და პირობას ვიძლევი, უმაღლეს ლიგაში ადგილს შევინარჩუნებთ. უმადურები ნამდვილად არ ვართ. ასეთი სტადიონი გვაქვს, მაღალი ხარისხის ხელოვნური საფარით. მადლობელი ვართ სახელმწიფოსი. ეს მათი დამსახურებაა. გარდა ამისა, ლერი ხაბელოვს მინდა მადლობა ვუთხრა. მის სპორტკომპლექს „ოლიმპში“ ვართ და ამაში არაფერს გვახდევინებენ. მხოლოდ იმას ვიხდით, რა დენი და გაზიც დაიწვება გათბობისა და ბანაობისთვის.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### აღმოსავლეთი

XIII ტურის გადატანილი მატჩი

12 დეკემბერი

**თბილისი–დინამო 2:2**

1:0 ტორონჯაძე (19), 2:0 ჯაში (37), 2:1 ბოლქვაძე (43), 2:2 ლეკვთაძე (50)

თბილისი: გიორგობიანი, ოდიშარია (54. ნარეშელი), ჭაფოძე, მიქელაძე, ბექანია, ბაბუნაშვილი, გურეშიძე, მოდებაძე, ჯაში, აფხაზავა, ტორონჯაძე

სათადარიგო: ამისულაშვილი

მთავარი მწვრთნელი: გელა გომელაური

დინამო 2: ლოსაბერიძე, მინდორაშვილი (46. კოპაძე), კაჭკაჭიშვილის, გეთიაშვილი, კეკელია, მამუჩიშვილი (73. ქამუშაძე), ჩადუნელი, ბოლქვაძე (46. ზ. ლობჟანიძე), ჯოხაძე, ლეკვთაძე, ჩიკვაიძე

სათადარიგოები: ჭყონია, მამრაში, ქანთარია, ცერცვაძე.

მთავარი მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

გაფრთხილება: მოდებაძე, კაჭკაჭიშვილი.

არბიტრი: ლ. სილაგავა (თბილისი)

### XIV ტურის გადატანილი მატჩი

16 დეკემბერი

დინამო 2-ამერი 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 16 | 12 | 2 | 2 | 33-9 | 38 |
| 2. ამერი | 15 | 11 | 2 | 2 | 28-7 | 35 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 15 | 8 | 5 | 2 | 25-6 | 29 |
| 4. დინამო 2 | 15 | 8 | 5 | 2 | 25-12 | 29 |
| 5. დილა | 15 | 6 | 5 | 4 | 21-12 | 23 |
| 6. თბილისი | 16 | 5 | 3 | 8 | 25-26 | 18 |
| 7. სიონი 2 | 15 | 5 | 3 | 7 | 21-38 | 18 |
| 8. გაგრა 2 | 16 | 5 | 2 | 9 | 26-37 | 17 |
| 9. კახეთი | 15 | 2 | 4 | 9 | 8-25 | 10 |
| 10. ნ/დინამო | 15 | 1 | 5 | 9 | 16-30 | 8 |
| 11. ჰერეთი | 15 | 1 | 4 | 10 | 11-37 | 7 |

### მეორე ლიგა

აღმოსავლეთი. XVI ტური

15 დეკემბერი

| | |
|---|---|
| ლიახვი-არაგველები | 5:2 |
| ალგეთი-იმედი | 3:1 |
| გარეჯი-სპარტაკი 2 | 2:0 |
| ერთობა-IBSU | 0:2 |
| ალაზანი-ამერი 2 | 0:1 |

16 დეკემბერი

| | |
|---|---|
| ზოოვეტი-35-ე სკოლა | 1:3 |
| სამგორი-ნ/დინამოელი | 4:2 |
| ჰერეთი 2-ლოკომოტივი | 3:0 |
| ბორჯომი 2-დუშეთი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დუშეთი | 16 | 11 | 2 | 3 | 35-14 | 35 |
| 2. ლოკომოტივი 2 | 16 | 10 | 3 | 3 | 34-18 | 33 |
| 3. სპარტაკი 2 | 16 | 10 | 2 | 4 | 43-22 | 32 |
| 4. ამერი 2 | 16 | 10 | 2 | 4 | 31-11 | 32 |
| 5. გარეჯი | 16 | 9 | 2 | 5 | 26-15 | 29 |
| 6. ჰერეთი 2 | 16 | 8 | 1 | 7 | 36-25 | 25 |
| 7. 35 ს.ს. | 16 | 7 | 4 | 5 | 28-26 | 25 |
| 8. სამგორი | 16 | 6 | 6 | 4 | 29-24 | 24 |
| 9. ერთობა | 16 | 7 | 2 | 7 | 24-33 | 23 |
| 10. ბორჯომი 2 | 15 | 7 | 1 | 7 | 19-24 | 22 |
| 11. I.B.S.U. | 16 | 7 | 1 | 8 | 19-24 | 22 |
| 12. ლიახვი | 17 | 6 | 4 | 7 | 27-29 | 22 |
| 13. იმედი | 16 | 5 | 5 | 6 | 19-24 | 20 |
| 14. ალგეთი | 16 | 5 | 2 | 9 | 19-35 | 17 |
| 15. არაგველები | 16 | 4 | 4 | 8 | 17-23 | 16 |
| 16. ზოოვეტი | 16 | 4 | 2 | 10 | 21-32 | 14 |
| 17. ალაზანი | 16 | 3 | 2 | 11 | 12-31 | 11 |
| 18. ნ. დინამო 2 | 16 | 1 | 3 | 12 | 10-40 | 6 |

### ჭაბუკთა ლიგა

1991–92 წწ. XV ტური

12 დეკემბერი

| | |
|---|---|
| ბორჯომი-გაგრა | 2:3 |
| მგლები-სპარტაკი | 3:1 |
| სიონი-მესხეთი | 4:1 |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 1:0 |
| დინამო-ოლიმპი | 6:0 |
| U16 ნაკრები-ზესტაფონი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 15 | 12 | 1 | 2 | 52-14 | 37 |
| 2. გაგრა | 15 | 12 | 0 | 3 | 49-25 | 36 |
| 4. ზესტაფონი | 15 | 10 | 0 | 5 | 10-17 | 30 |
| 3. მგლები | 15 | 9 | 2 | 4 | 37-25 | 29 |
| 5. ნაკრები U16 | 15 | 8 | 1 | 6 | 46-25 | 25 |
| 6. ვიტ ჯორჯია | 15 | 8 | 1 | 6 | 19-14 | 25 |
| 7. სპარტაკი | 15 | 6 | 4 | 5 | 28-19 | 22 |
| 11. სიონი | 15 | 5 | 1 | 9 | 20-40 | 16 |
| 8. ოლიმპი | 15 | 4 | 3 | 8 | 36-41 | 15 |
| 9. ლოკომოტივი | 15 | 4 | 1 | 10 | 17-41 | 15 |
| 10. ბორჯომი | 15 | 3 | 3 | 9 | 19-39 | 12 |
| 12. მესხეთი | 15 | 0 | 1 | 12 | 11-74 | 1 |

1993–94 წწ. XV ტური

14 დეკემბერი

| | |
|---|---|
| გაგრა-ბორჯომი | 3:0 |
| სპარტაკი-მგლები | 0:2 |
| მესხეთი-სიონი | 2:0 |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 0:2 |
| ოლიმპი-დინამო | 0:4 |
| ამერი-ზესტაფონი | 4:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 15 | 14 | 1 | 0 | 53-1 | 43 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 15 | 10 | 3 | 2 | 29-14 | 33 |
| 3. ამერი | 15 | 10 | 2 | 3 | 39-17 | 32 |
| 4. ზესტაფონი | 15 | 8 | 2 | 5 | 22-16 | 26 |
| 5. მგლები | 15 | 6 | 4 | 5 | 34-21 | 22 |
| 6. სპარტაკი | 15 | 6 | 3 | 6 | 18-23 | 21 |
| 7. ლოკომოტივი | 15 | 5 | 3 | 7 | 25-17 | 18 |
| 8. გაგრა | 15 | 4 | 5 | 6 | 20-23 | 17 |
| 9. ოლიმპი | 15 | 4 | 4 | 7 | 21-27 | 16 |
| 10. ბორჯომი | 15 | 3 | 5 | 7 | 12-30 | 14 |
| 11. მესხეთი | 15 | 1 | 2 | 12 | 7-64 | 5 |
| 12. სიონი | 15 | 1 | 2 | 12 | 7-34 | 5 |

1995–96 წწ. XV ტური

14 დეკემბერი

| | |
|---|---|
| გაგრა-ბორჯომი | 0:1 |
| სპარტაკი-მგლები | 1:1 |
| სიონი-მესხეთი | 2:0 |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| ოლიმპი-დინამო | 4:0 |
| ამერი-ზესტაფონი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 15 | 13 | 0 | 2 | 45-6 | 39 |
| 2. გაგრა | 15 | 10 | 1 | 4 | 34-9 | 31 |
| 3. ზესტაფონი | 15 | 8 | 3 | 4 | 31-20 | 27 |
| 4. ოლიმპი | 15 | 8 | 3 | 4 | 25-16 | 27 |
| 5. მგლები | 15 | 7 | 3 | 5 | 25-17 | 24 |
| 6. ვიტ ჯორჯია | 15 | 7 | 2 | 6 | 18-20 | 23 |
| 7. ბორჯომი | 15 | 7 | 1 | 7 | 19-14 | 22 |
| 8. დინამო | 15 | 5 | 6 | 4 | 11-16 | 21 |
| 9. ამერი | 15 | 5 | 4 | 6 | 17-21 | 19 |
| 10. სიონი | 15 | 3 | 2 | 10 | 15-35 | 11 |
| 11. სპარტაკი | 15 | 1 | 5 | 9 | 7-29 | 8 |
| 12. მესხეთი | 15 | 0 | 2 | 13 | 1-45 | 2 |

ლეგიონი

შეჯამება. ავსტრია-გერმანია

# გადადებული დებიუტი და გოლის გახსენება

## შაშიაშვილისა და კანდელაკის ფულ ჰაუზი



გიორგი შაშიაშვილი



ილია კანდელაკი

გასულ უქმეებზე ორ ევროპულ ქვეყანაში, ავსტრიასა და გერმანიაში საფეხბურთო სეზონი ზამთრის შესვენებაზე გავიდა. ამ ქვეყნების პროფესიულ ლიგებში სულ 9 ქართველი ლეგიონერი ირიცხება. ბუნდესლიგის პირველი წრე ქართველთათვის უდიდესი იმედებით იწყებოდა და იმედგაცრუებით დასრულდა. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერეს საფეხბურთო ჩემპიონატში ერთბაშად სამ ქართველს უნდა ეთამაშა, თუმცა ასე არ მოხდა – 18 წლის **ლევან ყენია**, რომელმაც „შალკეს" 30-ნომრიანი მაისურა მოირგო, ზამთრის შესვენებაზე ბუნდესლიგური დებიუტის გარეშე გავიდა. ქართველი ტალანტი სეზონის დასაწყისში ვერ ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში, შემდეგ კი, როცა მას მიუახლოვდა, დასანანი ტრავმა მიიღო. ლევანის დებიუტი „შალკეს" ძირითად გუნდში მაინც შედგა – 2 ოქტომბერს „შალკე" კვიპროსულ აპოელ-ს ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. ამ მატჩის 64-ე წუთზე ჯერ კიდევ 17 წლის ყენიამ **ჯერალდ ასამოა** შეცვალა! ამ მატჩის გარდა ლევანი მოედანზე კიდევ ორჯერ გავიდა „შალკე 2-ის" შემადგენლობაში რეგიონალლიგის მატჩებში. ჩვენ უფრო შთამბეჭდავ დებიუტს ველოდით უკანასკნელ წლებში ქართულ ფეხბურთში გამოჩენილი ტალანტისაგან, თუმცა იმედს ვიტოვებთ, რომ ყველაფერმა უბრალოდ ნახევარი წლით გადაიწია.

ყენიას ვჩივით და „შალკეში" წონა 31 წლის **ლევან კობიაშვილმაც** დაკარგა. ქართველმა ნახევარმცველმა პირველ წრეში უმთავრესად მარცხენა მცველის პოზიციაზე ითამაშა, თუმცა ერთიორჯერ ის მარცხენა საყრენ ნახევარმცველადაც მოგვევლინა. 17 თამაშიდან კობიაშვილმა 12-ში მიიღო მონაწილეობა, აქედან 9-ჯერ სასტარტოში. ლევანს გოლით ან საგოლე პასით თავი არ გამოუჩენია, თუმცა მას არც ყვითელი ბარათი მიუღია, რაც კობიაშვილისთვის იშვიათობაა. მისი თამაშის „კიკერის" საშუალო შეფასება 3,89 ქულაა. ლევანის საუკეთესო მატჩი თანამემამულე **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუესთან" საგარეო შეხვედრა იყო, რომელიც „შალკემ" 3:0 მოიგო, ჩვენებურმა დაცვის ფლანგიც საუკეთესოდ აკონტროლა და შეტევებშიც ჩვეულად ჩაერთო. ჩავარდნა კი მე-15 ტურში იყო – „შალკე" „ლევერკუზენს" ესტუმრა და 1:2 წააგო, კობიაშვილი შესვენებაზე გამოცვალეს, მან „კიკერისგან" 5 ბალი მიიღო. სწორედ ამ თამაშის შემდეგ დაკარგა ლევანმა სასტარტოში ადგილი და მომდევნო ორ ტურში შეცვლაზე შესვლამ მოუწია. ჩემპიონატის მატჩების გარდა მან 1 თამაში თასზე გამართა, 4 უეფას თასზე სადაც პარისენჟერმენელ **ლარის მაბიალას** გოლი საკუთარ კარში გაატანინა. კობიაშვილს ბუნდესლიგაში 268 თამაში აქვს ჩატარებული და 28 გოლი გატანილი.

ალექსანდრე იაშვილის გუნდს ცუდი პირველი წრე ჰქონდა, „კარლსრუემ" 17 მატჩში 13 ქულაზე მეტი ვერ მოაგროვა და გაზაფხულზე ბუნდესლიგაში დარჩენისთვის მოუწევს ბრძოლა. 31 წლის იაშვილს ამ სეზონში უმთავრესად მარცხენა ფრთიდან შეტევებს ავალებდნენ. ქართველმა 14 მატჩში მიიღო მონაწილეობა, აქედან 9-ში სასტარტო შემადგენლობაში. სეზონი მან სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო, მაგრამ მალევე მოიპოვა სასტარტოში ადგილი. შემოდგომით იაშკამ რამდენიმე კარგი თამაში ჩაატარა („შტუტგარტთან", „ვოლფსბურგთან", „ბაიერნთან"). მისი საუკეთესო თამაში კი მიონხენგლადბახში „ბორუსიის" წინაალმდეგ იყო, მარცხის (0:1) მიუხედავად ქართველი მატჩში საუკეთესოდ შერაცხეს. აღმასვლას ჩავარნდა მოჰყვა, რომელიც „შალკესთან" პირწმინდად წაგებულ მატჩს დაემთხვა. ბოლოსკენ ჩვენებური უფრო ხშირად სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მეორე ტაიმში შედიოდა მინდორზე. „კიკერის" საშუალო შეფასება თითქმის კობიაშვილის შეფასების იდენტურია – 3,90. ალექსანდრემ 1 გოლი გაიტანა და 2 საგოლე პასი გააკეთა, ის ერთხელ გააფრთხილეს. ჩვენებურმა გერმანიის თასზე ორჯერ ითამაშა და ორი გოლი გაიტანა. ასე რომ, პირველი წრის საუკეთესო ქართველი ლეგიონერი გერმანიაში მაინც უფრო იაშვილია. ქართველ ფორვარდს ბუნდესლიგაში 189 მატჩი და 30 გოლი დაუგროვდა, აღსანიშნავია, რომ 8 ნოემბერს „ლევერკუზენის" კარში 76-ე წუთზე თავით გატანილი გოლი იაშვილისთვის პირველია სამწელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ ბუნდესლიგაში.

II ბუნდესლიგაში სამი ქართველი ლეგიონერი თამაშობს: **მათე ღვინიანიძე** („მიუნხენი"), **ოთარ ხიზანეიშვილი** („აუგსბურგი") და **დავით თარგამაძე** („ფრაიბურგი"). ღვინიანიძის „მიუნხენი" 22 ქულით მე-11 ადგილზეა და ალბათ ვერც ამ სეზონში იბრძოლებს ბუნდესლიგაში დაბრუნებისთვის. დასანანია, რომ მათემაც მოუკლო, თუმცა ნაწილობრივ ამის ახსნა ხშირი ტრავმიანობით შეიძლება. 22 წლის ღვინიანიძე მესამე სეზონია, მიუნხენურ კლუბში თამაშობს, პირველ წრეში მან 14 მატჩში ითამაშა (13 სასტარტოში), სამი კი ტრავმის გამო გამოტოვა. მათე ორჯერ გააფრთხილეს, მისი „კიკერისეული" საშუალო შეფასება 3,61 ქულაა. ღვინიანიძემ საუკეთესოდ თავი „აინტრახტთან" საგარეო მატჩში გამოავლინა, როცა დაცვის ცენტრში ბრწყინვალედ ითამაშა. წრის მიწურულს სხვა თანამემამულეების დარად, მანაც ოდნავ მოუკლო და გუნდის მიერ გაშვებულ რამდენიმე გოლშიც მიუძღვის ბრალი. ლეგიონერთაგან ყველაზე უკეთ ხიზანეიშვილის „აუგსბურგს" აქვს საქმე (27 ქულა, მე-6 ადგილი), მაგრამ ამავე დროს გერმანიაში მოთამაშე ქართველებში ყველაზე ცუდად საქმეები სწორედ ოთარს მისდის – მწვრთნელი არ ენდობა, ვერ თამაშობს და არც სასიკეთო პერსპექტივა ჩანს. 27 წლის ხიზანეიშვილმა სულ ორჯერ ითამაშა (ორივეჯერ შეცვლაზე), პირველ ტურში ის 27-ე წუთზე შევიდა და საგოლე პასიც გააკეთა „ნიურნბერგთან" მატჩში. „კიკერის" საშუალო შეფასება – 4,75 ქულა. „ფრაიბურგის" ძირითად გუნდში კიდევ ერთი ქართველი გამოჩნდა – 19 წლის დავით თარგამაძე, რომელმაც ორჯერ მოასწრო მინდორზე გამოჩენა. მისგან უფრო მეტს სეზონის მეორე ნახევარში ველით, ვინძლო „ფრაიბურგმა" ბუნდესლიგის საგზური მოიპოვის და იქ უკვე ოთხი ჩვენებური ვიხილოთ. რეგიონალლიგაში, ბაიერნის მხარის ჩემპიონატში „ვაიდენის" რიგებში თამაშობს 32 წლის **მიხეილ საჯაია**, გუნდი პირველ ადგილზეა და მესამე ბუნდესლიგაში გადასვლის შანსი აქვს.

გერმანიიდან ავსტრიაში გადავინაცვლოთ – იქაურ ბუნდესლიგაში „შტურმის" რიგებში ორი ჩვენებური წარმატებით გამოდის, გრაცელთა დაცვის ფლანგებს ამაგრებენ, 29 წლის **გიორგი შაშიაშვილი** და 26 წლის **ილია კანდელაკი**. შაშიაშვილი მეორე სეზონია ავსტრიაში, კანდელაკისთვის კი ეს სადებიუტო სეზონია. ზამთრის შესვენების წინ „შტურმსა" და „რაპიდს" 42-42 ქულა აქვთ, ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით „რაპიდი" მეორეა, მაგრამ ქართველთა გუნდს თამაში რეზერვში აქვს. გიორგი შაშიაშვილმა და ილია კანდელაკმა გრაცელთა 21 მატჩიდან 21-შივე ითამაშეს! შაშიაშვილი 3-ჯერ გააფრთხილეს, კანდელაკი 2-ჯერ. სამწუხაროდ, მსგავსი სტატისტიკით ვერ დაიკვეხნის ავსტრიის მეორე ბუნდესლიგაში მოთამაშე **მირზა ბუალავა**. 20 წლის ნახევარმცველი ახლახან **ექტორ კუპერმა** გამოიძახა, მისი გუნდი ლუსტენაუს „აუსტრია" 21 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა, მირზამ სეზონის დასაწყისში 4 მატჩში მიიღო მონაწილეობდა და მერე დაიკარგა.



ლევან კობიაშვილი

გვერდი მოამზადა

**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

# თეთრაძემ გუნდი შეკრიბა

გუშინ, მახაჭყალაში სეზონის შემდეგ პირველად შეიკრიბა „ანჟი", რომელიც საქართველოს ფარგლებს მიღმა ყველაზე „ქართული" გუნდია. შეკრებამდე გუნდის თავკაცმა **ომარ თეთრაძემ** კრება მოაწყო. შეკრება 27 დეკემბერს დასრულდება, წვრთნები დაღესტნის დედაქალაქში სასტუმრო „პრიმორსკაიას" მოედანზე გაიმართება დღეში ორჯერ. აქედანვე ცნობილია, რომ შეკრებაზე არ იქნებიან „ანჟის" ახალწვეულები **ოთარ მარცვალაძე** და **კახა ალადაშვილი** – ისინი თეთრაძის გუნდს პირველად თურქულ შეკრებაზე შეუერთდებიან. სამაგიეროდ, მახაჭყალაშია გუნდის კიდევ ერთი ახალწვეული ქართველი **ედიკ საჯაია**.

# ხუციშვილი ტრანსფერზეა

აზერბაიჯანული საიტ „გოლის" ცნობით, ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა ბაქოს „ოლიმპიკმა" ტრანსფერზე დააყენა გუნდის ქართველი შემტევი **მიხეილ ხუციშვილი**. 29 წლის ხუციშვილი შარშანდელ სეზონში თბილისის „დინამოს" რიგებში უმაღლესი ლიგის ბომბარდირი გახდა. ის ზაფხულში „ოლიმპიკში" გადავიდა და სეზონის პირველი ნახევარი ისე ჩაამთავრა, გოლი ვერ გაიტანა. „ოლიმპიკი" უახლოეს მომავალში ორი ლეგიონერის შეძენას გეგმავს გამთამაშებლის და ფორვარდის პოზიციაზე.

# ქართველები პირველზე ასრულებენ



გიორგი დარასელია

ისრაელის პრემიერლიგაში ჰაიფას „მაკაბიმ", რომლის მთავარი მწვრთნელის, **ელიშა ლევის** ასისტენტი **გიორგი დარასელიაა**, ზამთრის შესვენების წინ პირველობა გაინაღდა. ისრაელში ახალ წლამდე კიდევ ერთი ტური გაიმართება, მაგრამ ჰაიფელები ნეთანიის „მაკაბის" უკვე 4 ქულით უსწრებენ. ლევისა და დარასელიას შეგირდებმა სტუმრად 1:0 დაამარცხეს თელ-ავივის „ბნეი იეჰუდა".

ჰაიფას მეორე გუნდი „ჰაპოელი" ლეუმითლიგის ლიდერი და პრემიერლიგაში დაბრუნების პირველი კანდიდატია. ბოლო ტურში „ჰაპოელი" რამათ ჰაშარონის „ირონის" მასპინძლობდა და, მოულოდნელად, დამარცხდა. სტუმრები თამაშს ათი კაცის შემადგენლობით ასრულებდნენ, მაგრამ გაძლეს, ხოლო მასპინძელთა ქართველმა ფორვარდმა **ირაკლი გეფერიძემ** (14 თამაში, 5 გოლი) 41-ე წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა. „ჰაპოელს" 31 ქულა აქვს და უახლოეს კონკურენტს 5 ქულით უსწრებს. **გიორგი დავითნიძის** (5 თამაში) „ბნეი ლოდი" აკოს „ჰაპოელს" დაუზავდა – 0:0. თბილისის „ამერის" ყოფილი კაპიტანი სათადარიგო იყო. „ბნეი ლოდი" 12-გუნდიან ლეუმითლიგაში 12 ქულით მე-10 ადგილზეა .

# ჯელაძეების გუნდი დატოვეს

საოცარი ამბები ხდება ყაზახურ ფეხბურთში – მატჩის ჩაწყობისთვის პრემიერლიგიდან გარიცხული უსტ-კამენოგორსკის „ვოსტოკი" მომავალ სეზონში ისევ პრემიერლიგაში ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ამ კლუბში ძმები, **ზვიად** და **გიზო ჯელაძეები** თამაშობენ. ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა გადაწყვიტა, 14-ის ნაცვლად მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში 16 გუნდი ითამაშებს. ამას დაერთო ორი ალმაათური კლუბის უარი ჩემპიონატში გამოსვლაზე (მათ შორის ყაზახური ფეხბურთის ფლაგმანის „კაირათის"). ორი დღის წინ განაახლა შეკრება ყარაღანდის „შახტიორმა", ოღონდ ჯერ ლეგიონერთა გარეშე, ასე რომ, გუნდთან ერთად არ იმყოფება **ლაშა ნოზაძე**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწვრთნელო საკითხი

# გულიტი მწვრთნელობას ჰოლანდიაში აპირებს

## ამასობაში, ბოსველტი ოვერმარსთან წავიდა...

ჰოლანდიას სახელოვანი სამწვრთნელო სკოლა აქვს. დაწყებული **რინულ მიხელსიდან ფრანკ რაიკაარდით** დამთავრებული, უამრავი სახელის გახსენება შეიძლება. მიუხედავად აქტიური ფეხბურთელობისას მოპოვებული ვარსკვლავის სტატუსისა და იმის მიუხედავადაც, რომ თავის დროზე **არიგო საკიმ** მას დიდი მწვრთნელობა უწინასწარმეტყველა, ხსენებულ ამქარში ვერაფრით შევიყვანთ **რუუდ გულიტს**. ყოველ შემთხვევაში, 12 წელია, ის მწვრთნელად მუშაობს და აქამდე ღირებული არაფერი გაუკეთებია. „ჩელსიში" გატარებული ორი სეზონის შემდეგ (1996-1998), მხოლოდ თითო წელიწადი და ზოგან უფრო ნაკლები იმუშავა - „ნიუკასლში" (1998-99), „ფეიენოორდსა" (2004-05) და „ლოს ანჯელეს გალაქსიში" (2008). არ გამოსდის და არც ეშვებაო, სწორედ ამ ადამიანზეა ნათქვამი - მას ჯიუტად სურს სამწვრთნელო ასპარეზზე დაბრუნება. *„როგორც მწვრთნელი ჯერ კიდევ გამოუცდელი ვარ, მაგრამ ამბიციები არ მაკლია და დრო ჯერ კიდევ მაქვს, რომ ისინი განვახორციელო. სულ ცოტა ხნის წინ დავბრუნდი შეერთებული შტატებიდან. სამშობლოში დარჩენას დიდი ხნით ვაპირებ. დიდი სიამოვნებით მოვსინჯავდი ძალებს ერედივიზიონში"*, - განაცხადა „სექსუალური ფეხბურთის" მამამთავარმა.

„ფეიენოორდის", „ტვენტეს", „ჰერენვენისა" და ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **პოლ ბოსველტი** სამწვრთნელო საქმიანობას იწყებს. ის პირველ ეტაპზე „გოუ ეჰედ იგლზში" მთავარი მწვრთნელის თანაშემწე იქნება. „არწივების" დამრიგებელი **ანდრეს ულდერინკი** სწორედ თანაშემწეს ეძებდა, როცა პოლი გაახსენდა. ისინი ერთმანეთს დიდი ხანია იცნობენ და შესაბამისად, საერთო ენა მალე უნდა გამონახონ. რაც შეეხება სამწვრთნელო ლიცენზიას, პოლი მას მომავალ წელს მიიღებს. *„ფეხბურთელობის ჟამს ყოველი შეხვედრის შემდეგ დიდ დროს ვუთმობდი წინა შეხვედრის დეტალების ანალიზს, ახლა დიდი სურვილი მაქვს ჩემი გამოცდილება სხვებს გავუზიარო"*, - განაცხადა ფეხბურთელმა.

ალბათ მოგეხსენებათ, რომ ოთხწლიანი პაუზის შემდეგ ამ ზაფხულს სწორედ ალნიშნულ კლუბში გააგრძელა კარიერა ჰოლანდიის ნაკრების კიდევ ერთმა ვარსკვლავმა **მარკ ოვერმარსმა**.


რუუდ გულიტი

**შალვა ბიბილაშვილი**


ხავიერ აგირე

ატლეტიკო

# სიენიდან მადრიდში?

## აგირე იტალიური კლუბის ნახევარმცველით დაინტერესდა

„ატლეტიკომ" თამაშის ხარისხი საგრძნობლად გამოასწორა. ეს ფაქტი მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობას ძალიან ახარებს, მაგრამ ისინი თვითკმაყოფილებას არასოდეს მისცემიან, გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად **ხავიერ აგირე ენრიკე სეროსოს** შეხვდა და შემადგენლობის გაძლიერების საჭიროებაზე დაელაპარაკა, მექსიკელი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ „როხიბლანკოს" გაძლიერება ყველაზე მეტად ნახევარდაცვაში სჭირდება. აგირემ ბევრი იფიქრა და პრეზიდენტს **კამილო სუნიგას** გადაბირებაზე მუშაობის დაწყება შესთავაზა.

სუნიგა ამჟამად „სიენის" ღირსებას იცავს. იმ შემთხვევაში, თუ იტალიურ კლუბთან მოლაპარაკებისას სირთულეები არ წარმოიქმნება, ტრანსფერი იანვარშივე გაიჩარხება, თუმცა გამორიცხული არ არის, ეს საქმე მომავალი სეზონის დაწყებამდე გადაიდოს, ყველაფერი აპენინელების ნებაზე იქნება დამოკიდებული. მადრიდელები სატრანსფერო თანხას არ ასახელებენ, თუმცა აცხადებენ, რომ საკმაოდ დიდი ფულის გადახდას აპირებენ. კამილო 23 წლისაა და კოლუმბიის ახალგაზრდულ ნაკრებებში საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწია. 20-წლამდელთა გუნდთან ერთად ის სამხრეთი ამერიკის ჩემპიონი გახდა.

ალსანიშნავია, რომ „ატლეტიკო" თავდაპირველად **კლემენს ფრიტცის** შეძენაზე მუშაობდა, მხარეები ყველა წვრილმანზე შეთანხმდნენ, მაგრამ გერმანელმა მცველმა „ატლეტიკოსთან" საქმის დაჭერაზე მაინცდამაინც კონტრაქტის გაფორმების დღეს თქვა უარი.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ბილბაო

# გურპეგის სახლიდან გასვლა აუკრძალეს

პრიმერა დივიზიონის წინა ტურის მიმოხილვაში „ბილბაოსა" და „ოსასუნის" შეხვედრაში მომხდარი საშინელი ფაქტის შესახებ მოგახსენეთ. იმ მატჩის ბოლო წუთებზე მასპინძელი **კარლოს გურპეგის** და სტუმართა მეკარე **კუელიარი** ერთმანეთს შეასკდნენ. შეჯახება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ გურპეგიმ გონება დაკარგა და მოედანზე მკვდარივით გაიშხლართა. ფეხბურთში გახშირებული სიკვდილიანობით შეშინებულმა ბასკმა ექიმებმა კარლოსს პირველადი დახმარება აღმოუჩინეს და მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს.

ერთ-ერთ კერძო კლინიკაში გურპეგის სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარეს და ორი დღის შემდეგ შინ გაწერეს. ექიმების თქმით, ბასკი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. მან შეჯახებისას ტვინის უმძიმესი შერყევა მიიღო. ამას ვინ ჩივის, კარლოსს თავის არეში რამდენიმე ჰემატომა აღმოაჩნდა. ეს რა თქმა უნდა, ტრავმის ბრალია. მოკლედ, ექიმებმა მას ვარჯიში აუკრძალეს და სიტუაციის გაუმჯობესებამდე სახლში ყოფნა დაავალეს.

შავ დღეში აღმოჩნდა „სპორტინგის" მეკარე კუელიარიც. წარმოიდგინეთ, გურპეგის მისი მუხლი მოხვდა სახეში. დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ კუელიარმა მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო. ხიხონელთა კარის დარაჯი კლუბის ექიმებმა სტაციონარში გადაიყვანეს და დახმარება აღმოუჩინეს. გამორიცხული არ არის, კუელიარის გამოჯანმრთელებას თვეზე მეტი დრო დასჭირდეს.

**ილია ნიკოლაიშვილი**


ექიმების აზრით, კარლოს გურპეგი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა


მარკუს ბაბელს შტუტგარტის გასაწვრთნელად მხოლოდ ერთი წელი აქვს

შტუტგარტი

# ბაბელი მხოლოდ სეზონის ბოლომდე

გერმანიის საფეხბურთო კავშირმა „შტუტგარტის" ხელმძღვანელობას აუწყა, რომ **მარკუს ბაბელს** გუნდის მთავარ მწვრთნელად მუშაობის უფლება მხოლოდ სეზონის ბოლომდე აქვს. გერმანიის ნაკრების ყოფილმა ვარსკვლავმა საპასუხისმგებლო პოსტი ერთი თვის წინათ ჩაიბარა. მან გუნდიდან დათხოვნილი **არმინ ფეე** შეცვალა. ბაბელი ფეეს ასისტენტი იყო. ამიტომ მისი დაწინაურება არავის გაკვირვებია.

მაგრამ საქმე ისაა, რომ მარკუსს ბუნდესლიგაში მუშაობისათვის საჭირო ლიცენზია არ გააჩნია. ლიცენზიის მისაღებად კი ერთი წელი საკმარისი არ არის. უნდა თუ არა, სეზონის ბოლოს „შტუტგარტს" ახალი დამრიგებლის მოძებნა მოუწევს. კლუბის ხელმძღვანელობამ ამასთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენციის ჩატარება გადაწყვიტა. თუმცა პრესკონფერენცია ლიეჟის „სტანდარტთან" უეფას თასის გადამწყვეტი თამაშის შემდეგ გაიმართება. „სტანდარტთან" მატჩი ხუთშაბათს გაიმართება.

ალსანიშნავია, რომ ლიცენზიის არქონა ბაბელის მუშაობის ხარისხზე არ ასახულა. მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ, მან „შტუტგარტს" გერმანიის ჩემპიონატში ორი თამაში მოაგებინა. ბოლო ტურში შვაბები მიუნხენურ გიგანტ „ბაიერნს" შეხვდნენ და საპატიო ფრეს, 2:2-ს გამოკრეს ხელი. მოგეხსენებათ, „ბაიერნი" ბაბელის ყოფილი კლუბია.

**შალვა ბიბილაშვილი**

ამბები

## მანსინი სამეფო კლუბში?

ტრავმირებული ფეხბურთელებით დასუსტებული „რეალის" ხელმძღვანელობის უპირველესი საფიქრალი შემადგენლობის გაძლიერებაა. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოგახსენეთ, რომ ესპანელები რამდენიმე ფრონტზე იბრძვიან. როგორც იცით, ისინი „პორთსმუთიდან" **ლასანა დიარას** გადაბირებას ცდილობენ. ამბობენ, ამ მიმართულებით დიდი პროგრესი შეინიშნებაო, მაგრამ გუშინ კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია გახმაურდა. მადრიდული გაზეთების მტკიცებით, **ხუანდე რამოსმა „ინტერიდან" მანსინის** შეძენა მოითხოვა. **პრედრაგ მიატოვიჩმა** სამეფო კლუბის ახალი მწვრთნელის გადაწყვეტილება მოიწონა და მას დახმარებას დაპირდა.

„დიარიო ასის" კორესპონდენტი უშუალოდ მანსინის დაუკავშირდა და მისგან ასეთი განცხადება მოისმინა: *„რეალში" თამაში ბევრი ფეხბურთელის ოცნებაა, მაგრამ ჩემთვის ამ წინადადებით ჯერჯერობით არავის მოუმართავს. ამიტომ, წინასწარ ვერ ვილაპარაკებ. თუმცა ცხოვრებაში შეუძლებელი და გამორიცხული არაფერია."*

## აიაქსი თავდამსხმელს ეძებს

„აიაქსმა" თვალი დაადგა „ზალცბურგის" 25 წლის ავსტრიელ ცენტრფორვარდ **მარკ იანკოს**. შეუძლებელი იყო, გრანდებს მისი სტატისტიკა თვალში არ მიხვედროდათ. ავსტრიაში პირველი წრის 21 მატჩიდან მან მონაწილეობა 17-ში მიიღო და 27 გოლი გაიტანა (!). ამსტერდამელები მზად არიან მოთამაშეში 10 მილიონი ევრო გადაიხადონ. მარკის კონტრაქტს ვადა 2011 წელს გასდის. ზაფხულამდე გუნდის დატოვება არც ფეხბურთელს სურს, რადგან თუკი ჩემპიონატის დარჩენილ 15 თამაშში ის 12 გოლის გატანას შეძლებს, ამით ლეგენდარული **ჰანს კრანკლის** მიერ 1977/78 წლებში დამყარებულ რეკორდს გააუმჯობესებს.

ჩამოგითვლით კლუბების სიას, რომლებმაც თავდამსხმელით დაინტერესება გამოთქვეს: „სანდერლენდი", „რასინგი", „დეპორტივო", „ტოტენჰემი", „რომა", „ჰერტა", „სელტიკი", „ბეტისი", „ლევეკუზენი", „შალკე", „პალერმო", „ბლექბერნი", „შტუტგარტი", „ვერდერი", „დორტმუნდი".

## პალმეირასი გაძლიერებას გეგმავს

**ვანდერლეი ლუშემბურგოს** „პალმეირასი" გაძლიერებას გეგმავს. როგორც იცით, კლუბს კიევის „დინამოდან" **კლებერი** ერთწლიანი იჯარით ჰყავდა აყვანილი. ხელმძღვანელობას დიდი სურვილი ჰქონდა, ფეხბურთელი კიდევ ერთი წლით ენათხოვრებინა, მაგრამ უკრაინელების დათანხმება ამაზე უკვე ველარ შეძლეს. **იგორ სურკისი** ერთადერთ პირობას აყენებს - მსურველმა მოთამაშის კონტრაქტი უნდა გამოისყიდოს. კლებერი რვა მილიონ ევროდ გახლავთ შეფასებული. ვაჭრობაც სწორედ ფულზე მიდის. ბრაზილიურ კლუბს ხსენებული თანხის გადახდა არ შეუძლია. თავად მოთამაშის განცხადებით, სათამაშოდ სამშობლოში სიამოვნებით დარჩებოდა, მაგრამ...

გარდა კლებერისა, ლუშემბურგოს „კურიტიბადან" 20 წლის თავდამსხმელის, **კეირისონის** შეძენა სურს. თუმცა ის კიდევ უფრო ძვირია. სავარაუდოდ, მისი შეძენა მსურველს 10-დან 12 მილიონ ევრომდე დაუჯდება. ფასის შემცირება კი წარმოუდგენელია, რადგან ბრაზილიის ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირის შეძენით რამდენიმე ევროპული კლუბია დაინტერესებული.

## მიხაელ მოლსი დამსახურებულ პენსიაზე

„ფეიენოორდის" ვეტერანმა თავდამსხმელმა **მიხაელ მოლსმა** კარიერის დასრულება სეზონის დასრულების შემდეგ გადაწყვიტა. გადაწყვეტილება ფეხბურთელმა საპატიო ასაკში მიიღო - ხვალ მას 38 წელი შეუსრულდება. თუმცა ფეხბურთთან საბოლოოდ გამოთხოვებას სულაც არ გეგმავს. მიხაელს განზრახული აქვს, მოყვარულთა ლიგაში ითამაშოს. თავის დროზე მოლსი ჰოლანდიის ნაკრების წევრადაც კი მიიჩნეოდა, მაგრამ მძიმე ტრავმამ საშუალება არ მისცა, ნიჭი ბოლომდე გამოემჟღავნებინა. შეგახსენებთ, რომ 1999 წლის 3 ნოემბერს, ჩემპიონთა ლიგის მატჩში, „ბაიერნთან", შეხვედრის მეორე ტაიმში, **ოლივერ კანთან** შეჯახებისას მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო და ფაქტობრივად, წელიწადზე მეტი მინდორს მიღმა გაატარა. წინასწარმეტყველებდნენ, რომ კარიერას ნაადრევად დაასრულებდა, მაგრამ მას ეყო ნერვები და დიდი ფეხბურთს დაუბრუნდა. სამწუხაროდ, ის ოდინდელი მოლსის ჩრდილს უფრო ჰგავდა...

## სან პაულუს ლიდერი ევროპაზე უარსაა

„სან პაულუს" ლიდერი **ანდერსონ ერნანესი**, მიუხედავად ტრავმის შემდეგ ჩატარებული მცირე რაოდენობის მატჩებისა და არც თუ შთამბეჭდავი სტატისტიკისა, ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. მისით არა ერთი ევროპული კლუბია დაინტერესებული, თუმცა ვარსკვლავი არ აპირებს სათამაშოდ ძველ კონტინენტზე გადასვლას, იუწყება „ო' გლობო". „შობა-ახალი წლის დღესასწაულის პერიოდში კარგად დავისვენებ და შემდეგ „სან პაულუს" ბაზაზე გამოვცხადდები და კარიერას აქვე გავაგრძელებ, რადგან აქ თამაში ჩემთვის დიდი პატივია. მეტიც, ეს კლუბი ჩემი ოჯახივითაა. მეტი პრესასთან სათქმელი არაფერი მაქვს, - განუცხადა ერნანესმა გამოცემა „პლაკარის" კორესპონდენტს.

აქვე გეტყვით, რომ ბრაზილიის ჩემპიონებმა „ბარსელონას" თავაზიანი უარი განუცხადეს მოთამაშის მიყიდვაზე, რადგან გარიგების ფინანსურმა მხარემ ისინი არ დააკმაყოფილა. კლუბი კონკრეტულ თანხას არ ასახელებს, მაგრამ საფეხბურთო ექსპერტების გათვლებით, ფეხბურთელის მიახლეობითი ფასი 12-დან 15 მილიონ ევრომდე მერყეობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფიქრალი

# ინტრიგის მკვლელები

## გაუმარჯოს ქეცბაიას ანორთოსისს


თემურ ქეცბაია, ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების ინტრიგანის მთავარი შემოქმედი

როგორც ველოდით ისე დასრულდა: სუპერკლასიკო „ბარსელონამ" მოიგო და მიუხედავად იმისა, რომ **გვარდიოლას** ამაზე ლაპარაკი ალიზიანებს, ალბათ, ჩემპიონიც ის გახდება. „რეალს" კი, ალბათ, ამის შანსი უკვე აღარ მიეცემა. კატალონიელების თამაში ძალზე ადვილი საპროგნოზოა, რადგან ისინი თითქმის სულ იგებენ. 21-ე საუკუნის დასაწყისში „ვალენსიამ" ორ ესპანურ გიგანტს ორჯერ გამოსტაცა თათებიდან ლამის მათზე მორგებული საჩემპიონო ტიტული და ეს ძალიან კარგია. რას ვგულისხმობთ? განა უახლოეს წლებში ვინმე ელის, რომ „ბარსასა" და „რეალის" გარდა ესპანურ ტიტულს ვინმე ისევ მოიგებს? გულწრფელად გეტყვით, ალბათ, არავინ და თუ ამას რომელიმე კლუბი მოახერხებს, წარმატება მოკლევადიანი იქნება, ისევე როგორც ბოლო 30 წელიწადში „რეალ სოსიედადის", ბილბაოს „ატლეტიკის", „დეპორტივოს", მადრიდის „ატლეტიკოსა" და „ვალენსიის" ხანმოკლე გამონათებები. განა ასეთი სახალისოა ორი გრანდის ჰეგემონია? წარმოიდგინეთ, ბოლო 24 წელიწადში ჩემპიონობა მათ მხოლოდ ოთხჯერ დათმეს. ნუთუ ეს ვინმეს მოსწონს? ჩემპიონატი ჯერ გახურებულიც არ არის და უკვე იცი, ვინც მოიგებს მას - ერთი ან მეორე. ესაა მთელი ინტრიგა. ჰოდა, ჩვენც პატარა კლუბების გულშემატკივრები გავხდეთ. გავიხსენოთ, რომ 2003 წელს „სოსიედადს" სულ რაღაც 2 ქულა დააკლდა საჩემპიონო ოქრომდე. მისი გამარჯვება მართლა მაგარი იქნებოდა... მაგრამ იქნებოდა ერთია და მოსაბეზრებელი რეალობა მეორე.

ინგლისში რაღა ხდება? იქ საქმე უფრო წინაა წასული - ჩემპიონობისთვის დუეტი კი არა, კვარტეტი იბრძვის, თანაც დიდი კვარტეტი. მართალია, ამ ოთხიდან ერთ-ერთმა ბოლო ჩემპიონობა 18 წლის წინ მოიგო („ლივერპულმა"), მაგრამ მაინც. რამდენი ხანი იბატონებენ ეს კლუბები, ჯერ კიდევ საკითხავია. კარგია, რომ პრემიერლიგაში ამბიციური მილიარდერების კლუბები თამაშობენ. ზოგი წარმატების მისაღწევად ჭკუას ხმარობს (მაგალითად **ლერნერის** „ასტონ ვილა"), ზოგიერთი კი ცდილობს, სწრაფი ეფექტის მისაღწევად დიდზე დიდი ფული დახარჯოს (შეიხ **მანსურ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანის** „მანჩესტერ სიტი"). თუმცა ჩემპიონატის ინტრიგისთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს. კლუბები ძლიერდებიან და ამით შედეგი მიიღწევა... ოღონდ ეს ყველაფერი ალბათ მომავალში მოხდება. დიდი ოთხეულის წევრები ჯერ მხოლოდ იმ ინტრიგის საფუძველს გვიტოვებენ, ვინ რომელ ადგილზე გავა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოზე რომელი მათგანი ითამაშებს. ძალიან დიდი ხანია, ერთსა და იმავე სურათს ვუყურებთ: ჩემპიონთა ლიგაში ინგლისს მუდმივად ისინი წარმოადგენენ. რჩება შთაბეჭდილება, რომ რაც ლიგა დაარსდა, მას მერე ისინი იქ არიან და ფეხის მოცვლას არცკი აპირებენ. **ფერგიუსონი** რომ წავა, „ეშმაკები" ალბათ მერეც ყოველ წელს ჩვენს ტელეეკრანებზე იქნებიან. ოთხი, რა თქმა უნდა, ჯობია ორს, მაგრამ არც ასეთი ბატონობაა მიმზიდველი. მით უფრო, რა მიმზიდველობა აქვს ერთი კლუბის მარადმწვანე ჩემპიონობას?

რასაკვირველია, გერმანიის ჩემპიონატსა და მის უცვლელ ლიდერ „ბაიერნზე" ვსაუბრობთ. მიუნხენელთა საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, მაგრამ არცთუ ისე შორეულ წარსულში „კაიზერსლაუტერნის" მიერ გერმანული ვერცხლის სინის მოგებას სულ სხვა გემო ჰქონდა. ამისთვის დიდი მადლობა **ოტო რეჰაგელს.** იქნებ წლის ბოლოს მადლობა **რალფ რანგნიკსაც** გადავუხადოთ, თუკი ის სენსაციას მოახდენს და ოქროს მედლებს „ჰოფენჰაიმს" ჩააბარებს? ჰკითხეთ აბა რეკორდმაისტერის ქართველ ფანებს, არ მობეზრდათ ყოველ წელს ერთი და იმავე ზეიმების ცქერა? ჩემპიონობა, თასი და ლიგის მეოთხედფინალი... ნუთუ სულ ეს არის? ჰო, „ბაიერნიც" „მანჩესტერთან", „ბარსელონასა" და „მილანთან" ერთად ყოველ წელს ლიგაში თამაშობს, ამიტომ მას და სხვა გრანდებსაც ბრალს ვდებთ ფეხბურთის... უფრო სწორად, საფეხბურთო ინტრიგის მკვლელობაში და იქნებ ვინმემ აგვიხსნას, რა ღირებულება აქვს ფეხბურთს ინტრიგის გარეშე?

განა ვინმეს მოსწონდა „როსონერისა" და „ბიანკონერის" ურთიერთგარჩევების არენად ქცეული სერია A? ან ზედიზედ ათჯერ საჩემპიონო ბეჭდებით ხელდამშვენებული თბილისის „დინამო" და ცხრაჯერ მოოქროვილი „რეინჯერსი"? ასე რომ, გაუმარჯოს საბერძნეთის ნაკრებს, ჩემპიონთა ლიგის მომგებ „პორტუს", „შტუტგარტსა" და ლიგის მიმდინარე გათამაშების მთავარ „ინტრიგანს", **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისს"... ისინი ფეხბურთს ინტრიგას, ანუ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს უბრუნებენ.

ტოტენჰემი


ტოტენჰემის თავკაცი ჰარი რედნაპი

# რედნაპი: გაძლიერება გვჭირდება

## საუკუნოვანი რომანი სრულდება: უახლოეს მომავალში მამლები უაით ჰართ ლეინს დატოვებენ

**ჰარი რედნაპი** მიიჩნევს, რომ მის გუნდს წარმატებისათვის შემადგენლობის გაძლიერება სჭირდება. წარმატება კი, მისი აზრით, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ოთხეულში მოხვედრა იქნება, თუმცა ამ შედეგის მისაღწევად „მამლებს"დიდი გზა აქვთ გასავლელი. რედნაპი „უაით ჰართ ლეინზე" ოქტომბერში მივიდა. მისი წინამორბედი **ხუანდე რამოსი** კატასტროფულად დაწყებული სეზონისათვის გაათავისუფლეს. მას შემდეგ ლონდონურმა კლუბმა 27 შესაძლებლიდან 17 ქულა მოიპოვა, მაგრამ რამოსის მემკვიდრეობა იმდენად სავალალო იყო, რომ მხოლოდ მე-15 ადგილამდე აღზევება შეძლო და გავარდნის საფრთხე ჯერ კიდევ ემუქრება. მწვრთნელს იმედი აქვს, რომ იანვრის ტრანსფერებისას გუნდს საგრძნობლად გადაახალისებს.

*„ყველაფერი ჩვენს ამბიციებზეა დამოკიდებული. თუ მხოლოდ ლიგაში დარჩენა გვინდა მაშინ არავის ყიდვა არ არის საჭირო, ხოლო თუ უეფას თასზე ან სულაც ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას ვაპირებთ, საგრძნობლად უნდა გავძლიერდეთ, - განუცხადა რედნაპმა „ივნინგ სტანდარდს". - ჩვენ არ ვართ ისეთი ძლიერები, როგორიც, მაგალითად, „ასტონ ვილა" და კიდევ ერთი-ორი კლუბი. ასე რომ, მათთვის კონკურენციის გასაწევად მუხლჩაუხრელად უნდა ვიშრომოთ. კიდევ უფრო მძიმე იქნება „დიდი ოთხეულის" გუნდებთან ბრძოლა..."*

კლუბის პრეზიდენტი **დენიელ ლევი** არ იზიარებს გუნდის თავკაცის მოსაზრებას და დიდი ფულის დახარჯვას არ აპირებს. ზაფხულში კლუბმა უზარმაზარი თანხა გაიღო ახალი მოთამაშეების შესაძენად, მაგრამ ამავე დროს, **რობი კინისა** და **დიმიტარ ბერბატოვის** გაყიდვით სერიოზული მოგებაც ნახა. წესით, ახალი ტრანსფერებისთვის ფული პრობლემა არ უნდა იყოს, მაგრამ... *„იანვარში ყველაფერს გავაკეთებთ გუნდის გასაძლიერებლად, მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ მაღალი კვალიფიკაციის ფეხბურთელების ყიდვა რთული იქნება. რაიმე მსხვილ გარიგებას არ ვგეგმავთ. ჩვენი მიზანია, ამ შემადგენლობას მივცეთ თავის გამოჩენის შანსი. ჰარი ფეხბურთელებს ამის საშუალებას უკვე აძლევს. თუ შევხედავთ რედნაპის მოსვლის შემდეგ ნაჩვენებ შედეგებს, გამოდის, რომ ოთხ საუკეთესო გუნდში უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ... მერე რა, რომ კინისა და ბერბატოვის სახით აღიარებული ოსტატები დავკარგეთ? ამჟამინდელი შემადგენლობა ვალდებულია მაღალი მიზნებისთვის იბრძოლის,"* - განაცხადა ლევიმ.

განვაგრძოთ „ტოტენჰემის" სავარაუდო ტრანსფერებზე საუბარი. „დეილი მეილი" იტყობინება, რომ „მამლები" და სავარაუდოდ, „ევერტონიც" უარს იტყვიან **მაიკლ ოუენის** შეძენაზე. მაიკლი ძალიან ძვირადღირებული მოთამაშეა. „ევერტონში"ყველაზე მაღალი ანაზღაურება კვირაში 40 ათასი გირვანქაა. ინგლისის ნაკრების თავდამსხმელს კი „ნიუკასლში" 85 ათასს უხდიან. ასეთი ანაზღაურება არც „ტოტენჰემში"აქვს ვინმეს. ვარსკვლავის ხელში ჩაგდება „მანჩესტერ სიტისაც" სურს. როგორც იცით, არაბული ინვესტიციების წყალობით, „ქალაქელები" ფული თავზე საყრელად აქვთ.

ინგლისური მედია „სიტისა" და „ტოტენჰემს" შორის მოსალოდნელი გარიგების შესახებ წერს. მანჩესტერელებს, სხვებთან ერთად, ლონდონელი **დევიდ ბენტლის** შეძენაც სურთ. თავის მხრივ, „ტოტენჰემმა" „სიტისა" და ინგლისის ნაკრების გარემარბს, **შონ რაიტ ფილიპსს** დაადგა თვალი. გაზეთ „ობზერვერის" მტკიცებით, კლუბები მზად არიან, ბენტლისა და რაიტ ფილიპსის გაცვლაზე მოლაპარაკება დაიწყონ.

ერთი კვირის წინ გაცნობეთ, რომ **რაიან ბაბელმა** „ლივერპულიდან" წასვლის სურვილი გამოთქვა. „მირორის" ცნობით, ჰარი რედნაპს ჰოლანდიელი თავდამსხმელის ლონდონში ხილვა სურს. ბაბელი 8 მილიონი გირვანქა ღირს. განიხილება მიდლსბროელი **სტიუარტ დაუნინგის** ვარიანტიც.

და ბოლოს, „ტოტენჰემმა" გულშემატკივრებს ახალი, 60-ათასიანი სტადიონის პროექტი წარუდგინა. ის ახლანდელი არენის, „უაით ჰართ ლეინის" მეზობლად, უახლოეს მომავალში აშენდება. კონკრეტულად როდის დაიწყება სამუშაოები, ამის თქმა ძნელია. მიზეზი პროზაულია: საყოველთაო ფინანსური კრიზისი. აქვე გეტყვით, რომ „ტოტენჰემი" „უაით ჰართ ლეინზე" უკვე 109 წელიწადია, ასპარეზობს.

მწვრთნელები

# ინსი დაითხოვეს

## წლევანდელმა პრემიერლიგამ ექვსი სპეციალისტი შეიწირა, რიგში მარკ ჰიუზი დგასო...

„ბლექბერნი"უმწვრთნელოდ დარჩა. გუშინ კლუბის ხელმძღვანელობამ კარისაკენ მიუთითა **პოლ ინსს**, რომლის ხელმძღვანელობითაც „ვარდებმა" 11-მატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხვეს. უფრო მეტიც, ინსის შეგირდებმა ბოლო ექვსი შეხვედრის წაგება მოახერხეს. მისმა გუნდმა 17 ტურში მხოლოდ 13 ქულის მოგროვება მოახერხა, რის გამოც ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფება. „ბლექბერნს" პრემიერლიგიდან გავარდნა ემუქრება. ახალმა მწვრთნელმა ინსის მიერ წახდენილი საქმე უნდა გამოასწოროს.

პოლ ინსი „ბლექბერნში" სეზონის წინ დაინიშნა. მან კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ საპატიო პოსტზე მხოლოდ ექვსი თვე გაძლო. პოლი პირველი შავკანიანი ბრიტანელი იყო, რომელსაც პრემიერლიგული კლუბის გაძღოლა დააკისრეს. მას დიდი სამწვრთნელო გამოცდილება არ გააჩნდა. „ბლექბერნის" ექსპერიმენტმა ნაყოფი არ გამოიღო. ინსი მეექვსე სპეციალისტია, რომელიც მიმდინარე სეზონში პრემიერლიგის კლუბებიდან დაითხოვეს.

ბოროტ ხმებს თუ დავუჯერებთ, რიგში „მანჩესტერ სიტის" თავკაცი **მარკ ჰიუზი** დგას. მიუხედავად იმისა, რომ „სიტი" ინგლისისა და შესაძლოა, მთელი ევროპის ყველაზე მდიდარი კლუბია, ის უფერულად ასპარეზობს და ამბიციებისათვის შეუფერებელი მე-16 ადგილი უჭირავს (17 ტურში დაგროვებული 18 ქულით). როგორც აღვნიშნეთ, ჰიუზის მოსალოდნელი დათხოვნის ამბავი არაოფიციალური არხებით ვრცელდება. „სიტის" ხელმძღვანელობას მწვრთნელის შეცვლასთან დაკავშირებით კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. აქვე გეტყვით, რომ ჯერჯერობით, არც „ბლექბერნის" დირექტორებს უთქვამთ, თუ ვინ გახდება ინსის მემკვიდრე.


12 ნოემბერს, სანდერლენდისა და ბლექბერნის მატჩისას პოლ ინსსაც და როი კინსაც პრესტიჟული სამსახურები ჰქონდათ, მაგრამ დღეს ორივე მათგანი უმუშევარია

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ამბები

### კრანჩარი პორტსმუთში რჩება

ხორვატიის ნაკრების გამთამაშებელი **ნიკო კრანჩარი** არ აპირებს „პორტსმუთიდან" აბარგებას. არადა, ამაზე პრესა ინტენსიურად წერდა. მისით დაინტერესებას „არსენალს" მიაწერდნენ. თითქოს ტრანსფერი უკვე იანვრისთვის მზადდებოდა და „მეთოფეები" მზად იყვნენ, მასში 12.5 მილიონი გირვანქა გადაეხადათ. *„ამ წუთას ერთი პრობლემა მაწუხებს: როდის შევძლებ ტრავმის შემდეგ ფორმის აღდგენას და გუნდისთვის მაქსიმალური სარგებლის მოტანას. სამი თვე ბურთისთვის ფეხი არ დამიკარებია და ასეთ დროს რაიმე ტრანსფერზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩემს შესახებ ჭორაობას დიდი ხანია, მივეჩვიე. არ მეგულება კლუბი მსოფლიოში, სადაც ჩემს გადასვლაზე ლაპარაკი არ ყოფილა. სისულელეებზე კომენტარის კეთებაც მომბეზრდა. ბედნიერი ვარ, რომ ვთამაშობ პრემიერლიგაში და თანაც ისეთ კლუბში, რომელიც ევროთასებზე გასასვლელად იბრძვის",* - განაცხადა ფეხბურთელმა.

### ანელკა, თვის მოთამაშე

**ნიკოლა ანელკა** პრემიერლიგის ნოემბრის თვის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ფრანგმა თავდამსხმელმა მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში 7 გოლი შეაგდო. ანალოგიური აღიარება მწვრთნელებს შორის **გარი მეგსონმა** მოიპოვა. მისი ხელმძღვანელობით „ბოლტონმა" პრემიერლიგის ხუთი შეხვედრიდან ოთხში გაიმარჯვა - განსაკუთრებით შთამბეჭდავი გახლდათ „მიდლსბროსა" (3:1) და „სანდერლენდთან" (4:1) მოპოვებული საგარეო გამარჯვებები.

ინტერვიუ მარჩელო ლიპისთან

# მაესტრომ გვარები ჩაინიშნა

## სკუადრა აძურა ახალი სახეების მოლოდინშია

**მარჩელო ლიპის სხვადასხვა იტალიური გამოცემა მორიგეობით აკითხავს და კალჩოში მიმდინარე პროცესებზე ესაუბრება. „სკუადრა აძურას" თავკაცი საინტერესო რესპონდენტია, მას ყოველთვის მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი მოსაზრება და სათქმელს პირდაპირ ამბობს. დონ მარჩელოს ამჯერად "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტი ესტუმრა და მეტწილად "იუვენტუსი"-"მილანის" დაპირისპირებაზე ესაუბრა, თუმცა დიალოგი სხვა თემებსაც შეეხო...**

**- უყურეთ "იუვენტუსი"-"მილანს?**

- ხუმრობთ? რა თქმა უნდა, ვუყურე. ძალიან კარგი თამაში გამოვიდა და ეს მიუხედავად იმისა, რომ თამაში ძალიან ცუდ ამინდში ჩატარდა. ძლიერ წვიმას ფეხბურთელებისთვის ხელი არ შეუშლია, მათ დიდებული სპექტაკლი დადგეს. ბრავო "იუვეს", ტურინელებმა ძალიან მაღალ დონეზე იასპარეზეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. "ბებერი ქალბატონი" დღეს იტალიაში ყველაზე სწრაფ ფეხბურთს თამაშობს, მაღალი ტემპი კი წარმატების ერთ-ერთი მთავარი გარანტია.

**- "იუვენტუსში" რამდენიმე ახალგაზრდა იტალიელი ფეხბურთელი თამაშობს, აკვირდებით მათ?**

- ვაკვირდები და რამდენიმე მათგანი ძალიან მომწონს. თქვენი ნებართვით გვარებს არ დავასახელებ, რადგან არ მინდა ამან მოთამაშეებზე უარყოფითად იმოქმედოს. ძალიან მომწონს კლაუდიო რანიერის საქმისადმი მიდგომა. ის გვარებს, ავტორიტეტებს არ ცნობს და მოედანზე ის ფეხბურთელები გამოჰყავს, რომლებიც მოცემული მომენტისთვის საუკეთესო ფორმაში არიან. სწორედ ასე უნდა მუშაობდეს პროფესიონალი მწვრთნელი.

**- დე ჩელიემ დიდებულად იასპარეზა და პრესისგან მაღალი შეფასება დაიმსახურა, არც მასზე გსურთ კომენტარის გაკეთება?**

- "იუვენტუსში" არაერთი პერსპექტიული ფეხბურთელია და მათ შორის გახლავთ დე ჩელიეც. "იუვეს" მესვეურებს და მწვრთნელებს სწორი გათვლა აქვთ, მათ აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გააკეთეს და არც წაუგიათ. სწორედ ახალგაზრდული ენთუზიაზმით დაამარცხეს "მილანი" და უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვეს. ამასთან, ტურინელთა წარმატებულ თამაშში უდიდესი წვლილი მიუძღვით გამოცდილ ფეხბურთელებს, მაგალითად დელ პიეროს და ნედვედს. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა და გამოცდილი ფეხბურთელების იდეალურ შერწყმასთან გვაქვს საქმე.

**- რა სჭირს "მილანს"?**

- ამ გუნდს ერთი კონკრეტული თამაშის ჩატარება უმაღლეს დონეზე შეუძლია, მაგრამ სტაბილურობას ვერაფრით აღწევს. სიმართლე გითხრათ, მილანური დერბის შემდეგ, "მილანს" სკუდეტოს მოპოვების მთავარ ფავორიტად მივიჩნევდი, მაგრამ შემდეგ რაღაც მოიშალა და გუნდი მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა. ჩემი აზრით, "მილანს" მოძრაობაში უჭირს, მეტი დინამიკა და ურთიერთგაგებაა საჭირო. კარლო ანჩელოტის მთავარი საზრუნავი დაცვის ორგანიზება უნდა იყოს, "მილანის" უკანა ხაზი ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს. არც შეტევაშია სახარბიელო მდგომარეობა: შევჩენკო ჯერაც არაა ოპტიმალურ ფორმაში, ინძაგი ტრავმირებულია, პატო კი ჯერ მეტისმეტად ახალგაზრდაა, რომ დამგვირგვინებლის როლი ითავოს. პირადად მე, მარკო ბორიელოს იმედი მქონდა, მაგრამ ისიც დაშავდა და გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა ფეხბურთს.

**- დღევანდელი გადასახედიდან, სკუდეტოს მოპოვების მთავარ ფავორიტად რომელი გუნდი მოჩანს?**

- სეზონის დაწყებამდეც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ "ინტერს" გაჩემპიონების ყველაზე მეტი შანსი აქვს. არაერთხელ მითქვამს, თუ რატომ ვფიქრობ ასე და თავს აღარ შეგაწყენთ. უბრალოდ, კიდევ ერთხელ გამოვხატავ ჩემს აღფრთოვანებას ზლატან იბრაჰიმოვიჩის თამაშით. შვედი მუდმივად პროგრესირებს და თუ ასე გაგრძელდა, აუცილებლად გახდება მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი. ზლატანი მოედანზე წარმოუდგენელ რაღაცებს აკეთებს, მისი ქმედების განჭვრეტა ფაქტობრივად შეუძლებელია. სწორედ ასეთი უნდა იყოს თავდამსხმელი, მისი შემდგომი სვლა ყოველთვის ამოუცნობი უნდა იყოს.

**- რამდენიმე ფეხბურთელის გვარს დაგისახელებთ და თქვენი აზრი გვითხარით მათზე. ალბერტო ჯილარდინოთი დავიწყოთ...**

- ალბერტომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან კარგად იასპარეზა და მუნდიალის მოგებაში საკუთარი წვლილი შეიტანა. ძალიან მიხარია, რომ "ფიორენტინაში" მეორე სუნთქვა გაეხსნა და გოლის ალღო დაიბრუნა. ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ ჯილარდინო მუდამ გუნდ"ეე თამაშობს, არასდროს აგვიანებს პასს და ხშირად ასისტენტის როლში გვევლინება. მისი საფირმო ნიშანი რთულ სიტუაციებში ორიენტირება და ბურთის შენარჩუნებაა. გარდა ამისა, დიდებულად თამაშობს თავით და აქვს საგოლე ალღო, ბუნებრივია, ის 2010 წლის სამუნდიალო სიის ერთ-ერთი კანდიდატია.

**- ანტონიო კასანო.**

- ამას წინათ წავიკითხე კასანოს პესიმისტური განცხადება. ის ფიქრობს, რომ ეროვნულ ნაკრებში არ გამოვიძახებ და სამხრეთ აფრიკაშიც ვერ გაემგზავრება. ეს პესიმიზმი სრულიად უსაფუძვლოა. ანტონიოს ასეთი განცხადების გაკეთების არავითარი საბაბი არ აქვს. მან ბევრი უნდა იშრომოს, კიდევ უკეთესად ითამაშოს და როცა მზად იქნება „აძურაში" სათამაშოდ, აუცილებლად გამოვიძახებ. ჩემთვის გვარებს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია კონკრეტულ მომენტში ვინ იქნება უკეთეს ფორმაში.

**- ალესანდრო დელ პიერო.**

- დელ პიერო დიდებულ სეზონს ატარებს და ეროვნულ გუნდში თამაშს იმსახურებს. დამსახურებას კი ნამდვილად არავის დავუკარგავ, ხვალ რომ თამაში გვქონდეს, ალექსი აუცილებლად იქნებოდა განაცხადში. დელ პიეროს სახით, იტალიას დიდი ფეხბურთელი ჰყავს და ბუნებრივია, სამომავლოდ მასზე დიდ იმედებს ვამყარებ,

**- კარვალიო ამაური.**

- სკუადრა აძურაში მოხვედრის შანსი მასაც აქვს და თუ ორმხრივი სურვილი იქნება, ეს ასეც მოხდება. ჯერ კიდევ ფორმალობებია გასავლელი იმისთვის, რომ ამაურიმ იტალიური პასპორტი მიიღოს. შემდეგ უკვე შემეძლება ვუყურო მას, როგორც ნაკრების პოტენციურ წევრს. თუ კარვალიო ასავე განაგრძობს თამაშს და კიდევ უფრო მოუმატებს, აძურაში აუცილებლად მოხვდება. საერთოდ, დელ პიერო-ამაურის წყვილი ძალიან მომწონს, ორივენი ტექნიკურები არიან, შესანიშნავად უგებენ ერთმანეთს და მეტოქეს ხშირად უშანსოდ ტოვებენ.



მარჩელო ლიპი

**- ალბათ კიდევ არაერთ ფეხბურთელს აკვირდებით.**

- კი, ვაკვირდები და რამდენიმე მათგანის გვარი მონიშნულიც მაქვს. სერია A-ს მიმდინარე გათამაშება ძალიან მომწონს და ვცდილობ, რაც შეიძლება მეტ თამაშს მივადევნო თვალი. რამდენიმე გუნდმა სასიამოვნოდ გამაოცა და ბუნებრივია, ამ გუნდების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი მაქვს. მაგალითად: "ნაპოლი", "ჯენოა", "ატალანტა", "კატანია". მათ არ ჰყავთ მეგავარსკვლავები, მაგრამ გამართულ, ორგანიზებულ ფეხბურთს თამაშობენ და შედეგიც სახეზეა. ასეთი პირველობა კი ეროვნულ გუნდსაც ადგება, არჩევანი დიდი მაქვს და ჯანსაღი კონკურენციის პირობებსაც იოლად ვამკვიდრებ.

**- 10 თებერვალს ბრაზილიასთან გვიწევს გაჯიბრება, რას ნიშნავს ეს მატჩი იტალიისთვის?**

- იტალია ბრაზილიის წინააღმდეგ, ეს კლასიკაა. ასეთი მატჩი ყოველთვის უნიშვნელოვანესია და ასე იქნება ამჯერადაც. ბოლოს ბრაზილიას ოთხთა ტურნირზე ვეთამაშეთ და ის მატჩი ფრედ დასრულდა, 3:3. მას შემდეგ თერთმეტი წელი ისე გავიდა, პენტაკამპეონებთან პაექრობის შანსი არ მოგვცემია. მომავალ წელს კი ბრაზილიელებს როგორც მინიმუმ ორჯერ შევხვდებით. ერთხელ 10 თებერვალს, ლონდონში, მეორეჯერ კი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე. და თუ განგებამ ინება, სამხრეთამერიკელებს შესაძლოა ფინალურ მატჩშიც დავუპირისპირდეთ. ეს ძალიან კარგია, საკუთარი თავის შესაფასებლად სწორედ ასეთი შეხვედრის ჩატარებაა აუცილებელი.

# მანჩინის ფავორიტი ინტერია

დროებით უმუშევარი **რობერტო მანჩინი** დროის უდიდეს ნაწილს ოჯახთან ერთად ატარებს და იტალიურ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებს ტელეეკრანიდან აკვირდება. გუშინ, მას ჟურნალისტი შინ ესტუმრა და სერია A-ში შექმნილ მდგომარეობაზე გაესაუბრა: *"პირველობა ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს და ვცდილობ, რაც შეიძლება მეტ შეხვედრას ვუყურო. ვფიქრობ, რომ ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტი ჩემი ყოფილი გუნდი, "ინტერია". მას კონკურენციას "იუვენტუსი" და "მილანი" გაუწევენ, მაგრამ არა მგონია, რომ ამან შედეგი გამოიღოს. "ინტერი" დღეს ყველაზე სწრაფ, თანამედროვე და ორგანიზებულ ფეხბურთს თამაშობს. რიგ მატჩებში შესანიშნავად გამოიყურება "იუვეც", კარგი თამაშები "მილანსაც" ჰქონდა, მაგრამ დიდი მიზნების მისაღწევად ეს საკმარისი არ არის. სკუდეტოს მოსაპოვებლად სტაბილურობა და მუდმივად მოწოდების სიმაღლეზე ყოფნაა საჭირო"*



რობერტო მანჩინი

ფიორენტინა

# პრანდელის მუსიკოსები

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠ პრესაში საინტერესო სტატია გამოქვეყნდა "ფიორენტინას" შემტევ დუეტზე. ალბათ მიხვდით, საუბარი **ადრიან მუტუსა** და **ალბერტო ჯილარდინოზეა**. აპენინებზე თვლიან, რომ ამ წყვილს დიდი მომავალი აქვს და თუ გუნდი ორივე მათგანის შენარჩუნებას მოახერხებს, "ვიოლას" სამომავლოდ მწვერვალების დაპყრობა შეეძლება. ჟურნალისტი მუტუს ჯილარდინოზე დაეკითხა, ჯილას მუტუზე, შემდეგ კი **ჩეზარე პრანდელის** მიადგა და შეგირდების დახასიათება სთხოვა. მოვუსმინოთ სამივე მათგანს.



ალბერტო ჯილარდინო და ადრიან მუტუ

ალბერტო ჯილარდინო: *"არ დავმალავ, რომ "ფიორენტინაში" ჩემი გადმოსვლა მუტუს ფაქტორმაც განაპირობა. ადრიანი ბრწყინვალე ფორვარდია და მის მხარდამხარ თამაშის ძალიან დიდი სურვილი მქონდა. ის, რომ ამ სეზონში ბომბარდირთა დავაში ვარ ჩაბმული, სწორედ მუტუს დამსახურებაა. მისი მოედანზე ყოფნა საქმეს ძალიან მიიოლებს, მცველთა ყურადღებას სწორედ რუმინელი იპყრობს, აქცენტი მასზე კეთდება და ხშირად სრულიად უმეთვალყურეოდ მტოვებენ. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში გოლების გატანა მიადვილდება".*

ადრიან მუტუ: *"ჯილარდინომ გუნდი ერთი-ორად გააძლიერა და ამაში ორი აზრი არ არსებობს. ალბერტო შესანიშნავი პარტნიორია, გოლის ალღო აქვს და ყოველთვის იქ არის, სადაც საჭიროა. ყველაზე მეტად იმას ვაფასებ, რომ პასს არ მიგვიანებს და გუნდზე თამაშობს. ამასთან, ის შესანიშნავი ადამიანია, ჩვენ უკვე ახლო მეგობრები ვართ".*

ჩეზარე პრანდელი: *"მათი თამაშით აღფრთოვანებული ვარ, ისევე როგორც "ფიორენტინას" ნებისმიერი გულშემატკივარი. ჯილარდინომ და მუტუმ ბოლო ტურის შეხვედრაშიც გაიბრწყინეს და გუნდს სამი ქულა მოუტანეს. გოლები ერთია და თამაშის ხარისხი, მანერა მეორე. როცა ბურთს რომელიმე მათგანი იღებს, თითქოს მუსიკას ვუსმენ, რომელიც მინდა დიდხანს გაგრძელდეს. იმედია, ჯილარდინო და მუტუ "ფიორენტინაში" დიდხანს დარჩებიან და ამ მართლაც შესანიშნავ კლუბს კიდევ ბევრ სარგებელს მოუტანენ".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფრანკ რიბერისთან

# ჰიტცფელდი სხვა იყო, კლინსმანი სულ სხვაა!

## რიბერის ზღაპრების არ სჯერა, ჩემპიონები ისევ ჩვენ გავხდებითო...

**გერმანელი ექსპერტები ერთხმად აღიარებენ, რომ ბუნდესლიგის პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელი „ბაიერნის" ფრანგი ლიდერი ფრანკ რიბერია – და ეს მიუხედავად იმისა, რომ რეკორდმაისტერის ფლეიმეიქერმა 17-დან პირველი 5 ტური ტრავმის გამო გამოტოვა. როგორც იცით, ბავარიელებმა სეზონი ცუდად დაიწყეს, მაგრამ შემდეგ მოახერხეს და თავიანთი თამაში იპოვეს, პირველი წრე კი, საბოლოოდ მეორე ადგილზე დაასრულეს. ეს პირველ რიგში სწორედ რიბერის დამსახურებაა, რომელმაც მოედანზე დაბრუნების შემდეგ მიუნხენური კლუბის თამაშში ალმაფრენა შეიტანა. ხოლო თუ მხოლოდ სტატისტიკით ვიმსჯელებთ, რიბერიმ გერმანიის ჩემპიონატის პირველ ნახევარში ექვსი გოლი გაიტანა და ორი საგოლე პასი მიითვალა. ამასთან, რიბერიმ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე 5 საგოლე პასი გააკეთა, რითაც ნომინაციაში საუკეთესო გახდა და ლომის წვლილი დაიდო იმაში, რომ „ბაიერნმა" ჯგუფურ ეტაპზე მოასპარეზე 32 გუნდიდან საუკეთესო შედეგი აჩვენა. რეკორდმაისტერის ფრანგ დრიბლიორს, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია, გამოცემა „სპოქსის" ჟურნალისტი გაესაუბრა. რიბერი 2008 წელს აჯამებს, ოტმარ ჰიტცფელდსა და იურგენ კლინსმანს ერთმანეთს ადარებს და ბავარიელებს მისი თანამემამულეების შეძენას ურჩევს.**

**- პირველი წრი დასრულდა, როგორ შეაჯამებდით ამ სეზონის პირველ ნახევარს?**

- ულაპარაკოდ პოზიტიურად – რაც უნდა იყოს, სექტემბრის შემდეგ 16 თამაში აღარ წაგვიგია. რაც მთავარია, გუნდმა არა მარტო წარმატებებს მიაღწია, არამედ თამაშიც გააუმჯობესა და ამით უფრო თავდაჯერებულიც გახდა. ფაქტია, რომ „ბაიერნის" ყველაზე ძლიერი მხარე შეტევის მარცხენა ფლანგია (იცინის). ხუმრობა იქით იყოს და ფილიპ ლამი, ზე რობერტო და მე მარცხენა ფლანგზე მართლაც შეუდარებელ ტრიოს ვქმნით, ერთმანეთს ვავსებთ, ჩინებულად ვუგებთ და მუდმივად ვაზღვევთ. ფილიპი თავის პოზიციაზე მსოფლიოში საუკეთესოა. მე მასზე უკეთესი მარცხენა მცველი არ მეგულება – თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ ის ცაცია არ არის. ზე რობერტო კი მართლაც გასაოცარ ფორმაშია. მასთან ერთად ფეხბურთის თამაში უდიდესი სიამოვნებაა.

**- არის თუ არა წელს „ბაიერნი" უფრო ძლიერი, ვიდრე შარშან?**

- თუ არ ჩავთვლით ტიმ ბოროვსკის და მასიმო ოდოს, ძირითადი შემადგენლობა უცვლელი დარჩა. ჩვენ ყველანი ერთმანეთს უკვე დიდი ხანია ვიცნობთ, რაც მოედანზე ყოფნის დროს ყოველთვის იგრძნობა: იოლად ვპოულობთ ერთმანეთს, კომბინაციებსაც სულ უფრო და უფრო ვხვეწთ და ა.შ. ფაქტია, რომ რეკორდმაისტერი წელს უფრო მწიფეა, ვიდრე შარშან. ხოლო კითხვაზე, ვართ თუ არა უფრო ძლიერები, პირადად მე დადებით პასუხს გავცემ. მაგრამ ეს ჩვენ მეორე წრეში უნდა დავამტკიცოთ.

**- წელს თქვენ პირველად თამაშობთ ჩემპიონთა ლიგაში...**

- ჩემპიონთა ლიგა ფანტასტიკური ტურნირია. როდესაც უმაღლეს დონეზე თამაშობ და მეტოქეებად ევროპის საუკეთესო კლუბები გყავს, ფეხბურთელისთვის ამაზე დიდი გამოწვევა საკლუბო კარიერაში რა უნდა იყოს? „ლიონთან" და „ფიორენტინასთან" მატჩებში ძალიან ვისიამოვნე, მაგრამ წინ უფრო მნიშვნელოვანი თამაშები გველის.

**- როგორ ფიქრობთ, „ჰოფენჰაიმმა" „შემოდგომის ჩემპიონობა" დაიმსახურა?**

- ამ გუნდს აქამდე არ ვიცნობდი და არაფერი მსმენოდა. ჩვენთან თამაშის დროს ჰოფენჰაიმელებმა პოზიტიურად განმაცვიფრეს. თუკი მანამდე ვფიქრობდი, რომ ამ გუნდის წარმატებები მეტწილად იღბლიანობისა და შემთხვევითობის დამსახურება იყო, „ბაიერნისა" და „ჰოფეს" მატჩის შემდეგ რალფ რანგნიკის გუნდს გაცილებით სერიოზულად ვუყურებ და ვაფასებ. ფაქტია, რომ „ჰოფენჰაიმი" ძალიან კარგ, თვალსასეირო ფეხბურთს თამაშობს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ გუნდს დიდი მომავალი აქვს. ვერ ვიტყვი, რომ „ჰოფემ" პირველი წრის პირველ ადგილზე დასრულება არ დაიმსახურა, მაგრამ მე ვიცი, რომ 34-ე ტურის შემდეგ ლიდერი „ბაიერნი" იქნება.

**- იურგენ კლინსმანი როგორ მოგწონთ?**

- კლინსმანმა „ბაიერნში" ძალიან ბევრი რამ შეცვალა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იმ მწვრთნელებიდან, რომლებთანაც მიმუშავია, იურგენი საუკეთესო მოტივატორია. კლინსმანმა მიაღწია იმას, რომ „ბაიერნს" დღეს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია. ის ძალიან კარგად, ინტენსიურად გვავარჯიშებს და თვითონაც საუკეთესო სპორტულ ფორმაშია. იურგენი ყოველთვის პირველი მიდის ზებენერშტრასეზე და ყველაზე ბოლოს ტოვებს „ბაიერნის" ბაზას. როდესაც ტრავმირებული გახლდით, კლინსი სულ მხარში მედგა და ჩემი მოტივირება ერთხელაც არ შეუწყვეტია.

**- რა შეიცვალა ოტმარ ჰიტცფელდის წასვლის შემდეგ?**

- კლინსმანი უფრო ხშირად და უფრო მეტს გვესაუბრება. გასახდელში იურგენი უფრო კომუნიკაბელურია და ხშირად ხმასაც უწევს ხოლმე, რაც ჰიტცფელდისგან ფაქტობრივად გამორიცხულია. ოტმარი უფრო მშვიდი და აუღელვებელი სპეციალისტია. ამასთან, ჰიტცფელდი ფეხბურთელებთან ყოველთვის დისტანციას იჭერს. მოკლედ, ოტმარსა და იურგენს შორის უდიდესი განსხვავებაა.

**- რამდენადაც ვიცით, ლუკას პოდოლსკისთან ძალიან ახლო ურთიერთობა გაქვთ. როგორ შეაფასებდით მის მდგომარეობას?**

- პოლდი მძიმე ვითარებაშია და ამას ყველა ხედავს. ლუკასს ამ სიტუაციასთან შეგუება ძალიან უჭირს და მე მესმის მისი. ფაქტია, რომ პოდოლსკი ცუდადაა. ეს კი ძალიან სამწუხაროა, რადგან მიმაჩნია, რომ ის ძალიან კარგი ფეხბურთელი და შესანიშნავი ადამიანია.

**- რას აპირებს რიბერი მომავალში? „ბაიერნში" რჩებით?**

- მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე მაქვს გაფორმებული. ფაქტია, რომ აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, „ბაიერნში" თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. მაგრამ არასდროს იცი, რა იქნება მომავალში. სეზონის ბოლოს ხელმძღვანელებს გავესაუბრები და ვნახოთ, რა და როგორ იქნება. გადაწყვეტილი ჯერჯერობით არაფერია.



ბუნდესლიგის პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელი ფრანკ რიბერი

**- რამდენიმე დღის წინ მოითხოვეთ, რომ „ბაიერნმა" ახალი ფეხბურთელები იყიდოს და შეფებს თქვენი ორი თანამემამულე ურჩიეთ...**

- გასასაიდუმლოებელი არაფერია: ვისურვებდი, რომ ჯერემი ტულალანი „ბაიერნში" ვიხილო და დარწმუნებული ვარ, რომ ის ამ გუნდის სტილს იდეალურად მოერგება. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ტულალანი ბავშვობიდან „ბაიერნის" თავგადაკლული ქომაგია. გარდა ტულალანისა, „ბაიერნს" „ფიორენტინის" კარის დარაჯ სებასტიან ფრეისაც ვურჩევ. მან ჩვენთან მატჩებშიც დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა.

**- ზოგადად 2008 წელს როგორ შეაფასებთ?**

- სანაკრებო თვალსაზრისით პოზიტიურად ნამდვილად ვერ შევაფასებ, რადგან დღესაც თვალწინ მიდგას ის მომენტი, როდესაც საფრანგეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა დაასრულა. ჯგუფური ეტაპიდან გავარდნა ჩვენი გუნდისთვის ნამდვილი კატასტროფა იყო. ამ ფაქტმა ყველას გული გვატკინა. თანაც, ამას ჩემი მძიმე ტრავმაც დაემატა. მუხლი სასტიკად მტკიოდა, ღამით დიდხანს ვერ ვიძინებდი...

**- და რაც შეეხება საკლუბო თემას?**

- საკლუბო დონეზე პირველი, რაც მახსენდება, არის ის, რომ „ბაიერნი" უეფას თასის ნახევარფინალში „ზენიტთან" პირწმინდად შერცხვა. ეს ჩემთვის ყველაზე სამარცხვინო წაგება იყო. სამაგიეროდ, პოზიტიური გახლდათ ის, რომ ბუნდესლიგის პირველ ვე სეზონში გერმანიის ჩემპიონი გავხდი და გერმანიის თასი მოვიგე. ბერლინში გამართული თასის ფინალი არასდროს დამავიწყდება, რადგან გერმანიის დედაქალაქში შესანიშნავი ატმოსფერო იყო. მაშინ გავიგე, როგორი ერთგული და გიჟი ფანები ჰყავს „ბორუსიას". თანაც, ეს ჩემთვის გერმანიაში მოგებული პირველი ტიტული გამოდგა. გერმანიის ჩემპიონობა კი სხვანაირად ჩამრჩება მეხსიერებაში. მართალია, უბედნიერესი ვიყავი, როდესაც „ვერცხლის სინი" გაკინალდეთ (31-ე ტურში, „ვოლფსბურგთან" 0:0-ის შემდეგ), მაგრამ იმ თამაშში ჰიტცფელდმა ჩემი დასვენება გადაწყვიტა და როდესაც ბიჭები გერმანიის ჩემპიონობას ზეიმობდნენ, მე სახლში ვიყავი. მომავალში ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბაიერნი მარინსაც ეკურკურება

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ „ბაიერნი" მიონხენგლადბახის „ბორუსიის" ნახევარმცველით, **ალექსანდერ ბაუმიოჰანით** დაინტერესდა. როგორც ჩანს, „გლადბახის" ხელმძღვანელებს იანვარში დიდი ვნებათაღელვა ელით, რადგან გარდა ბაუმიოჰანისა, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, რეკორდმაისტერმა კიდევ ერთი ბორუსიელი ამოიღო მიზანში. კერძოდ, 19 წლის ფლეიმეიქერი **მარკო მარინი**, რომელიც გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა. ისე, „ბორუსიის" შეფებს სანერვიულო ისედაც არ აკლიათ, რადგან **ჰანს მაიერის** გუნდმა პირველი წრე ბოლო ადგილზე დაასრულა და თანაც, გუშინ პოსტი დატოვა მაიერის ასისტენტმა **კრისტიან ციგემ**.

მარინს „გლადბახთან" ხელშეკრულების ვადა 2010 წელს ეწურება. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელს, რომელიც 1996-დან 2005 წლამდე ფრანკფურტის „აინტრახტში" ირიცხებოდა და ამ გუნდის აღზრდილია, გერმანიის ეროვნულ ნაკრებში უკვე 4 მატჩი აქვს ჩატარებული (1 გოლი). ბუნდესლიგაში მის აქტივში 17 მატჩი და 2 გოლია.



ბაუმიოჰანის შემდეგ (მარცხნივ), ბაიერნმა მარკო მარინსაც დაადგა თვალი

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ინტერვიუ

ხუანდე რამოსი

# სხვაგვარად რომ გვეთამაშა, კამპ ნოუდან მრავალფეროვანი გოლების კოლექციით გამოგვისტუმრებდნენ

განგებამ ისე ინება, რომ ხუანდე რამოსმა მადრიდის „რეალის" მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი პრიმერადივიზიონური ორთაბრძოლა „კამპ ნოუზე" „ბარსელონის" წინააღმდეგ გამართა. ესპანელი სპეციალისტისთვის დებიუტი წარუმატებელი აღმოჩნდა. კატალონიაში განცდილი მარცხის გამო სამეფო კლუბს „ბარსამ" 12 ქულით გაასწრო. ერთი შეხედვით, ეს ის სხვაობაა, რომლის ამოქაჩვაც შეუძლებელია, მაგრამ სენიორ ხუანდე რამოსი ასე არ ფიქრობს და დარწმუნებულია, რომ პეპ გვარდიოლას ბიჭებს ჩავარდნის ხანა აუცილებლად დაუდგებათ. ჩავარდნაში, რა თქმა უნდა, ქულების განიავება იგულისხმება. რამოსის თქმით, „რეალი" სწორედ ამ დროს უნდა დაელოდოს და ჰანდიკაპის ამოსაქაჩად ყველაფერი გააკეთოს.

**- ელ კლასიკოს წაგების შემდეგ დილით ლოგინიდან ადგომა გაგიჭირდათ?**

- არა. ჩვეულებრივ დროს ავდექი და პური იმ მაღაზიაში შევიძინე, რომელშიც თითქმის ყოველდღე შევდივარ ხოლმე. შემდეგ ბაზაზე წავედი და „კასტილიის" (რეალის სათადარიგო გუნდი) ვარჯიშს დავესწარი. საღამოს კი „სევილიისა" და „ვილიარეალის" დაპირისპირებას ვუყურე. „ვილიარეალი" ჩვენი მომდევნო მეტოქეა. მანუელ პელეგრინის გუნდს 2009 წლის 4 იანვარს ვეთამაშებით.

**- ლონდონის შემდეგ მადრიდულ ცხოვრებას როგორ შეეგუეთ?**

- მადრიდს შესაგუებელი რა სჭირს? ის ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ქალაქია. არ დამვიწყებია, რომ შვიდი წლის წინათ, როცა „რაიო ვალეკანოს" ვწვრთნიდი მადრიდში სახლი შევიძინე. ამ ქალაქიდან მხოლოდ მაშინ მივდივარ, როცა ესა თუ ის კლუბი მიწვევს. ზოგადად მადრიდში ყველაზე კომფორტულად და ბედნიერად ვცხოვრობ. მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობით მადრიდელი არ ვარ.

**- შვიდი წუთი დაგაკლდათ იმისთვის, რომ ზეციდან მიწაზე არ დანარცხებულიყავით. და კიდევ ერთი, ელ კლასიკომ საზოგადოების მოლოდინი ვერ გაამართლა. მთელი კვირის განმავლობაში ჟურნალისტების სულ სხვა სათამაშო სცენარზე წერდნენ...**

-კმაყოფილი ვარ, რომ ჩემმა გუნდმა ურთულესი მატჩი ძალიან ღირსეულად ჩაატარა. ტრავმებისა და დისკვალიფიკაციების გამო წამყვანი მოთამაშეები გვაკლდნენ. გასათვალისწინებელია, რომ „ბარსა" გავეშებული გამოვიდა მოედანზე. ალბათ, წინა ელ კლასიკოს გამო შურისძიება და მრავალი გოლის გატანა სურდათ, მაგრამ სათქმელი თქვენ თვითონ თქვით, საფინალო სასტვენამდე შვიდი წუთით ადრე ანგარიში 0:0 იყო. 83-ე წუთამდე „კამპ ნოუზე" სამარისებული სიჩუმე სუფევდა.

**- გულშემატკივართა ერთი ნაწილი თქვენი არჩევანით ძალიან უკმაყოფილოა. მათი თქმით, „რეალს" ასეთი დაცვითი სტრატეგიით არასოდეს უხელმძღვანელია. ისიც ითქვა, სამეფო კლუბის ფეხბურთელებს ამბიცია და პატივმოყვარეობა არ ეტყობოდათო...**

- ამ მოსაზრებას ვერაფრით დავეთანხმები. სულაც არ ვფიქრობ, რომ ჩვენ დაცვაში ჩავიკეტეთ და გამარჯვებაზე არ გვიფიქრია. აბა გაიხსენეთ რომელმა გუნდმა შექმნა ყველაზე რეალური საგოლე მომენტები? დრენტესა და პალანკას რომ გამართლებოდათ, შინ სამი ქულით დავბრუნდებოდით. დარწმუნებული ვარ, რომ მოგვეგო, ჩვენი ოპონენტები სულ სხვანაირად ილაპარაკებდნენ და ტაქტიკას არ დაგვიწუნებდნენ. აი, ასეთია ფეხბურთი. ბურთი რამდენიმე სანტიმეტრით სხვა მიმართულებით რომ წასულიყო და კარში შესულიყო, ჩვენი სტრატეგია არავის გაახსენდებოდა.

**- გასაგებია, მაგრამ თქვენ ერთი საინტერესო გარემოების გამო გსაყვედურობენ. მიმომხილველების ნაწილი აცხადებს, რომ „რეალმა" „კამპ ნოუზე" პატარა გუნდებისთვის დამახასიათებელი შემართებითა და ტაქტიკით იასპარეზა.**

- იცით რაშია საქმე? ნებისმიერი მწვრთნელი შემადგენლობის მიხედვით აგებს ტაქტიკას. დასამალი არ არის, რომ უამრავი ტრავმის გამო სამეფო კლუბის ორგანიზებულობასა და გამართულ ფუნქციონირებას დიდი დარტყმა მიადგა. მე იძულებული ვიყავი ობიექტური რეალობა გამეთვალისწინებინა და სტრატეგია ამის მიხედვით შემედგინა. სხვათა შორის, უფრო მეტი მიმომხილველი ჩემს მიერ შესრულებულ სამუშაოს დადებითად ასრულებს. ამაზე რატომ არ ლაპარაკობთ? მათ შეამჩნიეს, რომ ძალიან მცირე დროში „რეალის" სათამაშო რგოლები უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს. ცუდს რას ხედავთ, თუ მწვრთნელი დაქსაქსული დაცვის ორგანიზებას განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს და ენერგიის დიდ ნაწილს დაახარჯავს? სხვაგვარად რომ გვეთამაშა, „კამპ ნოუდან" მრავალფეროვანი გოლების შთამბეჭდავი კოლექციით გამოგვისტუმრებდნენ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენი ამოცანა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდების, მესის, ეტოოსა და ანრის გაუვნებელყოფა იყო. ბიჭები საკმაოდ თავდაჯერებულად და წარმატებულად თამაშობდნენ. ყოველ შემთხვევაში, კასილიასს პენალტის ეპიზოდამდე საქმე ფაქტობრივად არ მისცემია. „ბარსელონა" ალყაშემორტყმული და ბლოკირებული აღმოჩნდა. ისინი სულ სხვა სცენარს ელოდნენ და ძალიან გაუჭირდათ. ჩავი თამაშიდან ამოვარდა. ეტოომ კი საგოლე მომენტები ბოლო 20 წუთში შექმნა. ხომ ნახეთ გოლი როგორ აღნიშნეს? თქვენი აზრით, ეს რაზე მეტყველებს? რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, რომ მასპინძლებს გამარჯვება ძალიან გაუჭირდათ.

**- 12-ქულიანი ჰანდიკაპის ამოქაჩვა შეუძლებელია?**

- როგორც თქვენ გიყურებთ, ისე ვიცი, რომ „ბარსელონას" ჩავარდნა დაეწყება. გარწმუნებთ, ეს დრო ნამდვილად დადგება და ჩვენ ამით აუცილებლად ვისარგებლებთ. სხვაგვარად შეუძლებელია. ჯერ გუნდი არ მინახავს, მთელი სეზონის ერთ დონეზე ჩაეტარებინოს, ეს გამორიცხულია, ამიტომ თქვენს კითხვას ასე ვუპასუხებ, არა, 12-ქულიანი ჩამორჩენის ამოქაჩვა შეუძლებელი არ არის. სამეფო კლუბმა დარჩენილი შეხვედრები მაქსიმალურად მაღალ დონეზე უნდა ჩაატაროს, ქულები დააგროვოს და კონკურენტების ჩავარდნას დაელოდოს. სამწუხაროდ, „რეალს" ჩავარდნა ძალიან მალე დაეწყო.

**- რა უცნაურია ადამიანის ბუნება. სამეფო კლუბს ჩავარდნა რომ არ დაწყებოდა, მე ახლა თქვენთან არ ვისაუბრებდი. ერთ ქერათმიან კაცთან მომიწევდა ლაპარაკი.**

- (იცინის) ეს სულ სხვა თემაა.

**- გეთანხმებით, ამ თემას ვერ გავექცევით. თქვენი აზრით, „რეალი" სერიოზულ კრიზისში რატომ აღმოჩნდა? რაოდენ დაუჯერებელიც უნდა იყოს, მეექვსე ადგილზე ხართ. თუ ასე გაგრძელდება, ინტერტოტოს საგზურისთვის მოგიწევთ ბრძოლა...**

- 10 დღეც არ გასულა მას შემდეგ, რაც მთავარი მწვრთნელის პოსტზე დავინიშნე, მაგრამ წარუმატებლობის მიზეზის დასახელება მაინც არ გამიჭირდება. ეს რა თქმა უნდა, ტრავმების შედეგია. „ბარსელონასთან" პეპე, ჰაინცე, დიარა, რობენი და ვან ნისტელროოი რომ გვყოლოდნენ, ბუნებრივია, სულ სხვა თამაშს ვიხილავდით. საჩემპიონო შემადგენლობის 50 პროცენტზე მეტი ახლა სხვადასხვა სიმძიმის ტრავმებს მკურნალობს. ამ პირობებში უნაკლო თამაშზე საუბარი გულუბრყვილობა იქნება. „შახტართან" მატჩში „ბარსას"ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა და 2:3 წააგეს.

**- ნუ აჭარბებთ. იმ შეხვედრაში გვარდიოლას ძირითადი შემადგენლობის არც ერთი ფეხბურთელი არ დაუყენებია. ყველა სათადარიგოები იყვნენ. ხაზს ვუსვამ თერთმეტივე მოთამაშე.**

- შესაძლოა, მაგრამ ამით შინაარსი არ იცვლება. ძალიან ძნელია, კარგ შედეგს მიაღწიო, როცა წამყვანი მოთამაშეების დიდი ჯგუფი გაკლია. გვარდიოლას „შახტართან" ძირითადი შემადგენლობა რომ დაეყენებინა, კატალონიელები უკრაინელებს მიწასთან გაასწორებდნენ.

**- მეჩვენება, თუ მართლა ოპტიმისტურად ხართ განწყობილი?**



ხუანდე რამოსს ჩემპიონობის იმედი არ დაუკარგავს

- არა, არ გეჩვენებათ. სანამ მე „რეალის" მწვრთნელი ვარ, ფეხბურთელებს ყურების ჩამოყრის უფლებას და საშუალებას არ მივცემ. ძალიან კარგია, რომ ელ კლასიკოში ჩვენი კონკურენტუნარიანობა გამოჩნდა. იანვრიდან სიტუაცია საგრძნობლად გამოსწორდება. რამდენიმე ტრამირებული მოთამაშე დაგვიბრუნდება. გარდა ამისა, ახალწვეულებითაც გავძლიერდებით.

**- ტრანსფერებზე მიატოვიჩს რამდენჯერმე ელაპარაკეთ. თქვენი რჩეულების ვინაობას ხომ არ გაგვიმხელთ?**

- ახლა ყველაზე მეტად გარემარბი და ნახევარმცველი გვჭირდება. ხელმძღვანელობა სატრანსფერო საკითხების მოსაგვარებლად დაულალავად მუშაობს. დარწმუნებული ვარ, პრობლემები არ შეგვექმნება და სასურველ ფეხბურთელებს გადმოვიბირებთ.

**- შუსტერმა თანამდებობიდან გადაყენებამდე პარეხოს დაბრუნება მოითხოვა. მიატოვიჩმა „ქუინს პარკ რეინჯერსთან" მოლაპარაკებები დაიწყო. ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი თქვენც გჭირდებათ?**

- მთავარი ის არის, რომ პარეხო „რეალის" საკუთრებაა და ხელმძღვანელობას სრული უფლება აქვს მისი დაბრუნება მოითხოვოს.

**- პარეხო ვან დერ ვაარტის ამპლუის ფეხბურთელია. მისი დაბრუნების შემთხვევაში პრობლემები ხომ არ შეგექმნებათ?**

- ჩემი აზრით, პარეხომ უფრო მრავალფეროვნად უნდა ითამაშოს. მხოლოდ მოწინააღმდეგეების შეტევების ჩაშლა და სტანდარტულები კარგად შესრულება საკმარისი არ არის.

**- „ბარსელონასთან" ტრავმირებული სნეიდერის ძირითადში დაყენებით შეცდომა დაუშვით?**

- ელ კლასიკო ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და სპეკულაციების დრო არ გვქონდა. ვესლის პირადად ვესაუბრე და გადავწყვიტეთ, რისკზე წავსულიყავით. ჰოლანდიელს ტრავმა გაურთულდა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან დასანანია.

**- ბევრისთვის მოულოდნელად, ვან დერ ვაარტის ნაცვლად პალანკა გამოუშვით, თუმცა კანტერელს მატჩის გმირობამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა...**

- „რეალში" ელ კლასიკომდე ხუთი დღით ადრე მივედი და, რა თქმა უნდა, ყველა კანტერელის შესაძლებლობას კარგად არ ვიცნობდი. რომ მცოდნოდა, პალანკა ასეთი შემართული და კარგი ფეხბურთელი იყო, სნეიდერის ჯანმრთელობით არ გავრისკავდი და ძირითადში მას დავაყენებდი.

**- სამეფო კლუბში ახლახან დაინიშნეთ, მაგრამ „კასტილიის" ვარჯიშის ნახვა უკვე რამდენჯერმე მოასწარით. არადა, შუსტერს წელიწადნახევრის განმავლობაში მსგავსი რამ ერთხელაც არ გაუკეთებია. რა ხდება, „რეალის" ხსნას კანტერაში ეძებთ?**

- მე ყოველთვის იმას ვამბობდი, რომ ძირითად გუნდს სათადარიგო გუნდი უნდა უმაგრებდეს ზურგს. პალანკამ დაამტკიცა, რომ კანტერა ჯეროვან ყურადღებას იმსახურებს. უკვე რამდენიმე დღეა ის ძირითადი შემადგენლობის ბიჭებთან ვარჯიშობს. მახსოვს, ერთხელ ხოსე ანტონიო კამაჩომ ძალიან ლამაზად თქვა, დროა „რეალის" კანტერამ კარზე დააკაკუნოსო. აი, ეს დროც მოვიდა (იცინის). ახალგაზრდებს შესაძლებლობის გამომჟღავნების შანსს ძალიან ხშირად მივცემ.

**- ტრავმების გარდა, ფეხბურთელების მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობაც ხომ არ გიშლით ხელს? თუ ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემების არსებობას საერთოდ გამორიცხავთ?**

- როგორ შეიძლება, ამ მდგომარეობაში მყოფი „რეალის" ფეხბურთელებს ფსიქოლოგიური პრობლემები არ ჰქონდეთ? მე ორი დღის მოსული ვარ და უკვე დავიძაბე, რადგან იმ მსოფლიო გრანდისთვის, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ პრიმერა დივიზიონში მეექვსე ადგილზე ყოფნა არაბუნებრივი და სამარცხვინოა. ამის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, გარკვეულ დისკომფორტს განვიცდით. თქვენი ნებაა ამას რას დაარქვამთ, მაგრამ ჩემი აზრით, ტრავმების შემდეგ ჩემი ფეხბურთელების ყველაზე მწვავე პრობლემა ფსიქოლოგიური მდგომარეობაა. როგორ გინდა „კამპ ნოუზე" წაგების შემდეგ განწყობა არ გაგიფუჭდეს?



მადრიდელები ლეო მესის არაერთხელ ეუხეშნენ

გამოხმაურება

# კრუიფი მესის ადანაშაულებს

## მადრიდელებს უხეშობაზე ლეო თვითონ იწვევდა

„ელ პერიოდიკოში" **იოჰან კრუიფის** ყოველკვირეული სტატია გამოქვეყნდა. ბოლო პუბლიკაცია ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა, რა თქმა უნდა, ელ კლასიკოს მიუძღვნა, თუმცა მან ყველაზე მეტი ყურადღება **ლეო მესის** წინააღმდეგ გამოჩენილ მიზანმიმართულ უხეშობას დაუთმო. პირდაპირ გეტყვით, რომ კრუიფმა სრულიად მოულოდნელი განცხადება გააკეთა: *„ყველამ ვნახეთ, რომ ლეოს უმოწყალოდ ურტყამდნენ ფეხებში, მაგრამ ეს მე სულაც არ მიკვირს. ფეხბურთი არ არის თავაზიანი სპორტი, ან ცეკვა. გასაკვირი ის იქნება, მოჭადრაკემ რომ დაუწყოს მოწინააღმდეგეს კოჭებში ჩარტყმა. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ლეო მადრიდელებს მიზნობრივად იწვევდა, რომ მათ ეუხეშათ და წესები დაერღვიათ. მესის შორიდან მიჰქონდა ბურთი და სამეფო კლუბის ფეხბურთელები ცდილობდნენ რაც შეიძლებოდა, მალე შეეჩერებინათ ის. ბუნებრივია, საჯარიმო მოედნის მისადგომებთან რომ წაქციათ, სახიფათო ჯარიმა დაინიშნებოდა. საჯარიმოში უხეშობას კი სულაც პენალტი მოყვებოდა. ამიტომ, მადრიდელებმა გართულებების თავიდან აცილების მიზნით, გადაწყვიტეს, მესი საჯარიმოდან მოშორებით ჩაეჩეხათ. ამ ვანდალიზმის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება თამაშში თანაგუნდელების ჩართვა იქნებოდა. მარტივად რომ ვთქვა, მესის ბურთი უნდა გაეთამაშებინა და უშუალოდ საჯარომოსთან, ან მის შიგნით გაემწვავებინა სიტუაცია. დარწმუნებული ვარ, სახიფათო ზონაში დედაქალაქელები უხეშობას მოერიდებოდნენ, რაც ლეოს ფეხებისთვის მეტისმეტად სასარგებლო იქნებოდა."*

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ოჯახი



2007 წელი. ვლადიმერ იაშვილი (დგას მარცხნიდან პირველი ) აფრიკელ მოჭიდავეებთან ერთად თბილისში

# სამნი ძმანი ოჯოლელნი

***გასული საუკუნის სამოციან წლებში „ლელომ" წერილთან ერთად ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტების - ძმებ იაშვილების ფოტოც დაბეჭა. ჰამლეტი და ვლადიმერი მოჭიდავეები არიან, ალექსანდრე კი კალათბურთელიაო, გვაუწყებდა ავტორი.***

***მას შემდეგ ოთხ ათეულ წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ძმებმა სახელოვანი გზა განვლეს და საზოგადოებაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს. ყველაფერი კი ერთი უმნიშვნელო ეპიზოდით დაიწყო: ტყიბულის რაიონის სოფელ ოჯოლას ცნობილი ძალოსნები - კახათელიძე, კუპატაშვილი და ფრანგიშვილი ეწვივნენ. ორ-ორფუთიან გირებს ჰაერში ბურთივით ათამაშებდნენ, ბატიბუტივით დაყრილი კუნთებით თავს აწონებდნენ მაყურებლებს. გაოცებული შესცქეროდნენ გოლიათებს სოფლის ბიჭები.***

- ჩვენი თაობის ყმაწვილები პატრიოტული ქართული ფილმების გმირებითა და ლეგენდარული მოჭიდავეებით - გივი კარტოზიათი და ვახტანგ ბალავაძით ვიყავით აღფრთოვანებული, - მითხრა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მუშაკმა, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) ექსპერტ-მწვრთნელმა ვლადიმერ იაშვილმა. - ძალიან გვინდოდა, ჩვენც ფალავნები გამოვსულიყავით, მაგრამ საამისოდ ბიძგი გვჭირდებოდა. კატალიზატორის როლი სწორედ კახათელიძემ ითამაშა, რომელმაც გვითხრა, ჭაბუკობისას მოჭიდავე ვიყავიო.

ჩვენი სოფლიდან ქუთაისი 25 კილომეტრზეა. მაშინ ავტობუსი რეგულარულად დადიოდა დღეში სამჯერ. მშობლების ნებართვით, ჯერ უფროსი ძმა წავიდა ქალაქში სავარჯიშოდ, მერე მეც წავყევი. ფანდებს ცნობილი მწვრთნელი ვარლამ გიგიაძე გვასწავლიდა. შუათანა ძმამ - ალექსანდრემ კალათბურთი აირჩია და ვიტალი სვანიძის ხელმძღვანელობით მეცადინეობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ სამივემ ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩავაბარეთ...

**ალექსანდრე იაშვილი** ოთხი წლის განმავლობაში მშობლიური უმაღლესი სასწავლებლის კალათბურთელთა გუნდის კაპიტანი იყო და **შალვა დიასამიძის** თავკაცობით საქართველოს პირველობებში მონაწილეობდა. მერე გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაანაწილეს სამუშაოდ. დღემდე ამ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორია. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი ისევ ახალგაზრდების გაჯანსაღებას ემსახურება.

უფროსი ძმა ჰამლეტი თავისუფალ ჭიდაობაში სპორტის ოსტატი გახდა, საქართველოს ჩემპიონატი და სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" საკავშირო პირველობა მოიგო. ისიც ჯერ გორის პედინსტიტუტში მუშაობდა, მერე სამხედრო სამსახური არჩია და რაიონის კომისარი გახდა. ღირსების ორდენოსანი ვეტერანი ამჟამად პენსიაზეა.

ძმებს შორის ყველაზე ტიტულიანია **ვლადიმერი.** მან თითოჯერ საქართველოს, ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონობა მოიპოვა, რამდენჯერმე პრიზიორი იყო. აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ ჯერ მწვრთნელობდა, 8 წლის განმავლობაში კი საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ. 2006 წელს ცნობილი სპეციალისტების - **ომზარ შოშიტაშვილის, დათო დავითაიას** და **მერაბ ლუდუშაურის** რეკომენდაციით ფილას ექსპერტ-მწვრთნელი გახდა.

- ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ორი წლის წინათ სენეგალში დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ოლიმპიური მზადების ცენტრი ჩამოაყალიბა, სადაც სამუშაოდ მიმიწვიეს. - მითხრა ბატონმა ვლადიმერმა - მასპინძლებთან ერთად კონგოს, გინე-ბისაოს, გინე-კონაკრისა და ცენტრალური აფრიკის წარმომადგენლებს ვამეცადინებდი. წლეულს ორმა მათგანმა აფრიკის ჩემპიონობა მოიპოვა, ამდენივემ ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, სამ მოჭიდავეს კი „ბრინჯაო" ერგო. საგულისხმოა ისიც, რომ სენეგალელმა ადამ'ომ (55 კგ) და გინებისაოელმა ავგუსტო მაედანამ (74 კგ) პეკინის ოლიმპიადის საგზურები დაიმსახურეს. სხვათა შორის, მაედანამ ჩინეთის დედაქალაქში პირველივე შეხვედრა გელა საღირაშვილთან წააგო. პეკინის მესამე საგზური უნდა აელო აბლაი ჩამს, რომელიც შარშან ეროვნულ ტრადიციულ ჭიდაობაში სენეგალის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა და ჩემს შეგირდებს შორის ყველაზე ძლიერი იყო. წლეულს ტუნისში გამართულ აფრიკის ჩემპიონატზე იგი ფინალში გავიდა და 84 კილოში მასპინძელთა წარმომადგენელს უნდა შეხვედროდა. ხალიჩაზე გასვლამდე ტუნისელთა მწვრთნელს ჩრდილოკავკასიელ მაგომედ ფიკტულაევს ჩამისთვის უთქვამს, ჩემპიონი თუ გახდები, მწვრთნელი შვეიცარიისა და პოლონეთის ტურნირებზე არ წაგიყვანს. ამ სახელმწიფოების მონახულება თუ გინდა, ფინალური ორთაბრძოლა დათმე. შენ ისეთი ძლიერი ხარ, იმ ქვეყნების ტურნირებზე პეკინის ლიცენზიას მაინც მოიპოვებ და მოგზაურობაც შეგრჩებაო. აბლაის ჩემთვის არაფერი უთქვამს. გამიკვირდა, უბრძოლველად რომ წააგო შეხვედრა. მხოლოდ ხალიჩიდან გამოსვლის შემდეგ გამანდო საიდუმლო. კინალამ მოვკალი. პოლონეთში კი წავიყვანე სალიცენზიო ტურნირზე, მაგრამ იქ საპრიზო ადგილს ვინ გააკარებდა, შვეიცარიელებმა კი ვიზა არ მისცეს. ასე აღმოჩნდა ოლიმპიადის მიღმა. ბევრი ინანა, მაგრამ რას უშველიდა.

**- სენეგალელთა მასპინძლობაზე რას იტყვით?**

- კეთილი ხალხია, უბოროტო, სტუმართმოყვარე. უმეტესობა ღარიბად ცხოვრობს, მაგრამ ლუკმას არავინ დაგამადლის. დიდ პატივს სცემენ ეროვნულ ტრადიციებს, უფროს-უმცროსობა არ ეშლებათ. უბანში ყველა ერთმანეთის და, ძმა და შვილია. შარშან თავიანთი ტრადიციული ჭიდაობის საყურებლად ტიესის სტადიონზე 40 ათასამდე მაყურებელი მოვიდა. ამბობენ, დაკარში მსგავს შეჯიბრებებზე ხშირად 100 ათასამდე კაცი იყრისო თავს.

**- ვიცი, რომ რბენასა და ფეხბურთში მაგრები არიან, ჭიდაობაში როგორ აქვთ საქმე?**

- ჰო, რბენით, მართლაც, ყველა დარბის, ჭიდაობისა კი რა მოგახსენოთ. მონდომება არ აკლიათ, მაგრამ ფანდების სწავლას გვიან იწყებენ და სათანადოდ ვერ ითვისებენ, სხარტი აზროვნებაც უჭირთ. განსაკუთრებით ბავშვთა სპორტის უქონლობა უშლით ხელს. თუმცა, სახელმწიფომ ბოლო დროს ამ პრობლემის მოსაგვარებლადაც მოიცალა და სასიკეთო ნაბიჯებიც გადადგა.

**- უცხო გარემოში მუშაობა არ გაგიჭირდათ?**

- სამშობლოდან შორს ყოფნა ყოველთვის ძნელია, მაგრამ მალე შევეჩვიე იქაურობას. ადაპტაციაში მასპინძლებიც დამეხმარნენ. ხომ გითხარით, კეთილი ხალხია-მეთქი. ჩემმა შეგირდებმა საყველპურო ქართულიც ისწავლეს.

მოჭიდავეების გარდა, აფრიკის რამდენიმე ქვეყნის მწვრთნელებსაც დავეხმარე კვალიფიკაციის ამაღლებაში. ვსარგებლობდი ცნობილი სპეციალისტების წიგნებით, მათ შორის - ივანე ალიხანოვისა. მუდმივი კონტაქტი მქონდა ცნობილ ქართველ მწვრთნელებთან. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და პროფესიული რჩევებისთვის მადლობა გადავუხადო დათო დავითაიას, გურამ რატიშვილს, დავით კვინიკაძეს და სხვებს. ახალი წლიდან ფილამ ახალზელანდიელ მწვრთნელებთან და მოჭიდავეებთან სამუშაოდ მიმიწვია. ვიცი, რომ არ გამიჭირდება, რადგან ისევ მეგობრებისა და კეთილი ადამიანების მეიმედება.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ნახევარი ასეულით წინ

წლის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში, „ორანჯ ბოულზე" წარმატებულმა ასპარეზობამ ქართველი ტალანტი, 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** გვარიანად წასწია წინ მსოფლიოს ახალგაზრდულ რეიტინგში. ნიკამ კი ბისკეინის (აშშ) კორტებზე მომქანცველი საკვალიფიკაციო ბადე დასძლია, შემდეგ ძირითად ტურნირშიც სამი გამარჯვება მოიპოვა და მეოთხედფინალში გააღწია. გასულ კვირაში ნიკა 18-წლამდელებში მსოფლიოს 165-ე ჩოგანი იყო, „ორანჯ ბოულზე" ასაპარეზობამ მას 80 სარეიტინგო ქულა შემატა. დღეისათვის ბასილაშვილი 286 ქულით ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს 116-ე ჩოგანია. გოგონებში ქართველთა შორის საუკეთესო რეიტინგი 17 წლის **ეკა გორგოძეს** აქვს, იგი 193 ქულით 207-ე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი

ლეგიონერები

# ქართველების სამი ლელო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე დივიზიონში, მე-13 ტურის შემდეგ ლიდერი ქართველ მორაგბეთა ორი გუნდია. ოღონდ ამჯერად „მეტრო რასინგმა" და „ორიაკმა" ადგილები გაცვალეს. პირველ საფეხურზე ისევ პარიზული „მეტრო რასინგი" დაბრუნდა. საპლეიოფო ხუთეულში გაერია კიდევ ერთი „ქართული" კლუბი, **ირაკლი მაჩხანელისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენი".

„აჟენი" მეცამეტე ტურში გათამაშების ლიდერს, **მალხაზ ურჯუკაშვილის, გიორგი ჟღენტისა** და **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკს" ესტუმრა და ყველასათვის მოულოდნელად 20:16 დაამარცხა. მაჩხანელი, ფეიქრიშვილი, ურჯუკაშვილი და დათუნაშვილი განაცხადში არ იყვნენ. ჟღენტი თამაშში 51-ე წუთიდან ჩაერთო.

საკუთარ მოედანზე „ბორდოს" სძლია **გიორგი ჩხაიძის** „მეტრო რასინგმა" - 22:6. ჩხაიძე განაცხადში არ იყო. ამ გამარჯვების შემდეგ პარიზელებმა ისევ დაიბრუნეს ერთპიროვნული ლიდერობა.

სტუმრად წააგო **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბთან" **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიემ" - 10:23. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 62-ე წუთზე შეცვალეს. მალაღურაძე განაცხადში არ იყო. მისი ლანგედოკური კლუბი 16 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა.

„ბეზიეს" ხუთი ქულით უსწრებს **ავთანდილ კოპალიანის** „კოლომიე", რომელმაც მე-13 ტურში შინ დაამარცხა **დავით აშვეთიას** „ოიონაქსი" - 24:16. აშვეთია თამაშში 55-ე წუთიდან ჩაერთო. კოპალიანი კი, მოედანზე 67-ე წუთიდან გამოჩნდა.

სტუმრად დამარცხდა „პოსთან" **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონი" - 3:33. კუთარაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. სტუმრადვე მოიგო „ბურგ ან ბრესთან" **გურამ კავთიძის** „ლიონმა" - 23:18. კავთიძე განაცხადში არ იყო.

საფრანგეთი. II დივიზიონი. XIII ტური: **ალბი - ოში 20:14, კოლომიე - ოიონაქსი 24:16, ორიაკი - აჟენი 16:20, პო - ნარბონი 33:3, ტარბი - ბეზიე 23:10, მეტრო რასინგი - ბორდო 22:6, ბურგ ან ბრესი - ლიონი 18:23, გრენობლი - ლა როშელი 14:6.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. მეტრო რასინგი - 45 ქულა, 2. ორიაკი - 41, 3. ალბი - 40, 4. აჟენი - 36, 5. ლა როშელი - 35, 6. პო - 35, 7. გრენობლი - 33, 8. ოიონაქსი - 31, 9. ლიონი - 31, 10. ტარბი - 28, 11.ოში - 27, 12. ნარბონი - 27, 13. ბორდო - 26, 14. კოლომიე - 21, 15. ბეზიე - 16, 16. ბურგ ან ბრესი - 14.**

ფედერალ 1 დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან ორი გათამაშების ლიდერია. ოთხი კი, პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის.

A ჯგუფში ზედიზედ მეორე შეხვედრა გადაიდო აუტსაიდერის **ზურაბ მჭედლიშვილის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **გიორგი ნემსაძის** „დომონის" მონაწილეობით. პარიზელებს სტუმრად „ლონსთან" უნდა ეთამაშათ.

საკუთარ მოედანზე ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი „რუენი" დაამარცხა **დავით დადუნაშვილის, მერაბ კვირიკაშვილისა** და **შალვა სუთიაშვილის** „მასიმ" - 24:13. კვირიკაშვილმა, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, გუნდს 11 ქულა შესძინა. მის ანგარიშზე ერთი გარდასახვა და სამი საჯარიმოა. დადუნაშვილი თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო. სუთიაშვილი განაცხადში არ იყო.

შინ დამარცხდა ჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერ „შალონთან" **დავით ბოლლაშვილისა** და **სოსო ნიკოლაენკოს** „ლილი" - 17:27. ბოლლაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 64-ე წუთზე შეცვალეს. ნიკოლაენკოს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

A ჯგუფი. **ლილი - შალონი 17:27, მასი - რუენი 24:13, ლონსი - დომონი (გადაიდო), დიჟონი - არასი 32:0.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. შალონი - 43 ქულა, 2. მასი - 30, 3. დიჟონი - 26, 4. რუენი - 22, 5. ლილი - 18, 6. ლონსი - 16, 7. არასი - 10, 8. დომონი - 9.**

B ჯგუფში მე-10 ტურამდე **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანი" ლიდერობდა. ჩვენებურის გუნდი საკუთარ მოედანზე უშუალო კონკურენტ „ბობინისთან" დამარცხდა - 13:15 და ლიდერობა დაუთმო. აბუსერიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

შინ მოიგო „ნუართან" **სანდრო ესაკიასა** და **ოთარ ელოშვილის** „სენ ნაზერმა" - 22:8. შედეგად, ჩვენებურთა ეს გუნდი საპლეიოფო ზონას მნიშვნელოვნად დაუახლოვდა. ამ შეხვედრაში ანგარიში გატანილი ლელოთი ოთარ ელოშვილმა გახსნა მე-8 წუთზე. ელოშვილი 64-ე წუთზე შეცვალეს. ესაკიამ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

B ჯგუფი. **ორლეანი - ბობინი 13:15, ჟენევიე - მონლუსონი 16:15, ლიმოჟი - ვანი 21:9, სენ ნაზერი - ნუარი 22:8.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ბობინი - 30 ქულა, 2. ლიმოჟი - 29, 3. ვანი - 29, 4. ორლეანი - 28, 5. მონლუსონი - 25, 6. სენ ნაზერი - 24, 7. ნუარი - 16, 8. ჟენევიე - 6.**

D ჯგუფში ლიდერობა ხელთ **ილია ზედგინიძის** „ექსმა" იგდო. ექსელებმა გასვლით შეხვედრაში „არჟელეს" სძლიეს - 25:11. ზედგინიძემ რვა ნომრის პოზიციაზე თავიდან ბოლომდე ითამაშა.

D ჯგუფი. **მარსელი - ლავორი (გადაიდო), არჟელე - ექსი 11:25, გროლე - კარკასონი 22:10, კარკუირანი - ნიცა (გადაიდო).**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ექსი - 30 ქულა, 2. კარკასონი - 30, 3. გროლე - 26, 4. ლავორი - 23, 5. ნიცა - 22, 6. მარსელი - 15, 7. არჟელე - 14, 8. კარკუირანი - 8.**

E ჯგუფში კვლავ დამაჯერებლად განაგრძობს ლიდერობას **თედო ზიბზიბაძის, ირაკლი ნინიძის, იგორ ბარბაქაძისა** და **ირაკლი გუნდიშვილის** „პერიგო". პერიგოელებმა მეათე ტურში საკუთარ მოედანზე „მარმანდი" დაამარცხეს - 33:27. ზიბზიბაძემ 50-ე წუთზე ლელო გაიტანა. თედომ შეხვედრაში თავიდან ბოლომდე ითამაშა. ნინიძე თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო. ბარბაქაძე და გუნდიშვილი განაცხადში არ იყვნენ.

საკუთარ მოედანზე „ლურდთან" მინიმალური ანგარიშით - 15:16 გაიმარჯვა **შოთა მელიქიძისა** და **გრიგოლ მალალდაძის** „კაორმა". მელიქიძე თამაშში 69-ე წუთიდან ჩაერთო. მალალდაძე განაცხადში არ იყო.

E ჯგუფი. **მოლეონი - აგეტმო 34:3, ტიროსი - ოლორონი 20:13, პერიგო - მარმანდი 33:27, კაორი - ლურდი 16:15.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. პერიგო - 32 ქულა, 2. ტიროსი - 27, 3. მოლეონი - 25, 4. მარმანდი - 24, 5. კაორი - 22, 6. ოლორონი - 18, 7. ლურდი - 18, 8. აგეტმო - 11.**

F ჯგუფში ერთმანეთს ქართველ მორაგბეთა გუნდები დაუპირისპირდნენ. **დავით გასვიანის** „ლე ბუგემ" შინ მიიღო **ირაკლი ჭყონიასა** და **დიმა ბასილაიას** „მორლაა". შეხვედრა მასპინძლების გამარჯვებით - 32:8 დასრულდა. მატჩის 23-ე წუთზე გასვიანმა მეტოქეს ლელო გაუტანა. დათომ თავიდან ბოლომდე ითამაშა. ჭყონია და ბასილაია განაცხადში არ იყვნენ.

F ჯგუფი. **ტარნო - სენ ჟან და ლუზი 11:9, ლანამეზანი - ვალანსი 13:10, ლე ბუგე - მორლაა 32:8, ლანჟონი - რიბერაკი 24:6.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ლანამეზანი - 34 ქულა, 2. ლანჟონი - 29, 3. ვალანსი - 26, 4. ლე ბუგე - 26, 5. სენ ჟან და ლუზი - 23, 6. მორლაა - 17, 7. ტარნო - 16, 8. რიბერაკი - 12.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

18-წლამდელთა ჩემპიონატი

# ენერჯიმ რუსთაველთან წააგო

**ქუთაისი**

**ქუთაისი–ნაკრები 93 62:55**

11:13, 16:20, 21:6, 14:16

ქუთაისი: ლომინაშვილი (14ქ), ტუკვაძე (12ქ), თიკვაძე (10ქ, 11მ)

ნაკრები 93: მესხი (9ქ), გულმაგარაშვილი (7ქ), ფხაკაძე (7ქ), ლოლიშვილი (7ქ)

**სასოფლოს დარბაზი**

**დინამო–აკადემია 79:59**

12:18, 27:12, 11:11, 29:18

დინამო: ბაქრაძე (26ქ, 7ჩ), ალხანაიძე (19ქ, 18მ), დეკანოიძე (14ქ, 12მ)

აკადემია: ბოქოლიშვილი (24ქ), სანაია (9ქ)

**მართვე 2–მართვე 96:84**

23:22, 22:13, 15:20, 36:29

მართვე 2: ლომოური (28ქ, 12მ), გლოველი (27ქ, 9პ), ბაშარაული (17ქ)

მართვე: ტეტელაშვილი (27ქ), ძიძიშვილი (20ქ, 15მ), ოკრიბელაშვილი (14ქ), ჭოხონელიძე (13ქ)

**ენერჯი–რუსთავი 80:85**

20:17, 17:16, 20:26, 23:26

ენერჯი: ჩერქეზიშვილი (27ქ), გურაბანიძე (21ქ), ელანიძე (20ქ)

რუსთავი: დვალიშვილი (44ქ, 19მ), გურული (16ქ)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. მართვე 2 | 7 | 4 | 3 | 11 |
| 2. აკადემია | 6 | 4 | 2 | 10 |
| 3. დინამო | 6 | 4 | 2 | 10 |
| 4. მართვე | 6 | 3 | 3 | 9 |
| 5. სამედიცინო | 6 | 3 | 3 | 9 |
| 6. ენერჯი | 6 | 3 | 3 | 9 |
| 7. ქუთაისი | 6 | 3 | 3 | 9 |
| 8. რუსთავი | 5 | 3 | 2 | 8 |
| 9. ნაკრები 93 | 6 | 0 | 6 | 6 |



ჯერ ერთ არასასიამოვნო სიახლეზე მოგახსენებთ: ამ კვირას გასამართი 18-წლამდელთა და კადეტთა ჩემპიონატების მატჩები მომავალი წლისთვის გადაიდო, ოღონდ კონკრეტული თარიღები ჯერ არ დადგენილა. შეხვედრათა გადატანის მიზეზი სასოფლოს დარბაზში გათბობის სისტემის მწყობრიდან გამოსვლაა. იუნიორთა და კადეტთა ასაკობრივი ჩემპიონატის შეხვედრები სწორედ სასოფლოს არენაზე ტარდებოდა. გასულ კვირას კი 18–წლამდელთა ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. ტური ქუთაისში დაიწყო, სადაც ჩემპიონატში უკონკურსოდ მონაწილე 1993–წლამდელების ნაკრები ჩავიდა და 55:62 დამარცხდა.

დარჩენილ მატჩებს „სასოფლოს“ დარბაზმა უმასპინძლა და პირველივე შეხვედრაში საინტერესო ამბები განვითარდა. „აკადემიამ“ ჩემპიონატის საწყისი 4 შეხვედრა მოიგო, თუმცა ბოლო ორ ტურში მოუკლო, რაც შედეგზეც აისახა. გასულ შაბათს აკადემიელებმა მეორე მარცხი განიცადეს – ამჯერად **დავით თორთლაძის** განვრთნილ „დინამოსთან“.

„აკადემია“ თავიდან დაწინაურდა, მაგრამ დინამოელი **ბაქრაძისა და ალხანაიძის** ათამაშების შემდეგ “დინამო” ინიციატივას დაეუფლა და დაპირისპირებაში გარდატეხა შეიტანა. 79:59 – დავით თორთლაძის გუნდის სასარგებლოდ.

მეორე მატჩში მართველთა დერბი გაიმართა: პირველი გუნდი მეორეს დაუპირისპირდა და საინტერესო ბრძოლაც გაჩაღდა. შეხვედრა თავიდან თანაბრად დაიწყო, თუმცა დიდი შესვენების წინ **კახა შენგელიას** “მართვე 2”, **გიორგი გლოველისა და აკაკი ლომოურის** შედეგიანი თამაშის წყალობით 45:35 დაწინაურდა.

**გია ტეტელაშვილის** “მართვეს” წინ მწვრთნელის შვილი, **გიორგი ტეტელაშვილი მიუძღოდა**, რომელმაც საბოლოოდ 27 ქულა მოაგროვა.

შეხვედრის ბედი ბოლო მეოთხედში გადაწყდა, როცა ლომოურმა და გლოველმა იმდენი ქნეს, რომ კახა შენგელიას გუნდს გამარჯვების მომტანი ანგარიში დაუბევეს – 96:84.

ბოლო შეხვედრა საკმაოდ დრამატულად წარიმართა. **ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის** „ენერჯი“ თავიდან დაწინაურდა, რაც მისი სწრაფი უკანახაზელების – **ირაკლი ჩერქეზიშვილის** და **დავით გურაბანიძის** დამსახურება იყო. რუსთაველებმა კი მეტოქეს ფარქვეშიდან შეუტიეს და იხეირეს კიდეც.

თავი ისახელა რუსიაველთა და მთლიანად 18–წლამდელთა ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა **აკაკი დვალიშვილმა**, რომელმაც თამაშიდან ნასროლი 21 ბურთიდან 17 მეტოქის კალათში მოათავსა და საბოლოოდ 44 ქულა მოაგროვა. მან ასევე კარგად ითამაშა ფარქვეშ და 19 მოხსნა მიითვალა, რითაც რუსთაველებს გაფუჭებული შეტევების ხელახლა დაწყების საშუალებას აძლევდა.

სწორედ მისი გარჯის წყალობით გაათანაბრეს რუსთაველებმა ანგარიში და ბოლო მეოთხედშიც წარმატებით ითამაშეს. მე-40 წუთამდე ანგარიში აიწონა-დაიწონას პრინციპით მერყეობდა, გადამწყვეტ მომენტში კი „ენერჯის“ კალათბურთელებს ნერვებმა უმტყუნეს და მსაჯთან კამათისთვის ტექნიკური ჯარიმა დაიმსახურეს. ამით ისარგებლეს რუსთაველებმა და მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს – 85:80.

ვაჟა სიმონიშვილი

**ევროჩელენჯი**

**კიევი (უკრ)–ტრიუმფი (რუს) 66:65**

მანუჩარ მარკოიშვილი: 26 წუთი, 6 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 2 ფოლი, 1 შეცდომა

**როკი (ესპ)–სამარა (რუს) 58:80**

გიორგი ცინცაძე: 28 წუთი, 5 ქულა, 1 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა, 2 ფოლი, 2 შეცდომა

ვიქტორ სანიკიძე: 19 წუთი, 4 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 შეცდომა

**ენერგა (პოლ)–კახას. (ესპ) 53:83**

ტაირონ ელისი: 24 წუთი, 10 ქულა, 4 პასი, 2 მოხსნა



ზაზა ფაჩულია

ქართველი NBA-ში

# მძიმე მეტალი

ჩვენი გაზეთის ორშაბათის ნომერში “მაიამი”-“ატლანტას” მატჩის მიმოხილვისას **ზაზა ფაჩულიას** მიერ დაფიქსირებულ შვიდიანებზე გესაუბრეთ – 17 წუთი, 7 ქულა, 7 მოხსნა... ჰოდა, მწვრთნელმა, **მაიკ ვუდსონმა** ჩათვალა, რომ ეს რიცხვი ზაზას ძალიან უყვარს და “შარლოტ ბობქეთსთან” 7 წუთი ათამაშა. ეს ხუმრობით, რეალურად კი 7 წუთი ზაზასთვის მეტად არასაკმარისი დროა, თუმცა მან მაინც მოასწრო 4 ქულის, 2 მოხსნისა და 3 ჯარიმის მოგროვება.

მართალია, გაზეთ “ატლანტა კონსტიტუშენის” ჟურნალისტს **სეკუ სმიტს** ზაზამ უთხრა, რომ ტრავმა მოიშუშა, მაგრამ შეიძლება დროის შეზღუდვის მიზეზი სწორედ მხრის ძველი ტრავმა ყოფილიყო.

*“მძიმე მეტალი” – ასეთი ქვესათაური აქვს ორაბზაციან მასალას, რომელიც ზაზას ეხება: “შარლოტელებთან მატჩის წინა დღეს, ვარჯიშის შემდეგ ყველა ატლანტელმა დარბაზი დატოვა, გარდა ზაზა ფაჩულიასი. მან ხელთათმანები მოირგო და მწვრთნელ* ***ჩეტი ჰილთან*** *ერთად სატრენაჟორო დარბაზს მიაშურა. ზაზას თქმით, ტრავმის შემდეგ მარჯვენა მხარს აღდგენა სჭირდება. ამისთვის აუცილებელია სიმძიმეებთან მუშაობა:*

*ტრენაჟორებზე კვირაში სამჯერ ვვარჯიშობ. ხან მატჩის წინადღეს, ხან თამაშის შემდეგ. ეს ტრავმირებული მხრის აღდგენაში მეხმარება, ძალას მმატებს. ასეც რომ არ იყოს, ვაცნობიერებ, რომ ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებისთვის სიმძიმეებზე მუშაობა აუცილებელია. მე ხომ ძირითადად თამაში მიწევს ფარქვეშ, სადაც ყველა მოწინააღმდეგეს კარგად მომზადებული და ძლიერი ცენტრი ჰყავს.”*

დავუბრუნდეთ “შარლოტთან” დაპირისპირებას. ატლანტელებმა პირველი ტაიმი 48:42 წააგეს, მაგრამ როგორც ძლიერ გუნდებს სჩვევიათ, მეორე ნახევარში თამაში გააუმჯობესეს და “ბობქეთსი” 83:79 დაამარცხეს. ეს იყო ფსიქოლოგიურად ორი არათანაბარი გუნდის მატჩი: “ჰოქსისთვის” ზედიზედ მესამე მოგება, ხოლო “შარლოტისთვის” – ზედიზედ მეშვიდე წაგება. ასე რომ, იოლი მისახვედრია, გადამწყვეტ მომენტში “ატლანტელებმა” უფრო თავდაჯერებულად რატომ ითამაშეს. მატჩის სნაიპერობა იკისრა კაპიტანმა **ჯო ჯონსონმა**, რომელმაც 28 ქულა და 8 პასი შეასრულა.

სადღეისოდ, “ატლანტას” 15 მოგების კვალად 9 წაგება აქვს და სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში მეორე პოზიციაზეა – “ორლანდოს” ჩამორჩება.

“კლივლენდთან” და “შარლოტთან” გამართული მატჩების შემდეგ ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელებს მორიგი საშინაო მატჩი ელით – 17 დეკემბერს ჩემპიონ “ბოსტონს” მასპინძლობენ. არ გაგიკვირდეთ, მაგრამ ჯორჯიელებს ერთმანეთის მიყოლებით 8 საშინაო მატჩის გამართვა უწევთ, რაც ამერიკაში ერთობ იშვიათი მოვლენაა. ასეთი რამ ჩემს საკალათბურთო და სამწვრთნელო პრაქტიკაში ჯერ არ შემხვედრიაო, - განუცხადა “ატლანტა კონსტიტუშენს” “ჰოქსის” თავკაცმა მაიკ ვუდსონმა.

**ფაჩულიას მონაცემი**

**7 წუთი: 4 ქულა, 2 მოხსნა, 3 ფოლი, 1 შეცდომა**

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 03:54 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 03:28 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 01:02 | საჯარიმოები: 2\2 (2ძ, 23:25) |
| 00:10 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:22 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 11:17 | ორქულიანი: 4ძ (25:29) |
| 10:39 | საჯარიმოები: 2\0 |
| 10:29 | ფოლი: 1 |
| 09:43 | ფოლი: 2 |
| 09:43 | შეცდომა: 1 |
| 09:43 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| 03:16 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 02:29 | ფოლი: 3 |
| 02:29 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი

ჭადრაკი

# ორნი ეულად...

მეოთხე ტურმაც ჩამოთვალა მისდამი განკუთვნილი დრო და გამოჩნდა, რომ ფავორიტებად მიჩნეულ მოჭადრაკეებს თავი ქუდში კი არ აქვთ, საქუდედ უწევთ თავის „გაპატიოსნება“... გუშინდელ ჯახში ყველაზე წარმატებული ბათუმელი **გაიოზ ნიგალიძე** და თბილისელი **შოთა აზალაძე** გამოვიდნენ: ნიგალიძემ შავებით აჯობა **ლევან ბრეგაძეს**, აზალაძემ ასევე შავებით **ჯამბულ მახარაძეს** სძლია... შეგახსენებთ, მახარაძე ამ ტურნირში სიმშვიდის უმთავრესი დამრღვევი იყო ამ დროისთვის და ისეთი სიჩქარე ჰქონდა აკრეფილი, რომ ბოლოში პირველ ნომრად გასვლასაც კი მოველოდით მისგან... გუშინ ალვნიშნეთ, რომ თუკი ჯამბული ასე გააგრძელებდა, მისი გამჩერებელი, შესაძლოა, ვერც მოძებნილიყო ამ ტურნირზე, მაგრამ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ რეალურ ძალას ობიექტური სამართლიანობის დამკვიდრება უმეტეს შემთხვევაში შეუძლია - მოიგო იმან, ვისაც უნდა მოეგო – აზალაძე გამოვიდა ამ ჭიდილში უძლიერესი. ჯამბულს ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ მაინც მგონია, რომ ის საშუალო შედეგიანობით გამოირჩევა და ფავორიტებს მეტად ვეღარ შეაწუხებს...

ქალბატონთაგან საბოლოო წარმატების არავის გვჯერა, მაგრამ ეგებ მოახერხოს რომელიმემ თავის გამოჩენა... ოთხი ტურის შემდეგ ასეთთა რიცხვმა იკლო, თუმცა საბოლოოდ არ გამორიცხულა: **თამარ წერეთელმა ლუკა პაიჭაძესთან** შავებით მოახერხა ნახევარი ქულის მოპოვება; ასეთივე შედეგს მიაღწია შავებით **ალექსანდრა ვახანიამ ივერი ჭილლაძესთან**, თუმცა ის, რაც **ინგა ჭარხალაშვილმა** შეძლო, ნამდვილად ქების ღირსია: შავებით დაამარცხა საკმაოდ ძლიერი საერთაშორისო ოსტატი **კახა შალამბერიძე**! კახასთვის ძალიან უსიამო სიურპრიზია ინგასთან წაგება, მაგრამ ფაქტს ვერსად გაექცევი და რეალობასთან შეგუება ხდება საჭირო...

მეხუთე ტურში ერთმანეთს ხვდებიან: **გაიოზ ნიგალიძე(4) – შოთა აზალაძე(4); ინგა ჭარხალაშვილი(3,5) – დავით მალალაშვილი(3,5); ნინო ბაციაშვილი(3) – კონსტანტინე შანავა(3); გია ბალათუროვი(3) – ჯამბულ მახარაძე(3); თამარ წერეთელი(3) – დავით ჯოჯუა(3); მაკა ფურცელაძე(30) – ლუკა პაიჭაძე(3); დავით ბენიძე(3) – გიორგი ქერაშვილი(3); ლელა უგულავა(3) – ივერი ჭილლაძე(3); ალექსანდრა ვახანია(3) – ლევან ბრეგაძე(3).**

ზვიად შათირიშვილი



შოთა აზალაძე

სამთო თხილამურები



# აბრამაშვილის სიტიზენური მეორე

სამთო-სათხილამურო სეზონი რახანია გახურდა, საინტერესოა, როგორ ასპარეზობენ ქართველი სპორტსმენები. ბუნებრივია, ისინი მსოფლიო თასის ეტაპებზე არ გამოდიან, ჩვენები შედარებით დაბალი კლასის შეჯიბრებებში მონაწილეობენ, თუმცა არცთუ წარუმატებლად...

ჩვენი საუკეთესო სამთო-მოთხილამურე 20 წლის **იასონ აბრამაშვილია**, რომელსაც ზამთრის ოლიმპიადაზე (ტურინი 2006) ასპარეზობის გამოცდილება აქვს. ახალი სეზონი იასონმა 4 დეკემბერს იტალიის კურორტ ვალ გარდენაში დაიწყო. ეს ტურნირი თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციის (FIS) ეგიდით გამართული შეჯიბრება იყო. სლალომში ოთხმა ჩვენიანმა გადაწყვიტა მონაწილეობა: იასონ აბრამაშვილმა, **კოტე ვახტანგიშვილმა, ალექს ბენიანიძემ** და **ვახტანგ თედიაშვილმა.** ორი ჩამოსრიალების ჯამში აბრამაშვილმა მე-18 ადგილი დაიკავა, ბენიანიძე 47-ე იყო, ვახტანგიშვილმა და თედიაშვილმა მეორე ცდა ვერ დაასრულეს. მეორე დღეს კიდევ ერთ სლალომში ჩვენებს უფრო ნაკლებად გაუმართლათ, ფინიშამდე მხოლოდ 16 წლის კოტე ვახტანგიშვილი მივიდა, მან 51-ე ადგილი დაიკავა. თედიაშვილმა და აბრამიშვილმა მეორე ცდაზე უარი თქვეს, ხოლო ბენიანიძემ კარი გამოტოვა.

ქართველებმა ბორმიოში გადაინაცვლეს, სადაც „სიტიზენის“ ეგიდით შეჯიბრება დაიწყო. 9 დეკემბერს გიგანტურ სლალომში იასონ აბრამაშვილმა შესანიშნავად ისრიალა. მან სულ რაღაც 10 მეასედი წამი წააგო ავსტრიელ გამარჯვებულ **პეტერ კროპფთან** და მეორე ადგილი დაიკავა. ამავე დისციპლინაში 19 წლის ვახტანგ თედიაშვილმა 23-ე შედეგი აჩვენა. 11 დეკემბერს სლალომში აბრამაშვილი მე-6 იყო, ვახტანგიშვილი – მე-19, თედიაშვილმა პირველ დაშვებაზე კარი გამოტოვა, ხოლო ბენიანიძემ – მეორეზე.

მოთხილამურეებმა შვეიცარიულ დავოსში გადაინაცვლეს, სადაც FIS-ის ეგიდით გამართულ სლალომში იასონ აბრამაშვილმა მე-15 ადგილი დაიკავა. პირველი ცდა ვერ ჩაამთავრეს ვახტანგ თედიაშვილმა და **ჯაბა გელაშვილმა.**

სეზონი ჩეხეთში დაიწყო მოქმედ ქართველ მოთხილამურეთაგან ასაკით უფროსმა **ნიკოლოზ ჯალალონიამ.** 12 დეკემბერს სპინდლერუვ მლინში სლალომში (FIS) 24 წლის ჯალალონიამ ტრასა 26-ე ადგილზე ჩაამთავრა. 15 წლის ბიძინა ქართველიშვილს პირველივე ცდა გაუცუდდა, მის ტოლ ჯაბა გელაშვილს – მეორე. მომდევნო დღეს მორიგი სლალომი მხოლოდ ქართველიშვილმა ჩაამთავრა, თუმცა მან უკანასკნელი, 37-ე ადგილი დაიკავა. მესამე დღეს კიდევ ერთი სლალომი გაიმართა, ამჯერად სამივე ჩვენებურს არ ეწერა ფინიშამდე ჩაღწევა. 9 დეკემბერს იტალიურ ტონალეში ახალგაზრდებს შორის გიგანტური სლალომი გაიმართა, იქ 17 წლის ალექს ბენიანიძემ 64-ე ადგილი დაიკავა, ვახტანგიშვილი კი 83-ე იყო.

ახალ სეზონში მხოლოდ ერთი ქართველი გოგონა ჩაება ასპარეზობაში, 15 წლის **ნინო ნიკლაური.** მისი დებიუტი ნოემბრის ბოლოს მონტე კროჩეში (იტალია) შედგა, იტალიის ახალგაზრდულ პირველობაში. ნინომ სლალომი მე-18 ადგილზე ჩაამთავრა. ამის შემდეგ მას დიდებში ჰქონდა დებიუტი, ბორმიოში „სიტიზენის“ ეგიდით გამართულ შეჯიბრებაში და 45-ე ადგილი დაიკავა, რაც დებიუტისთვის კარგი შედეგია. 14 დეკემბერს ნიკლაური ახალგაზრდულ ასპარეზს დაუბრუნდა, ალბეტონეში (იტალია) გიგანტურ სლალომში მე-15 შედეგი აჩვენა, ეს კი უცხოელებს შორის საუკეთესო მიღწევა იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხელბურთი

# დათუკაშვილი ვერ გალიდერდა

სულ ცოტა დააკლდა სლოვენიის ჩემპიონატში გალიდერებამდე **სერგო დათუკაშვილს.** მისი “გორენიე” ჩემპიონატის ლიდერ “კოპერს” სტუმრად შეხვდა. გამარჯვების შემთხვევაში, დათუკაშვილის გუნდი პირველ ადგილზე გადაინაცვლებდა, მაგრამ ფრეს დასჯერდა. მატჩი 26:26 დასრულდა, საქართველოს ნაკრების წამყვანი ხელბურთელის ანგარიშზე კი მხოლოდ ერთი გოლია. “გორენიეს” ჩემპიონობის შანსი არ დაუკარგავს, “კოპერს” იგი კვლავ ერთადერთი ქულით ჩამორჩება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მძლეოსნობა

# გუნდური მეორე ბაქოში

ბაქოში ამ დღეებში 1992-93 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. საქართველოს ორი ვაჟისა და ორი გოგონას გამოყვანის უფლება ჰქონდა. აზერბაიჯანში ჩვენი ქვეყნის ღირსება დაიცვეს **ბაჩანა ხორავამ** (ზუგდიდი), **ნიკა კარკაცევმა** (ოზურგეთი), **ანა კაშიამ** (ქუთაისი) და **ოლესია ბონდარენკომ** (თბილისი). ოთხივემ სამჭიდში (60 მეტრზე რბენა, სიგრძეზე ხტომა და ბიჭებსა და გოგონებში შესაბამისად, 400 და 200 მეტრზე რბენა) იასპარეზა.

წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი ვაჟები. ბაჩანა ხორავამ პირველი ადგილი დაიკავა, ნიკა კარკაცევმა კი მეორე. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

გაეცანით სამყაროს «ლელოსთან» ერთად!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო“ და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ **საჩუქრად**

„მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი“

ან „ვეფხისტყაოსანი“

„დიდი საბავშვო ენციკლოპედია“

„დიდი წიგნი ხელოვნებაზე“



მედია სახლი „პალიტრას“ გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| ყველა სიახლე | 0.80 | 52 | 41.60 |
| გზა | 0.80 | 52 | 41.60 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.50 | 52 | 26.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.50 | 312 | 156.00 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“
www.elva.ge
T: 38 26 73; 38 26 74
elva@kvirispalitra.com

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი“-ს საფოსტო გაქრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

თითოეული წიგნის ფასია 29 ლარი

თქვენ კი მას უფასოდ მიიღებთ!

აქცია გრძელდება 31 დეკემბრამდე

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი-ინდიანა 98:118**

27:33, 21:29, 35:25, 15:31

ვ: ჯეიმისონი (26+15 მოხსნა), კ. ბატლერი (26+8 მოხსნა), ბლეტჩი (19).

ი: გრეინჯერი (27+9 მოხსნა+5 ჩაჭრა), დენიელსი (20+8 მოხსნა+7 პასი), ფორდი (16), ჯეკი (16+3 ჩაჭრა), ნესტეროვიჩი (12), ფოსტერი (9+11 მოხსნა), მერფი (8+12 მოხსნა).

**მაიამი-მილუოკი 83:98**

18:27, 18:29, 29:21, 18:21

მაი: ჩალმერსი (20+7 მოხსნა+8 პასი), მერიონი (15), უეიდი (15+8 პასი), ბიზლი (13), დ. კუკი (13).

მილ: რედი (21), ბოგუტი (20+11 მოხსნა), ვილანუევა (20), რ. ჯეფერსონი (14).

**ტორონტო-ნიუ ჯერსი 87:94**

28:20, 18:26, 24:17, 17:31

ტ: კაპონო (17), ბოში (17+9 მოხსნა), კალდერონი (15+8 პასი), ჯ. ო'ნილი (14), მუნი (10+9 მოხსნა), ბარნიანი (10).

ნ-ჯ: ანდერსონი (21+9 მოხსნა), ჰარისი (20+7 მოხსნა), კარტერი (20+10 მოხსნა), ბ. ლოპესი (10+7 მოხსნა+3 დაფარება).

**ფინიქსი-ნიუ იორკი 111:103**

32:21, 30:30, 29:30, 20:22

ფ: შ. ო'ნილი (23+12 მოხსნა), სტაუდმაიერი (21+14 მოხსნა), ნეში (21+6 პასი), რიჩარდსონი (16+7 მოხსნა), ჰილი (11).

ნ-ი: რობინსონი (27+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰარინგტონი (24+7 მოხსნა), ჩენდლერი (15+7 მოხსნა), ლი (15+12 მოხსნა), დუჰონი (7+9 პასი).

**გ. სტეიტი-ორლანდო 98:109**

20:21, 20:25, 27:31, 31:32

გ-ს: ბიედრინსი (23+9 მოხსნა), ბელინელი (19+6 პასი), კროუფორდი (16+6 პასი), ს. ჯექსონი (12+7 მოხსნა), აზუბუიკე (6+10 მოხსნა).

ო: ნელსონი (32+3 ჩაჭრა), ლუისი (21+8 მოხსნა), გორტატი (16+13 მოხსნა+3 დაფარება), ლი (16), თურქოგლუ (12+7 მოხსნა+8 პასი), ბეტი (4+12 მოხსნა).

**დალასი-დენვერი 88:98**

15:27, 28:29, 28:19, 17:23

დალ: ნოვიცკი (27+10 მოხსნა), ტერი (19), ბარეა (12+9 პასი), ჯორჯი (11), დამპიე (2+15 მოხსნა).

დენ: სმიტი (25), ენტონი (23+8 მოხსნა), ბილაპსი (15+8 პასი), ნენე (12+9 მოხსნა+4 დაფარება), მარტინი (7+10 მოხსნა+6 პასი).

**საკრამენტო-მინესოტა 118:103**

20:26, 33:24, 33:17, 32:36

ს: გარსია (21), სალმონსი (17), ჰოვსი (15+10 მოხსნა), ბ. მილერი (14+10 მოხსნა), ტომპსონი (10), ჯექსონი (10), ბრაუნი (10+6 პასი).

მ: ჯეფერსონი (22+7 მოხსნა), მაკენტსი (21), სმიტი (17), ოლი (17), ლავი (7+15 მოხსნა).

**ბოსტონი-იუტა 100:91**

28:16, 15:27, 26:22, 31:26

ბ: რონდო (25+9 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), გარნეტი (19+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), პირსი (15), პერკინსი (15+14 მოხსნა), რ. ალენი (12).

ი: მილსეპი (32+10 მოხსნა), დ. უილიამსი (15+7 პასი), ოქური (13), კირილენკო (12).

**ატლანტა-შარლოტი 83:79**

23:27, 19:21, 26:20, 15:11

ა: ჯონსონი (28+8 პასი), სმიტი (15+7 მოხსნა+5 დაფარება), ბიბი (14+6 პასი), ჰორფორდი (12+14 მოხსნა).

შ: დიაო (25), ფელტონი (15+7 პასი), ჯ. უოლასი (11+10 მოხსნა), ოკაფორი (10+11 მოხსნა).

### კვირის მოთამაშეები

"ნიუ იორკ ნიქსის" ფორვარდი **ელ ჰარინგტონი** და "სან ანტონიო სპურსის" თავდამსხმელი **ტიმ დანკანი** გასულის კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთ კონფერენციის ლაურეატმა ჰარინგტონმა საშუალოდ მატჩში 33.3 ქულა (ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელი), 8.3 მოხსნა, 2.6 პასი და 1.6 ჩაჭრა დააგროვა.

ტიმ დანკანმა გასულ კვირას ორმაგი დუბლით გამოიჩინა თავი - 22.0 ქულა და 12.5 მოხსნა, რამაც "სან ანტონიოს" ოთხიდან ოთხ შეხვედრაში მოაგებინა. ვეტერანმა ფორვარდმა განსაკუთრებით "დალასთან" მატჩში იყოჩაღა, როცა 32 ქულასა და 14 მოხსნას მოუყარა თავი.

კვირის მოთამაშის ტიტულზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **მო უილიამსი** ("კლივლენდი"), **ლებრონ ჯეიმსი** ("კლივლენდი"), **დირკ ნოვიცკი** ("დალასი"), **კარმელო ენტონი** ("დენვერი"), **რიჩარდ ჰემილტონი** ("დეტროიტი"), **ზაკ რენდოლფი** ("კლიპერსი"), **რუდი გეი** ("მემფისი") და **რაშარდ ლუისი** ("ორლანდო").

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 25 | 23 | 2 | 92.0 |
| 2. კლივლენდი | 24 | 20 | 4 | 83.3 |
| 3. ორლანდო | 25 | 19 | 6 | 76.0 |
| 4. ატლანტა | 24 | 15 | 9 | 62.5 |
| 5. დეტროიტი | 22 | 13 | 9 | 59.1 |
| 6. ნიუ ჯერსი | 23 | 12 | 11 | 52.2 |
| 7. მაიამი | 24 | 12 | 12 | 50.0 |
| 8. ჩიკაგო | 23 | 11 | 12 | 47.8 |
| 9. ნიუ იორკი | 24 | 11 | 13 | 45.8 |
| 10. მილუოკი | 26 | 11 | 15 | 42.3 |
| 11. ფილადელფია | 24 | 10 | 14 | 41.7 |
| 12. ტორონტო | 24 | 10 | 14 | 41.7 |
| 13. ინდიანა | 24 | 8 | 16 | 33.3 |
| 14. შარლოტი | 25 | 7 | 18 | 28.0 |
| 15. ვაშინგტონი | 22 | 4 | 18 | 18.2 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეიკერსი | 23 | 20 | 3 | 87.0 |
| 2. დენვერი | 24 | 17 | 7 | 70.8 |
| 3. სან ანტონიო | 23 | 15 | 8 | 65.2 |
| 4. ნიუ ორლეანი | 20 | 13 | 7 | 65.0 |
| 5. ჰიუსტონი | 24 | 15 | 9 | 62.5 |
| 6. ფინიქსი | 25 | 15 | 10 | 60.0 |
| 7. პორტლენდი | 25 | 15 | 10 | 60.0 |
| 8. იუტა | 26 | 15 | 11 | 57.7 |
| 9. დალასი | 23 | 13 | 10 | 56.5 |
| 10. მემფისი | 24 | 9 | 15 | 37.5 |
| 11. საკრამენტო | 25 | 7 | 18 | 28.0 |
| 12. გ. სტეიტი | 25 | 7 | 18 | 28.0 |
| 13. კლიპერსი | 23 | 6 | 17 | 26.1 |
| 14. მინესოტა | 24 | 4 | 20 | 16.7 |
| 15. ოკლაჰომა | 25 | 2 | 23 | 8.0 |

**ქულები**

| | |
|---|---|
| დუეინ უეიდი (მაი) | 28.6 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 27.1 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 26.3 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 24.9 |
| კრის ბოში (ტორ) | 24.4 |
| დევინ ჰარისი (ნ-ჯერ) | 24.1 |
| დენი გრეინჯერი (ინდ) | 23.5 |
| კევინ დურანი (ოკლ) | 23.1 |
| ჯო ჯონსონი (ატლ) | 22.9 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 22.3 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.1 |
| ანდრის ბიედრინში (გ-სტე) | 12.0 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 11.5 |
| ზაკ რენდოლფი (კლიპ) | 11.3 |
| ტრო მერფი (ინდ) | 11.1 |
| ემეკა ოკაფორი (შარ) | 10.9 |
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 10.8 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 10.8 |
| დევიდ ლი (ნ-იორკ) | 10.5 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 10.1 |

**პასები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 12.1 |
| დერონ უილიამსი (ნ-ორლ) | 10.3 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 9.1 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.5 |
| სტივ ნეში (ფინ) | 8.4 |
| კრის დუჰონი (ნ-იორ) | 8.4 |
| ბაირონ დევისი (კლიპ) | 8.1 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 7.3 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 7.2 |
| ჩონსი ბილაპსი (დენ) | 7.1 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.7 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 2.5 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.3 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 2.2 |
| რონი ბრიუერი (იუტ) | 2.1 |
| ჯერალდ უოლასი (შარ) | 2.0 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 2.9 |
| მარიო ჩელმერსი (მაი) | 2.0 |
| ტრევორ არიზა (ლეიკ) | 1.9 |
| კენიონ მარტინი (დენ) | 1.8 |
| რონ არტესტი (ჰიუ) | 1.8 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 3.9 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 3.1 |
| კრის ანდერესენი (დენ) | 2.5 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.3 |
| რონი ტურიაფი (გ-სტე) | 2.2 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 2.0 |
| კრის კამანი (კლიპ) | 1.9 |
| ბენ უოლასი (კლივ) | 1.9 |
| ბრუკ ლოპესი (ბოს) | 1.9 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 1.9 |

# ნეში ნიუ-იორკში გადადის?



გაზეთ New York Daily News-ის ცნობით, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ორგზის საუკეთესო კალათბურთელი, "ფინიქს სანზის" გამთამაშებელი **სტივ ნეში** მომავალ ზაფხულს "ნიუ იორკ ნიქსში" გადავა. გამოცემის აზრით, ამ ტრანსფერის განხორციელებას რამდენიმე მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, წლევანდელ ზაფხულს "ნიუ იორკი" ჩაიბარა **მაიკ დ'ენტონიმ**, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში ავარჯიშებდა "ფინიქსს". სწორედ ამ სპეციალისტის მეცადინეობით მიაღწია კარიერის პიკს კანადელმა პლეიმეიკერმა. მეორე მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ნეში გარკვეულწილად უკმაყოფილოა გასულ კვირას, არიზონული გუნდიდან მისი საუკეთესო მეგობრის **რაჯა ბელის** გაშვებით. შეგახსენებთ, რომ "ფინიქსმა" ეს კალათბურთელი **ბორის დიაოსთან** ერთად "შარლოტში" გაამგზავრა და მის ნაცვლად **ჯეისონ რიჩარდსონი** მიიღო.

გარდა ამისა, "ფინიქსმა" ახალი მწვრთნელის **ტერი პორტერის** ხელმძღვანელობით, ერთგვარად სწორხაზოვანი კალათბურთის თამაში დაიწყო, რის გამოც "ყველა ვარსკვლავის მატჩის" ექვსგზის მონაწილეს უჭირს თავისი საუკეთესო თვისებების გამოვლენა.

თუმცა ამ საკითხში საბოლოო სიტყვა არა ნეშს, არამედ "ფინიქსის" ხელმძღვანელობას ეკუთვნის. კონტრაქტი, რომელიც 2004 წლის ზაფხულშია გაფორმებული, ხუთწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს და კლუბის ინიციატივით შესაძლებელია მისი კიდევ ერთი წლით გახანგრძლივება. თუ "სანზის" ბოსები მოთამაშესთან განშორებას გადაწყვეტენ, მათ კალათბურთელს კომპენსაციის სახით 7 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადონ.

ასე რომ, თუ გავითვალისწინებთ "ნიუ იორკის" გეგმებს, რომელიც ლიგის მთავარი ვარსკვლავის **ლებრონ ჯეიმის** გადაბირებას უკავშირდება, ამ ტრანსფერების განხორციელების შემთხვევაში, "ნიქსი" ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი გახდება. მაგრამ ბევრს არ სჯერა, რომ ნეში უკვე მომავალ ზაფხულს დატოვებს კლუბს. *"გუნდში დღეს არსებული სიტუაციის მიხედვით, ნეში, სავარაუდოდ, არ გააგრძელებს კონტრაქტს "სანზთან". თუმცა არც ხელმძღვანელობა გაუშვებს მას საკუთარი ინიციატივით - წინააღმდეგ შემთხვევაში გულშემატკივრებთან სერიოზული გართულება ექნებათ"*, - აცხადებს კალათბურთელთან დაახლოებული ანონიმური წყარო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ტეუსი მეექვსე მსხვერპლია



გასული ერთი კვირის განმავლობაში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მეორე კლუბმა გამოიცვალა მთავარი მწვრთნელი. "საკრამენტო კინგზის" შეფობამ პოსტიდან გაათავისუფლა **რეჯი ტეუსი**, რომლის ხელმძღვანელობითაც "მეფეებმა" ამ სეზონში 24-დან მხოლოდ ექვსი გამარჯვება მოიპოვეს.

"კინგზს" სათავეში ჩაუდგება ტეუსის თანაშემწე **კენი ნაითი**, რომელიც ბოლო სამ წელიწადში კლუბის რიგით მეოთხე დამრიგებელი იქნება. "საკრამენტოში" მისვლამდე, ნაითი ასევე მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ "კლივლენდსა" და "იუტაში" მუშაობდა.

რეჯი ტეუსი შარშან ჩაუდგა სათავეში "საკრამენტოს". გასულ სეზონში გუნდმა რეგულარული ჩემპიონატი 38 მოგებითა და 44 წაგებით დაასრულა. აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი კვირის განმავლობაში, "საკრამენტომ" 11 მატჩში 10 მარცხი განიცადა და სწორედ ამ დროს დაკარგა ტეუსმა კლუბის ბოსთა ნდობა.

"საკრამენტო" რიგით მეექვსე კლუბია, რომელმაც სეზონის მსვლელობისას მწვრთნელი გამოიცვალა.

## რამიდ უოლასი დალასს მოუნდა

**ამერიკული** პრესის ინფორმაციით, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რამდენიმე კლუბია დაინტერესებული "დეტროიტ პისტონზის" ფორვარდ **რაშიდ უოლასის** გადაბირებით. ამ მხრივ ყველაზე აქტიური "დალას მავერიქსი" გახლავთ.

*"კლუბის მეპატრონე მარკ ქიუბანს ძალიან უნდა რაშიდის შეძენა. შესაძლოა, ეს სარისკო ნაბიჯი იყოს, მაგრამ სწორედ უოლასია ის კალათბურთელი, რომელიც "დალასის" გამოცოცხლებას შეძლებს"*, - წერს New York Daily News.

## მუტომბო დაბრუნებას აპირებს

42 წლის ცენტრალური თავდამსხმელი **დიკემბე მუტომბო** აცხადებს, რომ შობის შემდეგ აპირებს NBA-ის ერთ-ერთ კლუბთან კონტრაქტის გაფორმებას.

ასოციაციის ოთხგზის საუკეთესო მცველის სიტყვებით, მას თავის რიგებში ისეთი გუნდები ეპატიჟებიან, როგორებიც არიან "ბოსტონ სელტიქსი", "სან ანტონიო სპურსი" და "მაიამი ჰიტი".

ლეგენდარული კალათბურთელი დარწმუნებულია, რომ კარგ ფორმაში იმყოფება. მან ოპტიმალურ კონდიციებს სატრენაჟორო დარბაზში სამსაათიანი ვარჯიშით მიაღწია.

## მაციაუსკასი სათამაშოდ მზადაა

**ლიტველი არვიდას მაციაუსკასი** გამოჯანმრთელდა და მზად არის მოედანზე გასასვლელად. ამის შესახეც კალათბურთელმა პრესასთან საუბრისას განაცხადა.

მაციაუსკასი სპორტული ფორმის ასაკრეფად პოლონეთში, ევროლიგაში მონაწილე "პროკომის" ფიზიოთერაპევტ **ალექსანდრას კოსაუსკასთან** ხუთი კვირა მუშაობდა.

ახლა 28 წლის ლიტველ კალათბურთელს სასამართლო გარჩევა ელის "ოლიმპიაკოსთან". ბერძნულ კლუბს შემტევი მცველთან 2010 წლის ბოლომდე გაფორმებული კონტრაქტის გაწყვეტა და მაციაუსკასის კომპენსაციის გარეშე გაშვება სურს.

## რაგბი

# ექვსი ერი შვიდ თებერვალს დაიწყება

**ცნობილი** გახდა 2009 წლის ექვსი ერის თასის გათამაშების კალენდარი, რომელშიც ტრადიციულად ინგლისის, ირლანდიის, უელსის, საფრანგეთის, შოტლანდიისა და იტალიის ნაკრებები ითამაშებენ.

ტურნირი 2009 წლის 7 თებერვალს, თვიქენემში აიღებს სტარტს, სადაც ინგლისის ნაკრები იტალიას უმასპინძლებს.

**I ტური**

**7 თებერვალი**

ინგლისი-იტალია

ირლანდია-საფრანგეთი

**8 თებერვალი**

შოტლანდია-უელსი

**II ტური**

**14 თებერვალი**

საფრანგეთი-შოტლანდია

უელსი-ინგლისი

**15 თებერვალი**

იტალია-ირლანდია

**III ტური**

**27 თებერვალი**

საფრანგეთი-უელსი

**28 თებერვალი**

შოტლანდია-იტალია

ირლანდია-ინგლისი

**IV ტური**

**14 მარტი**

იტალია-უელსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**დეტროიტი-კოლორადო 2:3**

0:2, 1:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ვოლსკი-7 (არნასონი-7), 0:2 პ. შჩასტნი-7 (ჰეიდუკი-12, ლეოპოლდი-7), 1:2 ჰოლმტრიომი-9 (რაფალსკი-19, დაციუკი-20), 1:3 ლეოპოლდი-5 (ბულიტი), 2:3 მარიან ჰოსა-16 (ზეტერბერგი-15).

**ლოს ანჯელესი-სან ხოსე 2:3 (ბ)**

2:1, 0:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 მ. გრინი-1 (ო'სალივანი-12, პურსელი-2), 2:0 პურსელი-1, 2:1 ქლოუ-13 (ბოილი-16, ვლასიჩი-16), 2:2 მარლო-16.

**ბულიტები გაიტანეს:** ბოილი (სან ხოსე), ო'სალივანი (ლოს ანჯელესი), ქლოუ (სან ხოსე).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "ბოსტონ ბრუინზის" ფორვარდი **ფილ კესელი** დაასახელა. ამ თავდამსხმელმა 4 მატჩში 3 გოლი გაიტანა და ჯამში 8 ქულა მიითვალა. 21 წლის კესელი ზედიზედ 15 მატჩია უქულოდ არ ტოვებს მოედანს.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი "პიტსბურგ პინგვინზის" ფორვარდს **პეტრ სიკორას** ერგო, რომელმაც 4 შეხვედრაში ასევე 8 ქულა დააგროვა. სიკორამ "ნიუ იორკი აილენდერსთან" მატჩში კარიერაში პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა.

მესამე ვარსკვლავი გახდა "ბაფალო სეიბრზის" თავდამსხმელი **ტომაშ ვანეკი**. გასულ კვირას ის ლიგის ლიდერი გახდა გატანილი გოლების რაოდენობით - 5 შაიბა. ვანეკი 24 გოლით ლიდერობს ლიგის სნაიპერთა დავას.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 30 | 21 | 5 | 4 | 46 |
| 2. რეინჯერსი | 33 | 20 | 11 | 2 | 42 |
| 3. ვაშინგტონი | 31 | 18 | 10 | 3 | 39 |
| 4. ფილადელფია | 29 | 16 | 7 | 6 | 38 |
| 5. მონრეალი | 29 | 16 | 8 | 5 | 37 |
| 6. პიტსბურგი | 30 | 16 | 10 | 4 | 36 |
| 7. ნიუ ჯერსი | 27 | 16 | 9 | 2 | 34 |
| 8. ბაფალო | 30 | 15 | 12 | 3 | 33 |
| 9. ფლორიდა | 30 | 14 | 13 | 3 | 31 |
| 10. კაროლინა | 30 | 13 | 12 | 5 | 31 |
| 11. ტორონტო | 29 | 11 | 12 | 6 | 28 |
| 12. ოტავა | 28 | 11 | 12 | 5 | 27 |
| 13. ატლანტა | 29 | 9 | 16 | 4 | 22 |
| 14. აილენდერსი | 30 | 10 | 18 | 2 | 22 |
| 15. ტამპა ბეი | 30 | 7 | 15 | 8 | 22 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე | 30 | 25 | 3 | 2 | 52 |
| 2. დეტროიტი | 30 | 20 | 6 | 4 | 44 |
| 3. ვანკუვერი | 31 | 17 | 11 | 3 | 37 |
| 4. ჩიკაგო | 28 | 15 | 6 | 7 | 37 |
| 5. ანაჰაიმი | 31 | 17 | 11 | 3 | 37 |
| 6. კალგარი | 30 | 16 | 11 | 3 | 35 |
| 7. ნეშვილი | 30 | 15 | 12 | 3 | 33 |
| 8. მინესოტა | 29 | 15 | 13 | 1 | 31 |
| 9. კოლორადო | 30 | 15 | 14 | 1 | 31 |
| 10. ფინიქსი | 30 | 14 | 13 | 3 | 31 |
| 11. ლოს ანჯელესი | 30 | 13 | 12 | 5 | 31 |
| 12. ედმონტონი | 28 | 14 | 12 | 2 | 30 |
| 13. კოლამბუსი | 30 | 13 | 14 | 3 | 29 |
| 14. სტ. ლუისი | 29 | 12 | 14 | 3 | 27 |
| 15. დალასი | 29 | 11 | 14 | 4 | 26 |

**ბომბარდირები**

| გოლი+პასი | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 49 (12+37) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 44 (13+31) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 40 (17+23) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 36 (13+23) |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 35 (16+19) |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 35 (8+27) |
| საიმონ განიე (ფილ) | 34 (15+19) |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 34 (13+21) |
| მაიკ რიჩარდსი (ფილ) | 34 (12+22) |
| მარკ სავარი (ბოს) | 34 (8+26) |

| გოლები | |
|---|---|
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 24 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 21 |
| ფილ კესელი (ბოს) | 19 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 17 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 17 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 16 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 16 |
| მარიან ჰოსა (დეტ) | 16 |
| დევინ სეტოგუჩი (ს-ხოს) | 15 |
| საიმონ განიე (ფილ) | 15 |
| ბრედ ბოიესი (ს-ლუი) | 15 |

| პასები | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 37 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 31 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 27 |
| მარკ სავარი (ბოს) | 26 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 23 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 23 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 23 |
| მაიკ რიჩარდსი (ფილ) | 22 |
| ჯეი ბი დუმონი (ნეშ) | 22 |

# ჰოკეი ფელტინს არენაზე



ჰოკეიში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის სასტარტო შეხვედრა 7 მაისს, გელზენკირხენის "ფელტინს არენაზე" გაიმართება, რომელიც 75 ათას მაყურებელს იტევს. ამის შესახებ გუშინ ერთობლივი განცხადება გააკეთეს ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ, გერმანიის ჰოკეის ფედერაციამ, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა და საფეხბურთო კლუბ "შალკეს" წარმომადგენლებმა, რომელთა კუთვნილებაც გახლავთ "ფელტინ-არენა".

ამ სტადიონზე ჰოკეის მატჩის ჩატარება იმის წყალობით გახდა შესაძლებელი, რომ გელზენკირხენის არენას მოძრავი სახურავი გააჩნია. საერთაშორისო ფედერაციის წესების თანახმად, ამ ორგანიზაციის ეგიდით მატჩები მხოლოდ დახურულ არენაზე უნდა იმართებოდეს.

ორგანიზატორების ვარაუდით, ისტორიულ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს გერმანიის ნაკრები, რომლის მეტოქე იქნება მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ნაკრები - კანადა, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი ან რუსეთი.

იმ შემთხვევაში, თუ "ფელტინს არენაზე" ანშლაგი დაფიქსირდება, დაემხობა ჰოკეის მატჩზე დასწრების მსოფლიოს რეკორდი, რომელიც 2001 წელს არის დაფიქსირებული. მაშინ ამერიკაში, მიჩიგანის საუნივერსიტეტო გუნდების შეხვედრას 74554 ადამიანი დაესწრო.

*"2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი გერმანიაში გაიმართა და გახსნის მატჩის ბილეთებზე 80 ათასზე მეტი განაცხადი შემოვიდა. ბუნებრივია, მაშინ ყველა სურვილის დაკმაყოფილება ვერ შევძელით,* - ამბობს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი **უვე ჰარნოსი**. - ამჯერად ჰოკეის ყველა მოყვარულის ინტერესს გავითვალისწინებთ. იმედია, გახსნის მატჩის გარშემო არსებული ენთუზიაზმი ჩემპიონატის დანარჩენ 55 მატჩზეც გავრცელდება, რომელიც გელზენკირხენის გარდა კიოლნში და მანჰაიმში გაიმართება".

# სუნდინი ოთხ კლუბს შორის აირჩევს



ლეგენდარული შვედი ჰოკეისტი **მატს სუნდინი** კვლავინდებურად უკლუბოდაა დარჩენილი, თუმცა ვეტერან ფორვარდს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ჰოკეის ეროვნულ ლიგაში კარიერის გაგრძელება. ამ დღეებში, სუნდინს წინადადებით მიმართა "ოტავა სენატორზმა", მაგრამ 37 წლის ჰოკეისტმა კანადელებს უარი შეუთვალა. როგორც შვედური პრესა იტყობინება, სუნდინმა არჩევანი ოთხ კლუბზე - "ჩიკაგოზე", "მონრეალზე", "რეინჯერსსა" და "ვანკუვერზე" შეაჩერა.

*"სამწუხაროდ, მატსის გადაბირება ვერ შევძელით. გასულ კვირას შევხვდით სუნდინის აგენტს, რომელმაც გვითხრა, რომ მისი კლიენტი სხვა გუნდების წინადადებებს ანიჭებს უპირატესობას,* - განაცხადა "ოტავას" გენერალურმა მენეჯერმა **ბრაიან მიურეიმ**. - *სუნდინთან ინტენსიური მოლაპარაკებები გვქონდა. მზად ვიყავით მისი ყველანაირი ფინანსური მოთხოვნა დაგვეკმაყოფილებინა, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. დარწმუნებული ვარ, შვედი ფორვარდის გადაწყვეტილებაზე იმანაც იქონია გავლენა, რომ ადრე სუნდინი "ტორონტოში" თამაშობდა, ეს გუნდი კი ჩვენი ძველი და ყველაზე პრინციპული მონინაალმდეგეა".*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ინდონეზია-ტაილანდი | 0:1 |

| ინგლისის თასი | |
|---|---|
| ბლითი-ბორნმუთი | 1:0 |
| დროილსდ.-ჩესტერფილ. | 0:2 შეწყდა |

| ინგლისი. League Trophy | |
|---|---|
| ლუტონი-კოლჩესტერი | 1:0 |
| როტერჰემი-დარლინგტ. | 1:1, პენ. 4:2 |
| სკანთორფი-ტრანმერი | 2:1 |
| შრუსბერი-ბრაიტონი | 0:0, პენ. 4:5 |

| გერმანია. III ბუნდესლიგა | |
|---|---|
| ემდენი-ბაიერნი A | 0:2 |

| ბელგია | |
|---|---|
| კორტრიიკი-ვარეგემი | 1:0 |

| შოტლანდია. I დივიზიონი | |
|---|---|
| კლაიდი-ეირდრი | 1:0 |

| კვიპროსი | |
|---|---|
| აელ-ალკი | 2:2 |

**კალათბურთი**

| ევროლიგა. ქალები | |
|---|---|
| ცსკა-ვენეცია | 80:72 |

| ევროთასი | |
|---|---|
| ხიმკი-ბეშიქთაში | 91:65 |
| დინამო (მ)-უნიქსი | 77:87 |
| ბნეი ჰაშარონი-პანელინიოსი | 78:76 |
| ლეტუვოს რიტასი-აზოვმაში | 83:64 |
| მარუსი-ასკ რიგა | 82:77 |
| ჰემოფარმი-ბუდუჩნოსტი | 89:85 |
| ბილბაო-ნიმბურკი | 93:72 |
| ტურკ ტელეკომი-არისი | 78:65 |
| ტუროვი-ცრ. ზვეზდა | 76:86 |
| ხადარი-რუანი | 82:70 |
| ბარონსი-აკადემიკი | 84:88 |
| ბამბერგი-შარლერუა | 65:84 |
| ერტლანდი-ვალენსია | 79:89 |
| ჰავრი-ბენეტონი | 76:82 |
| ვილერბანი-გრან კანარია | 69:81 |
| ფორტიტუდო-ჟელეზნიკი | 88:61 |

| ევროჩელენჯერი | |
|---|---|
| სუმიხიმპრომი-ლოკომოტივი | 84:89 |
| ურალ გრეიტი-ტულონი | 84:76 |
| კიევი-ტრიუმფი | 66:65 |
| კერავნოსი-ტელეკომი | 73:64 |
| ტარტუ-ცსკ ვვს | 58:80 |
| ენერგა-კახასოლი | 53:83 |
| ოლიმპია-ოლდენბურგი | 89:75 |
| სკაილაინერსი-კალევი | 61:57 |
| ამსტერდამი-ჰაპოელი (ი) | 73:74 |
| ეიფელ ტაუერსი-გმუნდენი | 77:70 |
| მონსი-ხიმიკი | 82:76 |
| ლიეჟი-ვენტსპილსი | 89:84 |
| ოსტენდე-ვირტუსი | 76:87 |
| შოლე-ფრიბურგი | 79:52 |

TV სპორტი

**17 დეკემბერი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

08:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:40 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
10:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:25 მსოფლიოს ჩემპიონატის კლუბებს შორის. 1/2 ფინალი. ტოკიო. იაპონია (LIVE).
16:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
20:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:30 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
23:15 მსოფლიოს ჩემპიონატის კლუბებს შორის. 1/2 ფინალი. ტოკიო. იაპონია.
01:10 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
01:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:55 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
10:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-კოლორადო.
12:55 მინი-ფეხბურთი.
13:10 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. ნანსი-პროკომი.
14:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჰალი.
16:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:35 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
17:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კაროლინა-მონრეალი.
20:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:40 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
21:05 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. ცსკა-რეალი (LIVE).
23:05 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
23:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ჰამბურგი-ასტონ ვილა (LIVE).
01:45 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
01:50 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მილანი-ვოლფსბურგი.
03:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჰალი.
05:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
06:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:15 მინი-ფეხბურთი.
07:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ლოს ანჯელესი-რეინჯერსი (LIVE).

**EUROSPORT**

11:30 სპორტული მეგაზური.
11:45 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. სეზონის მიმოხილვა.
12:45 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
13:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური.
14:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
15:30 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. IV დღე. ტელფორდი.
18:00 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. V დღე. ტელფორდი (LIVE).
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:20 მულტისპორტი.
21:25 ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. კონკური. ჟენევა. შვეიცარია.
22:25 პოლო. ბუენოს აირესი. არგენტინა.
23:25 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
23:30 გოლფ-კლუბი.
23:35 აფროსნობა. Volvo Ocean-ის რბოლა.
23:40 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
00:45 სპორტული კურორტი. ტელეჟურნალი.
00:00 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. ტელფორდი (LIVE).
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური.
02:30 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. ტელფორდი.
03:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. აშშ.
12:00 ახალი ამბები.
12:45 სერფინგი. აშშ.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ტურნირი. IV ტური. ხიმკი (რუსეთი)-ბეშიქთაში (თურქეთი).
15:30 ახალი ამბები.
16:15 სერფინგი. აშშ.
16:30 ახალი ამბები.
17:00 პული. ლას ვეგასი. აშშ.
18:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ჰერტა-გალათასარაი.
18:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. უდინეზე-დინამო (ზ).
19:30 ახალი ამბები.
20:00 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ტურნირი. IV ტური. ტურკ ტელეკომი (თურქეთი)-არისი (საბერძნეთი) (LIVE).
21:00 ახალი ამბები.
21:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
22:30 ახალი ამბები.
22:45 სერფინგი. აშშ.
23:00 პროფესიული კრივი. WBC-ის ვერსია. გ. ფრაგემონი (იტალია)-რ. კრაი (ჩეხეთი). ბამბერგი. გერმანია.
01:00 მოტოფრისტაილი. კიოლნი. გერმანია.
01:45 სერფინგი. აშშ.
02:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. აშშ.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. აშშ.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. აშშ.
05:00 ახალი ამბები.
05:45 სერფინგი. აშშ.
06:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

ინტერვიუ ფერნანდო გონსალესთან

# 11 წლისამ მამაჩემი დავამარცხე



**გასულ კვირას ჩილელი ფერნანდო გონსალესი ჟურნალ Tennisweek-ის სტუმარი იყო. ჩილეს ჩოგბურთის ლიდერმა ბევრ საინტერესო თემაზე ილაპარაკა, მათ შორის საკუთარ მეტსახელებზე, მამაკაცთა ტურის ყველაზე სასაცილო წარმომადგენლებზე, გაიხსენა კარიერის ყველაზე დასანანი მარცხი და მოჰყვა იმის შესახებ, თუ როგორ დაამარცხა მამამისი 11 წლის ასაკში.**

ფერნანდო გონსალესის საჩოგბურთო ცხოვრების პერიოდი თითქმის მთლიანად ოჯახთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ბევრს მიაჩნია, რომ ჩილელმა ჩოგბურთელმა კარიერაში პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი 2007 წელს, ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** წინააღმდეგ ჩაატარა. მაგრამ ეს მცდარი მოსაზრებაა. გონსალესის პირველი დიდი მატჩი საკუთარ მამასთან ფინალური შეხვედრა იყო, რომელიც ჩილეს ერთ-ერთი საჩოგბურთო კლუბში გაიმართა.

*"მახსოვს 11 წლის ვიყავი, როცა პირველად დავამარცხე მამაჩემი, - იხსენებს იმ შეხვედრას გონსალესი. - ერთ-ერთი საჩოგბურთო კლუბის ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა და ერთმანეთს ფინალში დავუპირისპირდით. მისი დამარცხება პირველად შევძელი, რის შემდეგაც მაყურებელი მხიარულად მილოცავდა ამ წარმატებას. ანგარიშს არ იკითხავთ?! - 6:2, 6:0".*

28 წლის სანტიაგოელმა ჩოგბურთელმა თავისი გამოსვლით გულშემატკივართა დიდი ნაწილის სიმპათია დაიმსახურა, რომელსაც შეუყვარდა მისი იმპულსური თამაში და ნებისმიერი საფარის კორტზე ყველაზე ძლიერ მეტოქეებთან თანაბარი ბრძოლის უნარი. აღსანიშნავია, რომ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტს "დიდი სლემის" ყველა ტურნირის მეოთხედფინალურ ეტაპამდე მიუღწევია.

გონსალესს მამაკაცთა ტურში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფორჰენდი გააჩნია. ჩილელმა სწორედ ამ იარაღის წყალობით დაამარცხა **ევგენი კოროლიოვი, ხუან-მარტინ დელ პოტრო, ლეიტონ ჰიუიტი, ჯეიმს ბლეიკი, რაფაელ ნადალი** და **ტომი ჰაასი** და ორი წლის წინ, "დიდ სლემზე" თავის პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ ფინალში გაალწია.

მწვრთნელ **ლარი სტეფანსკისთან** (ცოტა ხნის წინ, ეს სპეციალისტი **ენდი როდიკთან** გადავიდა) მონდომებული მუშაობის წყალობით, ფერნანდომ დარტყმების არსენალი გაამრავალფეროვნა. ფიზიკური ვარჯიშების დახმარებით კი ხანგრძლივ გათამაშებებშიც ებმება და აღარ ცდილობს ერთი ძლიერი დარტყმით მოიპოვოს ქულა, რადგან ასეთ მცდელობებს ხშირად ბევრი შეცდომა მოჰყვებოდა ხოლმე. გარდა ამისა, ფერნანდომ უფრო დახვეწა მარცხნიდან დარტყმები, რაც მის ერთ-ერთ ყველაზე სუსტ წერტილად ითვლებოდა.

გასულ სეზონში გონსალესმა ორი ტიტული მოიპოვა - შინ, ვინია-დელმარში და მიუნხენში. აგრეთვე პეკინის ოლიმპიადის ფინალში გაალწია, როცა დრამატულ და მარათონულ ნახევარფინალში ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკი** დაამარცხა - 4:6, 7:5, 11:9, თუმცა ფინალში ესპანელ **რაფაელ ნადალთან** დამარცხდა.

პეკინის ვერცხლი მისი მესამე ოლიმპიური მედალია: 2004 წელს, ათენის ოლიმპიადაზე ერთეულებში მან ბრინჯაოს მედალი აიღო, წყვილებში კი **ნიკოლას მასუსთან** ერთად ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ერთეულებში მესამე ადგილისთვის მატჩში, გონსალესმა მარათონულ მესამე სეტში შეძლო შეხვედრის გადარჩენა, როცა ამერიკელი **ტეილორ დენტის** წინააღმდეგ (6:4, 2:6, 16:14) ორი მატჩ-პოინტი მოიგერია და ჩილეს ათენის თამაშებზე პირველი მედალი მოუტანა. მასუსთან ერთად კი ფერნანდომ თავის ქვეყანას ოლიმპიადების 108-წლიან ისტორიაში ოქროს პირველი მედალი მოუპოვა. ჩილელთა დუეტმა ხუთ სეტში (6:2, 4:6, 3:6, 7:6, 6:4) მოუგო გერმანელთა წყვილს **ნიკოლას კიფერისა** და **რაინერ შუტლერის** შემადგენლობით.

იმ მატჩის ყველაზე საინტერესო მომენტი იყო ჩილელი ჩოგბურთელების მხრიდან გამარჯვების ემოციურად აღნიშვნა. თუმცა მასუსა და გონსალესს ნამდვილად ჰქონდათ ამის საბაბი, რადგან მეოთხე სეტის ტაი-ბრეიკში ოთხი მატჩ-პოინტი გადაარჩინეს, ბოლო პარტიაში კი 1:3 აგებდნენ, მაგრამ მომდევნო ექვსი გეიმიდან ხუთი აიღეს და ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიადი გამარჯვება მოიპოვეს. გონსალესმა კი, რომელმაც დღე-ღამის განმავლობაში 7 საათი კორტზე გაატარა, ერთმანეთის მიყოლებით მოიგო ორი მედალი.

## ფერნანდოს ბლიცინტერვიუ

**- კერპი ჩოგბურთში.**

- ერთმნიშვნელოვნად ბორის ბეკერი. როცა მან უიმბლდონი მოიგო, სწორედ იმ მომენტიდან გახდა ჩემთვის ნამდვილი გმირი.

**- მეტსახელი.**

- ზოგიერთები ნენას მეძახიან, სხვები - გონსოლიტოს. ამერიკელებისთვის კი გონზა ვარ.

**- ჰობი/საყვარელი საქმიანობა.**

- ინტერნეტი, თევზაობა, ფეხბურთი, სადილი მეგობრებთან, პიკნიკი ოჯახის წრეში.

**- საყვარელი ფილმები.**

-კინო მაინცდამაინც არ მიყვარს.

**- მუსიკალური სტილი.**

- ყველაფერს ვუსმენ.

**- ჩოგბურთთან დაკავშირებული ყველაზე ადრეული მოგონება.**

- პატარაობისას, მამასთან და მის მეგობრებთან ერთად ჩოგბურთის სათამაშოდ დავდიოდი. პირველად ხუთი წლის ასაკში ვცადე ბედი. მამაჩემის ერთ-ერთი ჩოგანი ხელში დავიჭირე და კედელს გავეთამაშე, ბოლოს მამასთან დავბრუნდი და ვუთხარი: "მომწონს ეს თამაში!"

**- საყვარელი კერძი.**

- სტეიკი ბარბექიუ.

**- საყვარელი ნაყინი.**

- შოკოლადის.

**- შეგრძნება მატჩის წინ.**

- ვცდილობ მოვდუნდე და კორტზე ჩოგბურთისგან სიამოვნება მივიღო. "დიდი სლემის" ყოველ ტურნირზე დიდი იმედებით ჩავდივარ.

**- კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი.**

- ათენის ოლიმპიური თამაშები.

**- ყველაზე დასანანი მარცხი.**

- ფედერერთან ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში წაგება. ეს იყო ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი კარიერაში.

**- ჩოგბურთის სამყაროში ყველაზე ახლო მეგობარი.**

- ჩემი ყველა მეგობარი კორტის მიღმა დარჩა. მეგობრები კოლეგებს შორისაც მყავდა, მაგრამ ისინი დღეს აღარ თამაშობენ.

**- ყველაზე სასაცილო ჩოგბურთელი.**

- გუსტავო კუერტენი მომწონს. ყველამ იცის, რომ ის დიადი მოთამაშე იყო: ვისაც უნდა შეხვედროდა, კორტზე ბრწყინვალედ გამოიყურებოდა. და მუდმივად ხუმრობდა. კიდევ გორან ივანიშევიჩს გამოვარჩევდი. პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მისი თამაში მინახავს. ხორვატის მიმიკისა და ჟესტების გამეორება შეუძლებელია.

**- ყველაზე სერიოზული კონკურენტი.**

- ასეთი მრავლადაა და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

**- საყვარელი ტურნირი.**

- „დიდი სლემის" ყველა ჩემპიონატი. კიდევ ვინია-დელ-მარის ტურნირი, სადაც ორჯერ გავიმარჯვე. აქ სტადიონი ყოველთვის სავსეა და დევისის თასის თამაშზე გეგონება თავი.

**- საყვარელი თვისება ადამიანებში.**

- ლტოლვა იმისკენ, რომ უკეთესი გახდე. არ მიყვარს ორპირი ადამიანები.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კრივი

# ოქროს ბიჭს კრივი აუკრძალეს



ნევადის შტატის სპორტულმა კომისიამ საკრივო ლიცენზია შეუჩერა ამერიკელ **ოსკარ დე ლა ჰოიას**. "ოქროს ბიჭს" 2009 წლის 8 თებერვლამდე ეკრძალება პროფესიულ კრივში მოღვაწეობა.

ამ გადაწყვეტილების მიზეზი გახდა დე ლა ჰოისა და **მენი პაკიაოს** ამასწინანდელი ბრძოლის შემდეგ ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევის შედეგები. როგორც იცით, "წლის ბრძოლად" აღიარებულ დაპირისპირებაში ფილიპინელმა პაკიაომ მერვე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოიპოვა გამარჯვება.

ექიმების დასკვნაში წერია, რომ დე ლა ჰოიას მინიმუმ 22 იანვრამდე არ შეუძლია რინგზე ასვლა. პაკიაოსთან ბრძოლაში 35 წლის ოსკარმა 224 დარტყმა გაატარა. ამერიკელმა განაცხადა, რომ პაკმენთან ბრძოლა უკანასკნელი იქნებოდა მის კარიერაში, მაგრამ არაოფიციალური ინფორმაციით, დე ლა ჰოია ისევ ფიქრობს რინგზე ასვლას.

ნევადის შტატის ქალაქი ლას-ვეგასი პროფესიულ კრივში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ბრძოლის გამართვის ადგილია. სწორედ ამ ქალაქში ჩატარდა დე ლა ჰოიასა და პაკიაოს შეხვედრაც. ლას-ვეგასში ჩხუბის უფლება მხოლოდ იმ მოკრივეებს აქვთ, რომლებსაც სპეციალური საკრივო ლიცენზია გააჩნიათ.

მძლეოსნობა

# ბოლტმა 400 მეტრს დაუმიზნა

პეკინის თამაშების გმირი, იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტის** ახალი გამოწვევის მიღებას აპირებს. 100 და 200-მეტრიან დისტანციებზე მსოფლიოს რეკორდსმენი უახლოეს პერიოდში 400 მეტრზე სირბილში აპირებს რეკორდის დამყარებას. ამის შესახებ სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა სააგენტო "როიტერს" განუცხადა.

ამ დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდი ლეგენდარულ ამერიკელ **მაიკლ ჯონსონს** ეკუთვნის, რომელმაც ცხრა წლის წინ, სევილიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე 400 მეტრი 43.18 წამში გაირბინა და მას შემდეგ ეს შედეგი ვერავინ გააუმჯობესა.

*"მსოფლიოს ახალი რეკორდის დამყარებაზე ყველა ოცნებობს. რა თქმა უნდა, 400 მეტრ დისტანციაზე ამის გაკეთება გაცილებით რთული იქნება, მაგრამ მონდომებით ვვარჯიშობ. გამორიცხული არ არის, რომ ერთ-ერთი ყველაზე ძველი რეკორდი უკვე მომავალ წელს გაუმჯობესდეს"*, - ამბობს უსაინ ბოლტი.

სხვათა შორის, პეკინის ოლიმპიადაზე იამაიკელმა 200 მეტრზე გააუმჯობესა კიდევ ერთი "ბებერი" რეკორდი, რომელიც ასევე მაიკლ ჯონსონს ეკუთვნოდა.



გამოვიდა დეკემბრის ნომერი